CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 30 დეკემბერი, 2008 წელი. №293 (2037) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ომი პალესტინაში A8

უფულობა და პარადოქსები ოპერის თეატრში A9

"ასკას" ტრანსფერს საფრთხე დაემუქრა A13

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI
ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფაზლვევო ჯგუფი

# "ტოტალური ომის წელიწადი"

დიმიტრი ავალიანი

*პუტინის ყოფილმა მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში, ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ანდრეი ილარიონოვმა წლის მოვლენების შეჯამებისას დიდი ყურადღება დაუთმო რუსეთ-საქართველოს ომს. მან კვლავ განაცხადა, რომ რუსეთი ამ ომისთვის დიდხანს ემზადებოდა და მისი დაწყების შესახებ გადაწყვეტილებაც მოსკოვში მიიღეს.*

**"ტოტალური ომის წელიწადი"** - ასე უწოდა 2008 წელს ანდრეი ილარიონოვმა გუშინ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელზეც მოვლენების საკუთარი შეფასებები "ნომინაციების" მინიჭების გზით წარადგინა. ამგვარ შემაჯამებელ მოხსენებებს ექსპერტი, 2003 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად აქვეყნებს.

წლის მოვლენა ილარიონოვმა რუსეთ-საქართველოს ომს უწოდა, რომელიც, მისი თქმით, **"არა ხუთდღიანი, არამედ, სულ მცირე, ხუთწლიანი იყო."** მისი თქმით, რუსეთი ომისთვის დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა - სულ მცირე, 2003 წლის თებერვლიდან, როდესაც სამხრეთ ოსეთში სამხედრო ტექნიკის შეყვანა დაიწყო. ილარიონოვმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსთან ომის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება რუსეთმა უკვე 2007 წელს მიიღო.

წლის **"ანტიიდეად"** ილარიონოვმა **"სხვა ქვეყნებში რუსეთის პრივილეგიური ინტერესების"** იდეა დაასახელა, რასაც იგი **"იმპერიული იდეის ახალ გამოცემად და ახალი ომებისკენ აღებულ კურსად"** მიიჩნევს.

შეკითხვა - **"სად და როდის იქნება ახალი ომი?"** ილარიონოვმა **"წლის შეკითხვად"** გამოაცხადა. როგორც მან აღნიშნა, **"გაზის ომი"**, რომელსაც დღეს კრემლი აქტიურად აწარმოებს უკრაინასთან, შესაძლოა **"აქტიურ საბრძოლო მოქმედებებშიც"** გადაიზარდოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხელისუფლების ინიციატივები

გიორგი ასანიშვილი

*დღეს პარლამენტის 2008 წლის ბოლო სხდომა გაიმართება, რომელზეც დეპუტატებმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანო დაამტკიცებს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, აგრეთვე განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობას (37 ათასი). გარდა ამისა, პარლამენტი მოისმენს სახალხო დამცველის ანგარიშს "2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ". კანონმდებელთა ყურადღების მიღმა არც ის საკითხები დარჩება, რომლებმაც ბოლო დროს კიდევ ერთხელ შეიძინეს აქტუალობა - პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის დაცვის თემები აქამდეც არაერთხელ ყოფილა პოლიტიკურ სპექტრში მწვავე დაპირისპირების საგანი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და კონტრარგუმენტები

დათო გამისონია

*2008 წელი, რომელიც ორ დღეში ისტორიის კუთვნილება გახდება, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებით დაიწყო. შარშან ამ დროს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას უკვე მეორედ ასრულებდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. იმ დროს ვერავინ იფიქრებდა, რომ ერთი წლის შემდეგ, მისი მთავარი გზავნილი მომავალი 2009 წლისთვის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა იქნებოდა. ნოემბერში ბურჯანაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ვადამდელი არჩევნების ჩატარება, თუმცა არ დაუკონკრეტებია, საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობდა, საპარლამენტოს თუ ორივეს ერთად. ახლა კი ექს-სპიკერი ცალსახად აცხადებს, რომ უპირველესად რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს.*

**"საქართველოს დღეს, ფაქტობრივად, ავტოკრატიული ხელისუფლება ჰყავს. ქვეყანაში არ არსებობს დემოკრატია, ამის გამო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს,"** - აღნიშნა "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ 24 დეკემბერს ტელეგადაცემა "აქცენტებში" სტუმრობისას. ასე რომ, გამოიკვეთა ბურჯანაძის პოლიტიკური სურვილები და საპრეზიდენტო ამბიციები.

ვადამდელი არჩევნების ინიციატივით გამოვიდა შეერთებული შტატებიდან ჩამოსული (და ისევ უკან დაბრუნებული) ირაკლი ალასანიაც, მას "რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსი მისაღებ საპრეზიდენტო კანდიდატად მიიჩნევს. ალასანიას ჯერ კიდევ არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ არჩევნებს ანიჭებს უპირატესობას - საპრეზიდენტოს თუ საპარლამენტოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიგაუდას უშაცკასმა საქართველოში ვიზიტი დაასრულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ორი ახალი წევრი ჰყავს. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცნობად მიიღო N6 სამგორის და N7 ჩუღურეთის ადგილობრივ საარჩევნო ოლქებში შმაგი ვეფხვაძის და ვახტანგ ჭანტურიას დანიშვნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი ქვემო ბოლნისში ჩასახლებულ დევნილებს ესტუმრა და საჩუქრად "კალა-ფონდის" მიერ შეძენილი ელექტროღუმელები გადასცა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** საქართველოში 2008 წელს შიდსის ვირუსით ინფიცირების 346 შემთხვევა დაფიქსირდა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების სულ 1846 შემთხვევაა რეგისტრირებული (1387 - მამაკაცი, 459 - ქალი). პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 35 წლამდეა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საბერძნეთმა შეშფოთება გამოთქვა

საბერძნეთმა საქართველოში ეუთო-ს მისიის შეჩერების გამო შეშფოთება გამოთქვა.

ოფიციალური ათენის პოზიცია საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა მაკოიანმა გაახმოვანა. 2009 წლიდან ეუთო-ს თავმჯდომარე ერთი წლით საბერძნეთი იქნება.

"ყველაზე მეტად იმაზე ვწუხვართ, რომ 56 ქვეყანას შორის ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა საქართველოს საკითხზე. საბერძნეთი, როგორც ეუთოს თავმჯდომარე, აუცილებლად განაგრძობს მუშაობას საქართველოში ორგანიზაციის მისიის განახლებისათვის," - განაცხადა მაკოიანმა.

ცნობისათვის - ეუთო-ს მისიის ფუნქციონირება საქართველოში რუსეთმა 23 დეკემბერს დაბლოკა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გამარჯვებული მთავრობის კანცელარია გახდა

საქართველოს მთავრობის კანცელარია გამარჯვებულად დასახელდა ნომინაციაში "ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით საუკეთესო ადმინისტრაციული წარმოება".

ღონისძიება - "ინფორმაციის თავისუფლება - ფუნდამენტური უფლება", რომლის დროსაც ნომინანტები გამოვლინდნენ, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში ეუთო-ს ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა.

კვლევის მიზანი იყო იმ სახელმწიფო უწყების გამოვლენა, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციის თავისუფლებას, მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ადმინისტრაციული საჩივრების განხილვებს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ერთ-ერთი ქართველი ტყვე ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფება

აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაუჩინარებული ერთ-ერთი ქართველი ჯარისკაცი ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფება. მისი მოძიება აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია "მემორიალის" დახმარებით მოახერხეს.

ექსპერტ მამუკა არეშიძის ინფორმაციით, ტყვედ ჩავარდნილ ქართველ ჯარისკაცს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება და მისი სამშობლოში დაბრუნების საკითხი იანვრის შუა რიცხვებში გადაწყდება. სწორედ ამ დროისთვის იგეგმება ტყვეთა მოძიების საკითხებზე საზოგადოების წარმომადგენელთა მორიგი სამუშაო შეხვედრა, რომელიც ასევე რუსეთში გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი პოეტისა და დრამატურგის ქალბატონ

**მარიკა ბარათაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# "ტოტალური ომის წელიწადი"

პირველი გვერდიდან

**"წლის ანტიგადაწყვეტილებად"** ილარიონოვი რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მიიჩნევს. ამ გადაწყვეტილებამ, ექსპერტის აზრით, მსოფლიოში რუსეთის უპრეცედენტო იზოლაცია გამოიწვია, მათ შორის - დსთ-ს ქვეყნების მხრიდან. პოსტსაბჭოთა სივრცის მასშტაბით ილარიონოვი წლის მოვლენად პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ საქართველოს მხარდაჭერას მიიჩნევს.

თავისი მოხსენების უდიდესი ნაწილი ილარიონოვმა ეკონომიკურ კრიზისს დაუთმო. მისი აზრით, კრიზისი გაამძაფრა **"რუსეთის ხელისუფლების ომმა მეზობელი სახელმწიფოების, რუსული ბიზნესისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ."**

წლის მთავარი შედეგი, ილარიონოვის აზრით, **"მოქალაქეთა წინააღმდეგობის თვითორგანიზაციის იდეა"** გახდა. მისი თქმით, ეს იდეა გამოიხატა "ეროვნული ასამბლეის" შექმნაში, მასობრივ ოპოზიციურ მოძრაობაში ინგუშეთში, "ფლეშმობის" ახალგაზრდულ მოძრაობაში, ასევე მოძრაობაში უცხოურ ავტომანქანებზე ბაჟის გაზრდის წინააღმდეგ. **"ზეწოლის მიუხედავად, საზოგადოება თვითორგანიზაციის ახალ, არატრადიციულ ფორმებს პოულობს,"** - განაცხადა ექსპერტმა.

თუმცა, მისი თქმით, ეკონომიკური კრიზისისა და მოქალაქეთა პროტესტის ზრდის მიუხედავად, მომავალ წელს პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების შანსი პრაქტიკულად არ არსებობს. ილარიონოვის აზრით, რუსეთში დღეისთვის მკაცრი ავტორიტარული რეჟიმია, ეკონომიკური კრიზისების პოლიტიკურში ტრანსფორმაცია კი შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული ან რბილად ავტორიტარული რეჟიმების პირობებში. ილარიონოვმა მაგალითისთვის საბჭოთა კავშირში, ჩრდილოეთ კორეასა და კუბაში პოლიტიკური კრიზისების არარსებობა დაასახელა.

# ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და კონტრარგუმენტები

პირველი გვერდიდან

ამგვარად, ოპოზიციაში ფიქრობენ, რომ 2009 წელს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. ხელისუფლებამ, თავის მხრივ, გააააქტიურა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. 2009 წლის ბიუჯეტის დიდი ნაწილი სოციალური ხარჯებისთვის განისაზღვრა. ამით მთავრობა ცდილობს, მოსახლეობის რაც შეიძლება მეტ ფენას აგრძნობინოს, რომ ქვეყანაში არსებული სირთულეების მიუხედავად, ის კვლავ ახერხებს მათთვის ყურადღების მიქცევას.

"რესპუბლიკური პარტიის" წევრ დავით ზურაბიშვილისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი არჩევნები ჩატარდება პირველად. მისთვის მთავარია, რომ ხელისუფლება არჩევნების დანიშვნაზე დაითანხმონ. "24 საათთან" საუბარში ზურაბიშვილმა აღნიშნა: **"თუ თავდაპირველად საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, მაშინ სააკაშვილს მოგვიანებით გავუშვებთ თანამდებობიდან."** ზურაბიშვილი იმდენად არის არჩევნების დანიშვნით დაინტერესებული, რომ მზად არის, შეეგუოს სამართლიან პირობებში ჩატარებული არჩევნების ნებისმიერ შედეგს. ამისთვის, არჩევნებში უნდა გამოირიცხოს პოლიციის მონაწილეობა, პირადობის მოწმობების გაყალბებები, საარჩევნო სიებში მკვდარი სულების არსებობა და მრავალი მსგავსი ფაქტორი. **"თავისუფალი არჩევნებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობაც არის საჭირო,"** - მიიჩნევს იგი.

"რესპუბლიკელებისა" და "მემარჯვენეების" ალიანსის წევრი აცხადებს, რომ **"ხელისუფლება ნამდვილად არ ემზადება 2008 წლის არჩევნების მსგავსი ფარსის დასადგმელად. ის ყოველდღიურად წინასაარჩევნო რეჟიმშია, ამიტომ ალბათ სხვაგვარი არჩევნებისთვის ემზადება."** ზურაბიშვილის აზრით, ხალხის ნებამ და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლამ ხელისუფლებას შეიძლება არჩევნები დაანიშვნინოს.

"24 საათი" ესაუბრა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტს, პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს. ის ბურჯანაძის ინიციატივას დადებითად უყურებს: **"საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნა სწორია, რადგან საზოგადოებაში ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესახებ შეკითხვა არსებობს. საქართველოში კი ხელისუფლების ძირითადი შტო არის პრეზიდენტი. ამიტომ ეს მოთხოვნა გამართლებულია, მაგრამ ნებისმიერი არჩევნები სათანადო ცვლილებების შემდეგ უნდა ჩატარდეს. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების შედეგი ჩვენს საზოგადოებაში არსებული განწყობისგან განსხვავებული იქნება. ოპოზიციის წინაშე დგას რამდენიმე ამოცანა, რომელსაც ერთობლივი თანამშრომლობით უნდა მიაღწიონ. მათ არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსი უნდა შეაცვლევინონ და აუცილებელია მედიასივრცის სრული ლიბერალიზაცია. სწორედ ამის შემდეგ ოპოზიციამ უნდა მიაღწიოს არჩევნების დანიშვნას. ხოლო კონკურენტულ გარემოში საზოგადოება გადაწყვეტს, თუ ვინ იქნება ლიდერი - ირაკლი ალასანია თუ ნინო ბურჯანაძე."**

ექსპერტი არჩევნების დანიშვნის შანსებზე საუბრობს. მისი თქმით, პრეზიდენტმა იცის, რომ საზოგადოებაში არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა მწიფდება. ამიტომ ხელისუფლება, მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების თავიდან აცილებას ცდილობს. თუმცა მთელი რიგი შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ის შეიძლება ვადამდელ არჩევნებს დათანხმდეს. **"არც ის არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს მანამ, სანამ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები მოხდება,"** - განმარტა არჩილ გეგეშიძემ.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის აზრით, ქვეყანაში არ არსებობს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის არავითარი აუცილებლობა. 2008 წელს ჩატარდა როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნები. დარჩიაშვილი ფიქრობს, რომ საზოგადოებაში არ არის არჩევნების მოთხოვნილება, რადგან ყველა კითხვაზე მეტ-ნაკლებად მისაღები პასუხები გაცემულია: **"არ ვიცი, რომელ მიუკერძოებელ სოციოლოგიურ გამოკითხვებს ეყრდნობიან, როცა ხალხის განწყობაზე საუბრობენ. არჩევნები ყოველთვის ძვირი სიამოვნებაა. რა თქმა უნდა, კონსტიტუცია არ უნდა დაირღვეს და ის დროზე უნდა ჩატარდეს. მაგრამ ვადამდელი არჩევნების ჩატარებას განსაკუთრებული პირობები სჭირდება - პოლიტიკური კრიზისი ან კოლექტიური დანაშაული. ეს არგუმენტები ამ შემთხვევაში უადგილოა,"** - განმარტავს უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი.

# ოს სეპარატისტებს იმედი გაუცრუვდათ

ოს სეპარატისტებს იმედი ჰქონდათ, რომ მიმდინარე წელს მათ ე.წ. დამოუკიდებლობას, რუსეთის კვალდაკვალ, მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო აღიარებდა, - აცხადებს რუსულ მედიასთან საუბარში სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი. "იმედი გვქონდა, რომ მიმდინარე წელს მსოფლის ბევრად უფრო მეტი ქვეყანა აღიარებდა ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ ეტყობა, ისინი ჯერჯერობით ფიქრობენ. არ გამოვრიცხავ, რომ ეს, გარკვეულწილად, ჩვენს საგარეო პოლიტიკაში არსებული ხარვეზების ბრალიცაა, ამიტომაც ამ მიმართულებით მუშაობას უფრო აქტიურად გავაგრძელებთ," - აცხადებს ჯიოევი და დასძენს, რომ გასული წელი ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის - რთული, მაგრამ მნიშვნელოვანიც იყო.

"გასულ წელს საქართველოს მხრიდან მორიგი აგრესია ვიწვნიეთ, რომელიც წინა აგრესიებზე გაცილებით სასტიკი იყო, მაგრამ ამავე დროს სწორედ გასულ წელს გამართლდა ჩვენი 18-წლიანი მოლოდინი და სამხრეთ ოსეთმა ნანატრ დამოუკიდებლობას მიაღწია. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა მსოფლიოს ყველაზე დიდმა სახელმწიფომ აღიარა. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ყოველთვის რუსეთზე იყო ორიენტირებული," - აცხადებს ჯიოევი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ეროვნული კრების მოწვევის საკოორდინაციო საბჭო დაფუძნდა

გუშინ ეროვნული კრების მოწვევის საკოორდინაციო საბჭო დაფუძნდა. როგორც სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ საბჭოს ყრილობაზე ეროვნული კრების ერთ-ერთმა ინიციატორმა კონსტანტინე გამსახურდიამ განაცხადა, ეროვნული კრება არ წარმოადგენს რაიმე სახის პოლიტიკურ გაერთიანებას და იგი საზოგადოების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება. ეროვნული კრების საბჭოს არჩევა წარმომადგენლობითი პრინციპით მოხდება, საქართველოში არსებული საარჩევნო უბნების მიხედვით. მისივე თქმით, ამ ეტაპზე საბჭო ინდივიდებით არის დაკომპლექტებული, თუმცა როდესაც პარტიული კვოტები გაიცემა, საბჭოს სხვადასხვა პარტიები შეუერთდებიან. ამ ეტაპზე ეროვნული კრების საკოორდინაციო საბჭოში ოპოზიციური სპექტრიდან აკაკი ასათიანი, გუგული მაღრაძე და კონსტანტინე გამსახურდია არიან გაწევრიანებულნი. როგორც საბჭოს წევრები აცხადებენ, ეროვნულ კრებაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ პოლიტიკოსს თუ საზოგადოების წარმომადგენელს შეეძლება.

**მედიანიუსი**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ღეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ხელისუფლების ინიციატივები

პარლამენტის თავმჯდომარე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით, გამოდის ინიციატივით, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხში საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის განსხვავებული პოზიციების დაახლოებას ისახავს მიზნად.

## ხელისუფლებას ფინანსური "მადა დაეკარგა", ოპოზიციას - გაეზარდა

დავით ბაქრაძის ინიციატივა ოთხ ძირითად პრინციპს "ეყრდნობა". 1. ყველა კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც დღემდე სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებდა, 2009 წლიდან ეს თანხები უნდა მიეცეს; 2. ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას დღემდე იღებდა, ეს დაფინანსება უნდა გაეზარდოს; 3. უნდა გაჩნდეს ისეთი ახალი კომპონენტი, როგორიც არის სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება; 4. ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც საბაზისო დაფინანსება შეუმცირდება, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" იქნება.

პარლამენტის სპიკერის თქმით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" მოკლებული სახსრები მოხმარდება იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც უფრო მეტად ესაჭიროებათ გაძლიერება, აგრეთვე სამოქალაქო სექტორს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**"საპარლამენტო არჩევნებში "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ამომრჩეველთა ხმების 60 პროცენტზე მეტი მიიღო. მიუხედავად ამისა, ის თანახმაა, საერთო დაფინანსების მხოლოდ 35 პროცენტი ერგოს,"** - მმართველი პარტიის მხრიდან მნიშვნელოვან დათმობაზე საუბრობს დავით ბაქრაძე. პარლამენტის თავმჯდომარე ხაზს უსვამს, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ამ დათმობაზე ნებაყოფლობით მიდის და ეს ნაბიჯი ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების ინსტიტუტის გაძლიერებას ემსახურება.

ასე რომ, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების საბოლოო ვარიანტში, რომელსაც დღეს ეყრება კენჭი, ჩაიწერება, რომ 1-დან 30-მდე საპარლამენტო მანდატზე პარტია მიიღებს თითოეულზე თვეში 600-ლარიან დაფინანსებას, 30 მანდატზე ზევით კი - თითოეულზე თვეში 100 ლარს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი მმართველი გუნდის ინიციატივას "პოლიტიკურ გადაწყვეტილებად" აფასებს და აღნიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკური თანხმობის მიღწევას.

თუმცა, როგორც ჩანს, აღნიშნულ ინიციატივას, "პოლიტიკური თანხმობის მიღწევის" ნაცვლად, უკუშედეგი მოჰყვა და პოლიტიკურ სპექტრში განხეთქილება შეიტანა. ყოველ შემთხვევაში, ანტიკრიზისულმა საბჭომ გუშინ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ვერ მოახერხა. საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ზოგიერთ მის კოლეგას **"გაზრდილი მადა აღმოაჩნდა და მაშინ, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიებისთვის საბაზისო დაფინანასების გაორმაგება მოითხოვა".**

"მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე ანტიკრიზისული საბჭოს გუშინდელ სხდომას "თამაშს" უწოდებს და აცხადებს, რომ მომავალში მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას აღარ აპირებს. ტყემალაძის განცხადებით, ამ საკითხზე უკვე მეხუთე სხდომა გაიმართა და ყოველ მათგანზე ახალ-ახალი ვარიანტები განიხილებოდა, რომლებიც წინასთან შედარებით, გაუარესებული იყო.

კიდევ ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის გია ცაგარეიშვილის აზრით კი, დავით ბაქრაძის ინიციატივის მნიშვნელობის გაზვიადება საჭირო არ არის, რადგან მისი რეალიზების შემთხვევაში, **"ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" სულ რაღაც 120 ათასი ლარი აკლდება, რაც სალაპარაკოდ არ ღირს".**

ამასთან, ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ ახალი ინიციატივით, მმართველმა ძალამ პარტიების დაფინანსების საკითხში ადრე დაშვებული შეცდომები აღიარა და ახლა მათ გამოსწორებას ცდილობს.

მოხერხდება თუ არა პარტიების დაფინანსების საკითხზე უმრავლესობა-ოპოზიციის საბოლოო შეთანხმება, პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე გაირკვევა. კონსენსუსის ვერმიღწევის შემთხვევაში, როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი აცხადებს, კანონპროექტი კენჭისყრაზე ვეღარ დადგება და შესაბამისად, პარტიების დაფინანსების დღევანდელი მოდელი 2009 წლიდანაც ძალაში იქნება.

## ბალანსის ძიებაში

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც გუშინ ოფიციალურად წარედგინა საკანონმდებლო ორგანოს, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. ეს ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის და დეპუტატები მას პარლამენტის ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ გაეცნენ.

დავით ბაქრაძის შეფასებით, საკონსტიტუციო ცვლილებებით მკვეთრად იზრდება პარლამენტის როლი მთავრობასა და პრეზიდენტთან მიმართებაში და პირიქით - იზღუდება პრეზიდენტის უფლებები პარლამენტის დათხოვნის საკითხში. კერძოდ, პრეზიდენტს, მისი უფლებამოსილების პერიოდში, მხოლოდ ერთხელ ექნება საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის უფლება, მაშინ, როდესაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მას პარლამენტის დათხოვნის შეუზღუდავი უფლება აქვს.

პარლამენტის თავმჯდომარე ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის თანახმად, იზრდება მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლი, პლუს, საპარლამენტო უმცირესობას ეძლევა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის ინიცირების შესაძლებლობა.

პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე შეიქმნება საპარლამენტო კომისია, რომელსაც საკონსტიტუციო ცვლილებების ერთთვიანი საერთო-სახალხო განხილვის ორგანიზება დაევალება. აღსანიშნავია, რომ ამ კომისიაში ოპოზიციას უმრავლესობაზე უფრო მეტი წარმომადგენელი ეყოლება.

საერთო-სახალხო განხილვის დასრულების შემდეგ კი, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი კვლავ პარლამენტში "დაბრუნდება".

**"იმედია, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება 2009 წლის გაზაფხულზე მოხდება და ამით სახელისუფლებო შტოებს შორის ახალი ბალანსი ჩამოყალიბდება,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

განსხვავებული მოსაზრებაა ოპოზიციურ სპექტრში. ხელისუფლების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს და მისი ინიცირება სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებისგან ყურადღების გადატანას ემსახურება.

თავისი ნათქვამის დასასაბუთებლად, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები იხსენებენ, რომ პარლამენტის დათხოვნის საკითხი დღემდე ერთხელაც არ დამდგარა დღის წესრიგში და ამდენად, საეჭვოა, რომ მომავალში ამის საჭიროება რამდენჯერმე წარმოიშვას.

## კოკოითის შეშფოთება

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი ჰუმანიტარული დახმარების მითვისების ფაქტებით შეშფოთებულია. მან მარიონეტული რეჟიმის გენერალურ პროკურატურას ჰუმანიტარული დახმარების მითვისების ფაქტების გამოძიება დაავალა. კოკოითი პირობას დებს, რომ დამნაშავეებს დასჯის. "მე დავავალე გენერალურ პროკურატურას, გამოიძიოს ჰუმანიტარული დახმარების გაძარცვის ფაქტები და ვაცხადებ, რომ ამ საქმეში გამოვლენილი დამნაშავეები სასტიკად დაისჯებიან," - განაცხადა კოკოითმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაჩუკი ქარდავა საპარლამენტო მონარქიის მომხრეა

ედპ-ს თავმჯდომარემ ბაჩუკი ქარდავამ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ პრეზიდენტის ინიციატივაზე კომენტარი გააკეთა.

ქარდავამ განაცხადა, რომ საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა სისტემამ ვერ გაამართლა.

"შესაბამისად, მივესალმებით ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც ამ სისტემის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ძირეული პოლიტიკური ცვლილებების დრო დადგა - ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობისთვის აუცილებელია, გადავიდეთ საპარლამენტო მონარქიაზე და ედპ მომავალში მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელებისთვის იბრძოლებს," - განაცხადა ედპ-ს თავმჯდომარემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ქრისტიან-დემოკრატები" პრეზიდენტს საყვედურობენ

"ქრისტიან-დემოკრატები" საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დანაპირების შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ. საუბარია რუსეთის აგრესიის შედეგად გადაადგილებული და დაზარალებული მოსახლეობისთვის "ღირსეული საცხოვრებელი პირობების" შექმნაზე.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრმა მაგდა ანიკაშვილმა და გიორგი ახვლედიანმა ისაუბრეს. ანიკაშვილის განცხადებით, დევნილებს ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ გააჩნიათ. მან სოფელ შავშვებში ჩასახლებულ დევნილებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ იქ მცხოვრებ დევნილებს არც ერთი თანამდებობის პირი არ დაკონტაქტებია. გიორგი ახვლედიანის თქმით კი, შავშვებში 600-მდე დევნილია ჩასახლებული, მათ არა აქვთ წყალი და ბუნებრივი აირი დაბალი წნევით მიეწოდებათ. როგორც ახვლედიანმა აღნიშნა, არ შეიძლება იმის თქმაც, თითქოს ეს დევნილები ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა, მაგრამ მათ მაინც უამრავი პრობლემა აქვთ, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია.

"ქრისტიან-დემოკრატები" კიდევ ერთხელ მოუწოდებენ ხელისუფლებას, დევნილებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

## "ვაშინგტონ პოსტი": "თუ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ყოყმანს დაიწყებს, რუსეთის ჯარები თბილისისკენ დაიძვრება"

გავლენიანი გამოცემა "ვაშინგტონ პოსტი" საქართველოს კონფლიქტურ ზონებში შექმნილ ვითარებას ეხმაურება. სტატიაში, სათაურით - "რამდენად შორს წავა შეერთებული შტატები საქართველოს დაცვაში", ავტორი ჯექსონ დიელი წერს, რომ ახალგორის რაიონში რუსული ჯარების ყოფნა მუდმივი უსიამოვნებების პოტენციალს ქმნის, რაც პუტინს ამერიკის ახალი პრეზიდენტის გამოცდის საშუალებას აძლევს.

"თუ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და მოსკოვთან კონფრონტაციის საკითხში ყოყმანს დაიწყებს, ახალი საზღვრის გასწვრივ განლაგებული რუსეთის ჯარები, რომელთა ერთი ნაწილი თბილისიდან 20 კილომეტრში დგას და იქ გამაგრებას განაგრძობს, საქართველოს დედაქალაქისაკენ დაიძვრება," - ასკვნის ჯექსონ დიელი. მისივე აზრით, პრეზიდენტ ობამას მოსკოვთან დიალოგის დაწყებამდე გადასაწყვეტი ექნება, რის გაკეთებას აპირებს ამერიკა კონფლიქტებთან დაკავშირებით. "ჯერჯერობით კი რუსეთის ანტიქართული კამპანია დასრულებისგან შორს არის," - აღნიშნავს დიელი. **პირველი**

## რუსეთმა პალესტინიდან თავისი მოქალაქეების ევაკუაცია დაიწყო

რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის განკარგულებით, რუსეთის საგარეო საქმეთა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროებმა პალესტინის ავტონომიური რესპუბლიკიდან რუსეთის მოქალაქეების ევაკუაცია დაიწყეს.

ისრაელში რუსეთის საელჩოს ინფორმაციით, ამჟამად ღაზას სექტორში რუსეთის 200-ზე მოქალაქე იმყოფება, მაგრამ ტერიტორიის დატოვების სურვილი მხოლოდ 30 ადამიანმა გამოთქვა. ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურების გამო ისრაელის არმია ღაზას სექტორს 27 დეკემბრიდან ბომბავს. **მედიანიუსი**

## თურქეთმა ერაყის ჩრდილოეთში ქურთების პოზიციები დაბომბა

თურქეთის ავიაციამ ერაყის ჩრდილოეთში ქურთების პოზიციები დაბომბა. ქურთული უბნების დაბომბვამ, დაახლოებით, სამ საათს გასტანა. ქურთისტანის მუშათა პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი საკუთარ რიგებში დანაკარგების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. ცნობისათვის - 24 დეკემბერს სამი თურქი სამხედრო მოკლეს და 17 დაჭრეს თურქეთის ქალაქ ჯიზრეში ერაყიდან გადმოპარულმა მებრძოლებმა. დეკემბრის თვეში ეს უკვე თურქეთის მხრიდან ქურთული პოზიციების მესამე დაბომბვაა. **მედიანიუსი**

# ჯორჯ ბუში წასვლის წინ საკუთარ იმიჯზე ზრუნავს

რვაწლიანი პრეზიდენტობის შემდეგ ჯორჯ ბუში თვალთმაქცობს, თითქოს გულგრილად ეკიდება იმას, თუ როგორ დაიმახსოვრებს მას ისტორია. სინამდვილეში, ბუში და მისი გუნდი რეკორდულად დაბალი პოპულარობის პირობებში ცდილობენ, დადებითად წარმოაჩინონ თავიანთი იმიჯი, - წერს გაზეთი "ფიგარო".

7 იანვარს ბუშს "თეთრ სახლში" დაგეგმილი აქვს საუზმე არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან და ყოფილ პრეზიდენტებთან - ბილ კლინტონთან, ჯორჯ ბუშ უფროსთან და ჯიმი კარტერთან. მათ ფონზე წარმავალი სახელმწიფო მეთაური ყველაზე ცუდად გამოიყურება: მისი რეიტინგი (29 პროცენტი) ამერიკის ისტორიაში ყველაზე დაბალია, თუნდაც რიჩარდ ნიქსონთან შედარებით, რომელიც 1974 წელს იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. ჯიმი კარტერიც კი, რომლის პოპულარობაც 1981 წელს 34 პროცენტი იყო, ბუშს ამ კომპონენტში აშკარად ჯაბნის.

ტელეკომპანია "ეი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში ბუშმა აღიარა, რომ ბარაკ ობამას ხალხმა მის გამო მისცა ხმა. გამოკითხვების თანახმად, ათიდან ცხრა ამერკელი მიიჩნევს, რომ ქვეყანა დახრილ სიბრტყეზე მიექანება, ხოლო 76 პროცენტი აშშ-ს წარმავალი პრეზიდენტის მმართველობის შედეგებს "მიუღებელს" უწოდებს. ერთადერთი, რაც ბუშის პრეზიდენტობის დასასრულს გახდა დასამახსოვრებელი, დეკემბრის შუა რიცხვებში ერაყში მისი მისამართით ნასროლი ფეხსაცმელები გახლავთ, რაც მის ისედაც დაბალ პრესტიჟს ნამდვილად ვერ წაადგება.

გამოცემას მოჰყავს ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორ ჩარლზ უოლკოტის მოსაზრება, რომ ერაყსა და ავღანეთში ომები, რეცესია, ფინანსური კრიზისი, ჯანდაცვის სისტემაში არსებული უთანასწორობა და მსოფლიოში ამერიკის გაუარესებული იმიჯი ბუშის საკმაოდ წარუმატებელ მმართველობაზე მოწმობს.

მიუხედავად მოჩვენებითი გულგრილობისა იმის მიმართ, თუ როგორ კვალს დატოვებს ისტორიაში, ბუშმა ამას წინათ განაცხადა, რომ ფინანსური კრიზისის წინაპირობები მის გაპრეზიდენტებამდე არსებობდა და ამდენად, მთელი პასუხისმგებლობა კლინტონის ადმინისტრაციას დააკისრა. რა თქმა უნდა, კლინტონის ადმინისტრაციასაც მიუძღვის ბრალი საფინანსო-საკრედიტო სისტემის რეგულირების დარღვევაში, მაგრამ ბუში მთელი რვა წლის განმავლობაში იგივე კურსს ატარებდა, - აღნიშნავს გამოცემა.

ბუშის ყოფილ პრესმდივან სკოტ მაკლელანის თქმით, პრეზიდენტს ყოველთვის აღელვებდა პოლიტიკური მარკეტინგი. თავისი მემკვიდრის მხარდაჭერის საჯარო დემონსტრირებით ბუში საიდუმლოდ მართავს "უკანასკნელი წუთის ბრძოლას": "თეთრი სახლი" ათობით "შუაღამის კანონს" აწერს ხელს, რომელიც ობამას მოსვლამდე შევა ძალაში. მათი უმრავლესობა გარემოს დაცვას ეხება. კერძოდ, მან ხელი მოაწერა ათასობით ჰექტარი ტყის მასივის გაყიდვის შესახებ განკარგულებას, რომელიც ნავთობის საბადოების დამუშავებას ისახავს მიზნად. ერთ-ერთი განკარგულების თანახმად კი, სამედიცინო მუშაკებს უფლება ეძლევათ, უარი თქვან აბორტის ოპერაციის ჩატარებაზე.

გარდა ამისა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, ბუში თავისი მეგობრების მომავალზეც ზრუნავს: მან დაახლოებული 24 პირი უკვე დანიშნა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. მაგალითად, სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ჯონ კენედის სახელობის ხელოვნების პრესტიჟულ ცენტრს უხელმძღვანელებს.

## წამახალისებელი სადეპოზიტო გათამაშების მოგებახვედრილი ბილეთების ნომრები

| | ბილეთის ნომერი | ფილიალი | მოგება |
|---|---|---|---|
| 1 | 027952 | ქუთაისი | 10 000 ლარი |
| 2 | 036212 | ცენტრალური | 10 000 ლარი |
| 3 | 046557 | ცენტრალური | 10 000 ლარი |
| 4 | 022696 | ვაკე-საბურთალო | 10 000 ლარი |
| 5 | 008049 | ცენტრალური | 150 000 ლარი |

# IFC-ი საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას იწყებს

მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) საქართველოში მოქმედ ბიზნესსკოლებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა დაიწყო.

ამ ინიციატივის ფარგლებში IFC-ის კორპორაციული მართვის პროექტმა თავისი საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა უკვე განათავსა კავკასიის ბიზნესსკოლასა და GIPA-ში. სტუდენტები შეძლებენ გაეცნონ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტების მიერ მომზადებულ სტატიებს იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე. აქვე ნახავენ რეკომენდაციებს, თუ სად შეიძლება დამატებითი და უფრო ამომწურავი ინფორმაციის მიღება მათთვის საინტერესო თემებზე.

29 დეკემბერს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია გეგმავს, მსგავსი საინფორმაციო სტენდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზეც განათავსოს. ამასთან დაკავშირებით ფაკულტეტი ორგანიზებას გაუკეთებს IFC-ის ექსპერტების შეხვედრას სტუდენტებთან. IFC ასევე გეგმავს, სტუდენტებს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები შესთავაზოს, როგორებიცაა თემატური სტატიების გამოქვეყნება ჩვენს პუბლიკაციებში, კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე და ხელმისაწვდომლობა IFC-ის შესაბამის რესურსებზე.

# 1.2 მილიარდი იენი საქართველოს აგრარული სექტორისათვის

იაპონიის მთავრობამ საქართველოს 1.2 მილიარდი იაპონური იენი გამოუყო. საქართველოსა და იაპონიის მთავრობებს შორის არასაპროექტო გრანტის შესახებ ურთიერთგაცვლის ნოტებს გუშინ მოეწერა ხელი.

დოკუმენტებს სახელმწიფო კანცელარიაში იაპონიის ელჩმა საქართველოში მასამიცუ ოკიმ და საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა მოაწერეს ხელი.

აღსანიშნავია, რომ არასაპროექტო გრანტი იმ დახმარების ნაწილია, რომლის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებაც იაპონიის მთავრობამ ოქტომბერში ბრიუსელში გამართულ დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღო. ხელშეკრულება 1.2 მილიარდი იაპონური იენის გამოყოფას ითვალისწინებს, რაც დაახლოებით 13.3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, **"გრანტი სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებას და განვითარებას მოხმარდება, ასევე, ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას."**

რაც შეეხება აგრარულ სექტორს, რომლის განვითარებასაც ამ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის განმარტებით, თანხა სოფლის მექანიზაციის პროგრამაზე, კერძოდ, სოფლებისთვის ტრაქტორების შეძენაზე დაიხარჯება.

საგრანტო დახმარება რიგით მეხუთეა იაპონიის არასაპროექტო საგრანტო პროექტის ფარგლებში. 500 მილიონი იენის გრანტი იაპონიის მთავრობამ საქართველოს 1997 წელსაც გამოუყო, 1999 წელს საქართველომ იაპონიისგან 300 მილიონი იენი; 2005 წელს - 300 მილიონი იენი და 2006 წელს - 800 მილიონი იენი მიიღო.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "ჯიპიაი ჰოლდინგის" ინოვაციური პროდუქტი

სოფო ჩიხლაძე

"ჯიპიაი ჰოლდინგი - ვენის სადაზღვევო ჯგუფი" ახალ წელს ახალი პროდუქტით შეხვდა. კომპანია არსებულ თუ პოტენციურ კლიენტებს დაგროვებითი ტიპის ფასდაკლების ბარათს - "ჯიპიაი ქარდს" სთავაზობს...

სხვა ფასდაკლების ბარათებისგან განსხვავებით, "ჯიპიაი ქარდის" გამოყენება რამდენიმე ასეულ სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტში იქნება შესაძლებელი - იქ, სადაც ჩვეულებრივ ყოველდღიურად იხარჯება თანხა, მაგალითად: რესტორნები, კაფეები, ავტოსერვისები, ავტოსალონები, სამედიცინო და სტომატოლოგიური კლინიკები, კურორტები, სასურსათო, სამოსის თუ სხვა მაღაზიები, სილამაზის სალონები და ა.შ. მთავარი პრინციპი კი ის არის, რომ დახარჯული თანხიდან ბარათის მფლობელს გარკვეული ნაწილი უკან უბრუნდება. თანხა ბარათის მფლობელის პერსონალურ სადაზღვევო ანგარიშზე "ჯიპიაი ჰოლდინგში" გროვდება. **"ეს თვისობრივად ახალი შეთავაზებაა ქართულ ბაზარზე. გვჯერა, რომ დამატებითი სარგებელი იქნება ჩვენი არსებული თუ პოტენციური კლიენტებისთვის, ვინაიდან საშუალებას ვაძლევთ, შეაგროვონ ნაწილი იმ თანხიდან, რასაც ჩვეულებრივ ყოველდღიურად ხარჯავენ. დაგროვილი თანხის გამოყენების რამდენიმე ალტერნატივა იარსებებს: შესაძლებელი იქნება სამედიცინო დაზღვევის საოჯახო პაკეტების ან ავტოდაზღვევის, ქონების დაზღვევის შეძენა, ან, თუ სურვილი იქნება, თანხის გადატანა საპენსიო ანგარიშზე, რომელსაც განკარგავს ბარათის მფლობელი გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ,"** - აცხადებს "ჯიპიაი ჰოლდინგის" მარკეტინგის დირექტორი პაატა ლომაძე.

"ჯიპიაი ქარდს" მომხმარებელი ფულის გადახდისას წარადგენს, რათა მის მიერ გადახდილი თანხა დაფიქსირდეს. სხვადასხვა ობიექტებში ბარათის მფლობელი 5-დან 30 პროცენტამდე ფასდაკლებით ისარგებლებს. სწორედ ეს თანხა ავტომატურად ჩაირიცხება მის სახელზე გახსნილ სადაზღვევო ანგარიშზე "ჯიპიაი ჰოლდინგში".

დაგროვილი თანხის გამოყენება შესაძლებელია ბარათის გააქტიურებიდან 12 თვის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი 12 თვეში დაგროვილ თანხას პროცენტი ემატება.

მომხმარებელს ვებგვერდის მეშვეობით შეუძლია ნახოს, თუ როგორ უგროვდება მის მიერ დახარჯული ფული. ინფორმაცია, ცხადია, კონფიდენციალურია და მისი მიღება მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით იქნება შესაძლებელი, რომელსაც ვებგვერდიდან მიიღებს.

"ჯიპიაი ქარდით" სარგებლობა მომხმარებელს 10 იანვრიდან შეეძლება. ბარათი "ჯიპიაის ჰოლდინგის" კორპორატიულ კლიენტებს საჩუქრად დაურიგდება. მისი შეძენა სხვა მსურველებსაც შეუძლიათ.

"ჯიპიაი ჰოლდინგი", როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში, 2001 წელს დაარსდა. კომპანიის პრიორიტეტია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარება. უკვე რამდენიმე წელია საპენსიო და ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში კომპანია ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. "ჯიპიაი ჰოლდინგი" ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის - "ვენის სადაზღვევო ჯგუფის" შვილობილი კომპანიაა.

"ჯიპიაი ჰოლდინგში" მიაჩნიათ, რომ სადაზღვევო ბაზარზე ინოვაციური პროდუქტის - "ჯიპიაი ქარდის" გამოჩენის შემდეგ მათი სადაზღვევო პროდუქტების მომხმარებელთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

# "საქართველოს ბანკი" დაფინანსების მიღების, ახალი კამპანიის დაწყების და რეორგანიზაციის დასრულების შესახებ აცხადებს

ნინო ნარჩემაშვილი

"საქართველოს ბანკი" 39 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსების მიღების, ახალი კამპანიის - "ყოველთვის საუკეთესო"-ს დაწყების და რეორგანიზაციის დასრულების შესახებ აცხადებს. გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე ბანკის ხელმძღვანელობამ სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა.

რაც შეეხება დეტალურ ინფორმაციას - "საქართველოს ბანკი" საახალწლოდ მომხმარებელს ახალ, ექსკლუზიურ პროდუქტს სთავაზობს. შეთავაზება, რომლის განხორციელებაც გუშინ დაიწყო და რომლის სახელწოდებაც "ყოველთვის საუკეთესო" გახლავთ, მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის საუკეთესო პირობებისა და მომსახურების უზრუნველყოფას და უპრეცედენტო პირობებს ანაბარზე. ახალი შეთავაზება ვადიან, შეგროვებად და საბავშვო ანაბრებზე ვრცელდება. კერძოდ, მომხმარებლები, რომლებიც "საქართველოს ბანკში" ანაბარს გახსნიან, უფრო მაღალ საპროცენტო სარგებელს მიიღებენ, საქართველოში მოქმედი სხვა მსხვილი ბანკების მიერ გაცხადებულ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით. "საქართველოს ბანკში" აცხადებენ, რომ ბანკების ნუსხა დადგინდება ყოველთვიურად და მასში შევა, საქართველოს ბანკის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი მომდევნო სამი ყველაზე მსხვილი ბანკი აქტივების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ საპროცენტო განაკვეთების გადახედვა და კონტროლი ყოველ თხუთმეტ დღეში ერთხელ განხორციელდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც პრესკონფერენციაზე ითქვა: "საქართველოს ბანკმა" OPIC-ისგან 39 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო, საიდანაც 29 მილიონი აშშ დოლარი იპოთეკური დაკრედიტებისათვის ათწლიან საკრედიტო რესურსს წარმოადგენს, ხოლო 10 მილიონი აშშ დოლარი კი სუბორდინირებული სესხი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკისათვის გამოყოფილი ეს თანხა პირველი გარიგებაა იმ შვიდი ქართული პროექტიდან, რომელთა დაფინანსების შესახებაც OPIC-მა 2008 წლის 26 ოქტომბერს გამოაცხადა და რომელთა საერთო მოცულობა 176 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. უნდა ითქვას, რომ ბანკის მიერ ასეთი ოდენობის კრედიტის მიღება უდავოდ მიუთითებს OPIC-ის ნდობის ფაქტორზე როგორც ზოგადად საქართველოს ეკონომიკის, ასევე უშუალოდ "საქართველოს ბანკის" მიმართ.

"საქართველოს ბანკის" ხელმძღვანელობამ ასევე ღიად ისაუბრა ბანკში განხორციელებული რეორგანიზაციის შესახებ და აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად, რომლის მიზანი ბანკის ბიზნესის საქართველოში საკრედიტო მომსახურებაზე მნიშვნელოვნად შემცირებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანა გახლდათ, გაუქმდა მომენტალური განვადებისა და გარე გაყიდვების მომსახურება. მოხდა სამომხმარებლო დაკრედიტების მიმართულებების ოპტიმიზაცია. რეორგანიზაციის შედეგად ბანკის შტატი 830 ერთეულით შემცირდა, რაც უდავოდ არ არის სახარბიელო გარემოება, თუმცა, როგორც ბანკის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში ისევ მოხდება მათი დასაქმება.

და კიდევ ერთი ინფორმაცია: დღეს, 30 დეკემბერს, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება "საქართველოს ბანკის" გრანდიოზული გათამაშების "თქვენ მილიონი გელით" ბოლო ეტაპი, რომლის დროსაც 1 მილიონი აშშ დოლარი გათამაშდება და საქართველოს ბანკის ერთ-ერთი მეანაბრე მილიონ დოლარს მოიგებს.

# უკრაინული ალკოჰოლური სასმელი "პრაიმი" საქართველოში

საქართველოს ბაზარზე ახალი უკრაინული არაყი "პრაიმი" შემოვიდა, რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო "ტფილისი პალასში" გაიმართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ბიზნესწრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები უკრაინიდან.

"პრაიმი" არის 40 პროცენტიანი არაყი, რომელიც დამზადებულია უკრაინული უმაღლესი ხარისხის ხორბლით და დარბილებული ქიშმიშით.

ალკოჰოლური სასმელების ექსპორტ-იმპორტს საქართველოში ახორციელებს კომპანია "გეო ალკო" ჯგუფი, რომელიც აერთიანებს რამოდენიმე კომპანიას, ერთ-ერთია "დელიკატეს დისტრიბუშენი". იგი მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიოში ცნობილი ალკოჰოლური სასმელის ბრენდებს. აქამდე იგი უცხოური ღვინის იმპორტით იყო დაკავერბული, ახლა კი მათ ბიზნესს სპირტიანი სასმელებიც შეემატა, მათ შორის არის არაყი "პრაიმიც", რომელიც "საუკეთესოს" ნიშნავს.

ქართველ მომხმარებელს "პრაიმის" შეძენა 29 დეკემბრიდან ნებისმიერ სავაჭრო ცენტრში თუ რესტორნების ქსელში შეეძლება.

"გეო ალკო" ჯგუფის გენერალური დირექტორის ნიკოლოზ კანდელაკის ინფორმაციით, "პრაიმი" ჩამოსხმულია 0.5ლ. მოცულობის ექსკლუზიურ ბოთლებში და მისი ღირებულება, სავარაუდოდ, 15 ლარი იქნება.

"პრაიმის" პრეზენტაციას წარუძღვა მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი და მომღერალი ქეთი ორჯონიკიძე.

ღონისძიებაზე მოეწყო საქველმოქმედო აქციაც. აუქციონზე გაყიდული ერთი ბოთლი "პრაიმის" თანხა, აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის ფონდში გადაირიცხა. ახალი უკრაინული არაყის საწყისი ფასი 5 ლარიდან დაიწყო და ბოლოს 450 ლარად გაიყიდა.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სარეკლამო კომპანია "სმარტი და დიელო" ჯგუფი და ტურისტული კომპანია "იტა ჯორჯია".

*საკუთარი ინფორმაცია*

# წარმატებული ბიზნესი საქართველოში

## "ეარბალტიკამ" 2 მილიონი მგზავრი გადაიყვანა

თინა შავაძე

უცხოურ საქმიან წრეებში ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებმაც საქართველოში წარმატებული ბიზნესი ააწყვეს და მომავალში ახალი პროდუქტების გაშვებას აპირებენ. მათ შორის ერთ-ერთია ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანია "ეარბალტიკა", რომელმაც საქართველოს ავიაბაზარზე მიღწეული წარმატებების შედეგები გამოაქვეყნა. "ეარბალტიკამ" გასულ თვეში 189 ათას 547 მგზავრი გადაიყვანა და ეს 13 პროცენტით მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (168 ათას 026 მგზავრი). მთლიანად გასულ 11 თვეში გადაყვანილია 2 მილიონ 396 ათას 762 მგზავრი და ეს 29 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მაშინ "ეარბალტიკამ" 1 მილონ 852 ათას 997 მგზავრი გადაიყვანა.

მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში ლატვიურმა ავიაკომპანიამ მთლიანად 44 ათას 038 ფრენა განახორციელა და ეს 30 პროცენტით მეტია გასულ წელთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ფრენების დროს რეისები 62 პროცენტით იყო შევსებული. "24 საათთან" საუბარში "ეარბალტიკას" ვიცე-პრეზიდენტი იანის ვანაგსი ამბობს: "ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანია "ეარბალტიკა" რიგა-თბილისის პირდაპირი რეისის გამოყენებით უკვე ასრულებს მთავარი გადამზიდის ფუნქციას ევროპისა და რუსეთის მიმართულებით. გაზრდილი მოთხოვნის გამო, თბილისის მიმართულებით, კვირაში სამის ნაცვლად, ხუთი რეისი სრულდება."

მოქმედი მარშრუტი რიგა-თბილისი-რიგა მხოლოდ გადამზიდავის ფუნქციას არ ასრულებს. "ეარბალტიკას" ფრენებმა თბილისის მიმართულებით ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. საქართველოს ზამთრის კურორტებზე იმატა ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ტურისტების ნაკადმა. ტურისტული კომპანია "ეგზოტურის" ტუროპერატორი ნუცა ჯორბენაძე ამბობს: "ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან საშობაო არდადეგებისთვის გუდაურის სასტუმროებში ნომრები უკვე დაჯავშნილია. ტურიზმის გარდა, საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებს შორის ვაჭრობაც კარგად ვითარდება. ადგილობრივ ბაზარზე უკვე იყიდება აღნიშნული რეგიონიდან შემოტანილი ქალის თეთრეული და სხვა ნაწარმი.

თავდაპირველად, 2006 წელს ლატვიის ნაციონალურ ავიაკომპანიაში მართლაც არსებობდა შიში იმისა, რომ პოლიტიკურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების გამო თბილისის მიმართულებით დანიშნული რეისი წამგებიანი იქნებოდა. მაშინ "ეარბალტიკას" მენეჯმენტს უთხრეს, რომ აზერბაიჯანში უფრო ადვილი იყო საქმის აწყობა, ვიდრე საქართველოში. ამიტომაც რეისები ამიერკავკასიის ქვეყნებიდან პირველად ბაქოს მიმართულებით დაინიშნა. აზერბაიჯანში ლატვიელებს ურჩიეს, რომ საქართველოში სანდო პარტნიორი შეეძლებოდა ტურისტული კომპანია "ბერიკა" გამხდარიყო. მიღებული გადაწყვეტილებით "ბერიკა" მართლაც გახდა "ეარბალტიკას" წარმომადგენელი საქართველოში და ისე კარგად ჩაერთო საქმეში, რომ მგზავრთა ნაკადმა ორ წელიწადში 2 მილიონს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, გაზრდილი მოთხოვნა რუსეთთან გამწვავებულმა ურთიერთობამაც განაპირობა.

სხვათა შორის, წარმოდგენა, რომ ნავთობის მომპოვებელი მეზობელი აზერბაიჯანიდან "ეარბალტიკას" რეისებზე მოთხოვნა დიდი იქნებოდა, გადაჭარბებული აღმოჩნდა. მიმდინარე წელს "ეარბალტიკამ" ბაქოში წარმომადგენლობა დახურა. სამაგიეროდ, სულ ახლახან, 10 დეკემბერს "ეარბალტიკამ" წარმომადგენლობა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გახსნა. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი კომპანიის საქმიანობის გასაფართოებლად. ამ ეტაპზე კომპანიას წარმომადგენლობა ჰყავს ქალაქებში: ბერლინი, კიევი, მინსკი, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, კლაიპედა და ვილნიუსი.

ავიაკომპანია "ეარბალტიკას" პრეზიდენტი ბერტოლდ ფლიკი ამბობს: "წარმომადგენლობის გახსნა ტალინში კომპანიის სერვისზე გაზრდილი მოთხოვნით არის განპირობებული. "ეარბალტიკას" წარმომადგენლობის გახსნით ჩვენი მომსახურება და კონსულტაციები ესტონელი მგზავრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

მომავალი წლის 30 მარტიდან ზაფხულის სეზონი იწყება. მაშინ რიგიდან განხორციელებულ რეისებს კიდევ სამი მარშრუტი დაემატება, მათ შორის: ლინკოპინგო შვედეთში, პალანგა ლიტვაში და ტრომსო ნორვეგიაში. ლინკოპინგსა და პალანგაში ყოველდღიური რეისები დაინიშნება, ხოლო ტრომსოში ისინი კვირაში სამჯერ შესრულდება.

მიმდინარე წელს "ეარბალტიკამ" ქართველ მომხმარებელს ახალი პროდუქტი შესთავაზა: საფრანგეთის საელჩოს მსგავსად, ლატვიის საელჩოს შეუძლია შენგენის ქვეყნებში შესასვლელი ვიზა გასცეს. გასული წლის 21 დეკემბერს ლატვია შენგენის ზონას შეუერთდა. მიღებული გადაწყვეტილება უპირველესად ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გასულ წელს ლატვიაში 5 მილიონი ტურისტი შევიდა. ტურისტთა ნაკადი ყოველწლიურად 25 პროცენტით იზრდება, მაგრამ ახალი შესაძლებლობა - ქვეყანა შენგენის ზონას შეუერთდა - ევროტურების რაოდენობას ორჯერ გაზრდის. ახალი პროდუქტით საქართველოს მოქალაქეებმაც ისარგებლეს და ეს გახდა იმის საფუძველი, რომ მგზავრთა ნაკადმა 2 მილიონს გადააჭარბა.

ბალტიის პროდუქტი - ტურისტს შეუძლია 3 დღეში ისარგებლოს მარშრუტებით რიგა-ვილნიუსი (202), რიგა-ტალინი (307); მგზავრობა იაფია. ავტომანქანის იჯარა დღე-ღამეში 50 ევრო, ხოლო ავტობუსი 12-15 ევრო ღირს. ტურში შედის რიგა, საკუთარი იუნგერ სტილის არქიტექტურით, მუზეუმები, სპა სასტუმროები, კუნძული საარმა. სკანდინავიური პროდუქტი - 28 ევროდ ბორნით სტოკჰოლმში ღამით გასეირნება; საერთაშორისო პროდუქტი - 59 ქვეყანაში მოგზაურობა.

ლატვიის ნაციონალური ავიაკომპანია "ეარბალტიკას" საქართველოში შემოსვლა კიდევ ერთი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. როგორც ირკვევა, ს.ს "ეარბალტიკა SAS"-ის 52,6 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია, ხოლო 47,2 პროცენტი სკანდინავიურ კომპანია SAS-ს ეკუთვნის. კომპანია 1995 წლიდან მოქმედებს. დაარსების დღიდან კომპანია რეისებს ევროკავშირის ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით ასრულებს. ის მოგებას ძირითადად ევროპის რეისებიდან იღებს. ბალტიისპირეთის ქვეყნების ავიაბაზარზე ეს არის ლიდერი რეგიონული კომპანია, რომელიც რეისებს რიგიდან 33 მიმართულებით, ხოლო ვილნიუსიდან 14 მიმართულებით ასრულებს. კომპანიაში 700 სპეციალისტია დასაქმებული, მას 7 ბოინგი 737-500 (120 ადგილი) და 9 ფოკერი (46-50 ადგილი) ჰყავს. ავიაკომპანია ძირითადად პირდაპირ რეისებზე მუშაობს, მაგრამ ახლა ის ცდილობს, ევროპასა და დსთ ქვეყნებს შორს ტრანზიტის ფუნქცია შეასრულოს. ყოველწლიურად იზრდება მგზავრთა ნაკადი, გასულ წელს მათი რაოდენობა 76 პროცენტით გაიზარდა და 1 037 925 მგზავრი შეადგინა. პირდაპირი რეისებია: ბაქო, ბარსელონა, ბერგენი, ბერნი, ბერლინი, ბრიუსელი, კოპენჰაგენი, დუბლინი, დიუსელდორფი, ჰამბურგი, ციურიხი, ჰელსინგი, ჰურგადუ, სტამბული, კალინინგრადი, კიევი, ლონდონი, მანჩესტერი, მილანი, მინსკი, მოსკოვი, მიუნხენი, ოდესა, ოსლო, პარიზი, სანკტ-პეტერბურგი, სტოკჰოლმი, ტალინი, ტაშკენტი, თბილისი, თელ-ავივი, შარმ-ელ-შეიხი, ვენა და ვილნიუსი.

სკანდინავიურ კორპორაცია SAS-ს, წარმატებული ავიაბიზნესის გარდა, კიდევ ერთ მომგებიან დარგში - ტურიზმში აქვს კაპიტალი ჩადებული. RADISSON SAS DAUGAVA HOTEL-ი რიგაში ერთადერთი საერთაშორისო დონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. ეს ჯგუფი თბილისში რეკონსტრუქციას უკეთებს სასტუმრო "ივერიას" და ბათუმში კი სასტუმრო "შედეას". მათი მშენებლობა მალე დასრულდება და ორივე სასტუმრო საერთაშორისო დონის სასტუმროების ქსელში ჩაერთვება.

# პე-ეს-პე ჯგუფი - გამარჯვებული ნომინაციაში "ლიდერი"

ლიკა ჯობაძე

24 დეკემბერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ წარმატებული ქართული ბრენდები დაჯილდოვდნენ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებულ ღონისძიებაში ქართული კომპანიები 5 ძირითადი ნომინაციის - „წარმატებული ახალი სახელის“, რეპუტაციისა და ნდობის“, „ლიდერის“, „წარმატებული ტელეპროექტისა“ და „ბრენდ-პერსონის“ მიხედვით გამოვლინდნენ.

კონკურსი „ქართული ბრენდი 2008“ წელს უკვე მეექვსედ ჩატარდა. მასში მონაწილე კომპანების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს, რაც კომპანია „პრფილის“ ორგანიზატორების თქმით, ქართული ბიზნესის განვითარებაზე მიუთითებს. **„ამ ტიპის კონკურსებს ევროპაში, ამერიკასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში დიდი გამოცდილება და წარმატება აქვს. ჩვენ კი ექვსი წლის წინ გადავწყვიტეთ ამ ღონისძიების ჩატარება, თუმცა გარკვეული სახეცვლილებით. მთავარი იყო, რომ ეს კონკურსი ქართული ბაზრისთვის მოგვერგო და ვფიქრობ, რომ გამოგვივიდა კიდეცს. კონკურსი „ქართული ბრენდი 2008“ ნამდვილად ჩამოყალიბდა წარმატებულ პროექტად. კონკურსის მიზანია წარმოაჩინოს წარმატებული კომპანიები და დაანახოს საზოგადოებას მათი განვლილი გზა პირველი ნაბიჯებიდან ამ წარმატებამდე. რაც ვფიქრობ ძალიან რთულია. ერთის მხრივ, ეს ამ კომპანიების დაფასება და აღიარება, მეორეს მხრივ კი მათი მომავალი საქმიანობისთვის სტიმულის მიმცემია. გარდა ამისა, ამ ღონისძიებაზე ერთამნეთს ხვდებიან და ეცნობიან სხვადასხვა კომპანიები, რაც შემდეგომ უკვე ჯანსაღი ბიზნეს - ურთერთობების საფუძველია,“** - აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ პრეზიდენტმა ელგუჯა მარღიამ

ნომინაციაში „ლიდერი“ რვა გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა: მათ შორის ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანია „პეესპე ჯგუფი“, რომელიც ქართული ფარაცევტული პროდუქციის ბაზარზე ლიდერი კომპანიაა. მას მსგავსი ტიპის კონკურსებში არერთგზის მიუღია მონაწილეობა, ასე, რომ აღიარება „პეესპე ჯგუფისთვის“ უცხო ნამდვილად არ არის. მიუხედავად ამისა, კომპანის პრზიდენტი გოჩა გოგინაშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ბრენდის ლიდერის სტატუსი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. **„დღევანდელი გამარჯვება კომპანია „პეესპე ჯგუფის“ კოლექტივის დიდი ძალსხმევის შედეგია. დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ის, რომ „პეესპე“ ნამდვილი ლიდერია თავის სფეროში. გარდა აღიარებისა, ეს კონკურსი ჩვენთვის სტიმულის მომცემია, შევინარჩუნოთ ჩვენი წარმატება. „პეესპე-ჩემი ოჯახის აფთიაქი“ მომავალშიც შეინარჩუნებს ტრადიციას და იზრუნებს ყველა მომხმარებლის ჯანმრთელობაზე. კომპანიას მომავალი წლისთვის გრძელვადიანი პროექტები აქვს დაგეგმილი, რომლის შესასრულებლადაც ძალიან აქტიურ რეჟიმში ვმუშაობთ. გავაფართოვებთ აფთიაქების ქსელს, გავზრდით მწარმოებელთა და და დისტრიბუტორთა ხაზებს. მოგახსენებთ, რომ „პეესპე ჯგუფი“ წარმოდგენილია უზბეკეთის, ტაჯიკეთის და სასომხეთი ბაზრებზე. სამომავლოდ უკრაინის, აზერბაიჯანისა და ბულგარეთის ბაზრების ათვისებას ვგეგმავთ.“** - განაცხადა „პეესპე ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა გოჩა გოგილაშვილმა.

## კონტრაქტორი დარბაზიდან გაათავისუფლეს

თბილისი საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ განიხილა დავით ნოდარის ძე წასიძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა სსკ-ის 388-ე მუხლის IV ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით.

2008 წლის 2 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით, დავით წასიძეს აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა.

29 დეკემბერს, საქმის არსებითი განხილვისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მხედველობაში მიიღო დავით წასიძის შემამსუბუქებელი გარემოებები. კერძოდ, ის, რომ დავით წასიძე აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, წარსულში არ იყო ნასამართლევი, ხასიათდებოდა დადებითად. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, დავით წასიძე პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 388-ე მუხლის IV ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. დავით წასიძის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისიძიება დაპატიმრება გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

## კონსულტაციები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თაობაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მოსმენით მიღება საგაზაფხულო სესიაზე მოხდება. ამის შესახებ გადაწყვეტილება ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს. საკითხის გადადების ინიციატივა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, პავლე კუბლაშვილს ეკუთვნის. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სემინარები და კონსულტაციები უნდა გაიმართოს, როგორც არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და, შესაბამისად, ამ კონსულტაციების გამართვამდე კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება მიზანშეწონილი არ იქნება. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნას საპარლამენტო უმცირესობაც იზიარებს.

პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კონსულტაციები და სემინარები გაიმართება იანვარში და, შესაბამისად, კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება თებერვალში, საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე იქნება შესაძლებელი.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაავალა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც პირველი მოსმენით ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო, ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას, ასევე მთელ რიგ ცვლილებებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## დაკავება ქრთამის გამო

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მონიტორინგის სამსახურის უფროსი შოთა გვენცაძე. კუდ-ის ინფორმაციით, ქრთამის გადაცემის ფაქტზე ასევე დაკავებული არიან დარეჯან გვიჭიანი და მარიამ კვინიკაძე.

გამოძიების ინფორმაციით, შოთა გვენცაძემ ერთ-ერთი შპს-ს დირექტორ დარეჯან გვიჭიანს მის საწარმოში მიმდინარე რევიზია-ინვენტარიზაციის პროცესში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა 50 ათასი ლარი. აღნიშნული პირები თანხის ნაწილის - 5 ათასი ლარის გადაცემის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით ფარული აუდიო ჩანაწერებიც გაავრცელა.

საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს 9 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სტატისტიკა და სამოქალაქო სასამართლო

*ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უახლოეს მომავალში საქართველოშიც ამოქმედდება.*

*სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. როგორც საკანონმდებლო ორგანოში აცხადებენ, კანონპროექტს მესამე მოსმენით პარლამენტი დეკემბრის ბოლოს მიიღებს. ახალი საპროცესო კოდექსის პროექტი ბევრ რეფორმატორულ სიახლეს ითვალისწინებს, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასაც.*

„სამოქალაქო სასამართლო“ - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უახლოეს მომავალში საქართველოშიც ამოქმედდება. მალე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობას საზოგადოება მიიღებს და სწორედ ის იქნება მართლმსაჯულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელიც. ამ ინსტიტუტის მიმართ საქართველოს მოსახლეობის მოლოდინი ძალზე დიდია.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მომხრეები მრავლად ჰყავს, ისინი თვლიან, რომ ხელისუფლების ამ რევოლუციურ პოლიტიკურ ნებას სერიოზული დატვირთვა აქვს, ეს ხელისუფლების მიერ საზოგადოების სერიოზული გამოწვევა და გამოცდაა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი ის გახლავთ, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობს საზოგადოება, ანუ მართლმსაჯულებას ახორციელებს არა ერთი ადამიანი - მოსამართლე, არამედ საზოგადოების წარმომადგენლები, რაც, ამ ინსტიტუტის მომხრეთა აზრით, აძლიერებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.

სკეპტიკურად განწყობილთა აზრით კი, ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ გაამართლებს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოწინააღმდეგეები ძირითადად, ხარჯებზე საუბრობენ, რაც ამ ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი. საუბარია, სასამართლო პროცესის მანძილზე თორმეტივე ნაფიცი მსაჯულის შენახვაზე, მათ ტრანსპორტირებაზე, საზოგადოებისგან იზოლირებასა და მათ ანაზღაურებაზე.

საუბარია, კორუფციულ თუ სხვა სახის გარიგებებზეც. საწინააღმდეგო აზრით, მსაჯულთა მოსყიდვა, მათთან მეგობრულ-ნათესაური კავშირების გამოძებნა ან სულაც მათი დაშინება გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე ფიზიკურად და სოციალურად ბევრად უფრო დაცული მოსამართლის. ამის თავიდან ასაცილებლად კი, კრიტიკოსთა განცხადებით, სახელმწიფომ ნაფიც მსაჯულთა მრავალმხრივი უზრუნველყოფა უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

არსებობს კიდევ ერთი, ნეიტრალური მოსაზრებაც - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, თუ დადებით შედეგს ვერ მოიტანს, პრობლემებს არ შექმნის და მართლმსაჯულებას არ დაუზარალებს.

თუმცა, ეს ყველაფერი ვარაუდებია. საქართველოს მართლმსაჯულების პროცესში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩართვა, გახდება თუ არა საზოგადოების მიერ სასამართლო ხელისუფლების რეალური მონიტორინგის განხორციელების გარანტი, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მყარი საფუძველია, ამას მხოლოდ ამ ინსტიტუტის პრაქტიკულად ამუშავების შემდეგ შევიტყობთ.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იმდენად გაამართლა, რომ ამ ინსტიტუტის არსებობის გარეშე სამართლებრივი ქვეყნის არსებობა წარმოუდგენელია. ცნობილი ფაქტია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატურა მყარდებოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უქმდებოდა და, პირიქით, რევლუციის შემდეგ, თითქმის ყველა ქვეყანამ ეს ინსტიტუტი შემოიღო. ასე მოხდა საფრანგეთში რევოლუციის შემდგომ, ესპანეთში ფრანკოს რეჟიმისა და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტს კრიტიკოსები დღესაც მრავლად ჰყავს, ვერც პოლიტიკურად და ვერც სამართლებრივად ბოლომდე არგუმენტირებულად ვერ საბუთდება, რატომ უნდა თქვას ქვეყანამ უარი მასზე.

პრაქტიკამ და ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თითქმის გამორიცხავს უდანაშაულო ადამიანის დასჯის შესაძლებლობას. ამერიკელი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ვერდიქტით უდანაშაულო ადამიანის დასჯის ალბათობა, მხოლოდ ორი პროცენტია. დადგინდა, რომ 157 შემთხვევიდან უდანაშაულო ადამიანის დასჯის ალბათობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია. ამავე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს, მატულობს გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი.

არსებული სტატისტიკით, მსოფლიოს მასშტაბით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქმეების 80 პროცენტს და ის მიჩნეულია სამართლიანი მართლმსაჯულების საფუძვლად.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, აშშ-ს სასამართლოებში ყოველთვიურად განიხილება 70-80 ათასი სისხლის სამართლის საქმე და ნაფიც მსაჯულთა ჟიურის განხილულ საქმეთა მხოლოდ 12 პროცენტზე გამოაქვს გამამტყუნებელი ვერდიქტი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამერიკაში ისეთი წარმატებით მოქმედებს, რომ ამერიკის მოსახლეობა მას „სამოქალაქო სასამართლოს“ უწოდებს. ექსპერტები ამის დასტურად ამერიკის მართლმსაჯულების სტატისტიკას იშველიებენ, რომლის მიხედვითაც, ამერიკაში ყოველწლიურად 2 ათასიდან 4 ათასამდე ადამიანი ეძლევა პასუხისგებაში, რომელთათვის წაყენებული ბრალდება სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მათგან მხოლოდ 250 მსჯავრდებულისთვის გამოაქვს გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ამერიკაში მართლმსაჯულების წარმოების დაახლოებით ასეთი შეფარდებაა: სისხლის სამართლის საქმეების 90 პროცენტი გარიგებითი მართლმსაჯულებით სრულდება, რვა პროცენტს ნაფიცი მსაჯულების სასამართლო განიხილავს, ორ პროცენტს კი, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით, მთლიანად უძღვება მოსამართლე. დაახლოებით იგივე სიტუაციაა დიდ ბრიტანეთშიც.

არსებული სტატისტიკით, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საქმეთა 20 პროცენტზე გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი, ხოლო პროფესიული სასამართლო განსასჯელთა ერთ პროცენტს ამართლებს.

ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, რუსეთში საგრძნობლად იმატა გამამართლებელმა განაჩენმა - თუ ადრე ის განხილულ საქმეთა 0,4 პროცენტი იყო, გახდა 2,5 პროცენტი. არსებული მონაცემებით, 1993 წლის 15 დეკემბრიდან 1997 წლამდე 1 ივლისამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 978 პროცესი ჩაატარა და 1719 ბრალდებულს გამოუტანა ვერდიქტი. თუ 1994 წელს გამამართლებელი ვერდიქტი 20 პროცენტი იყო, 2007 წელს ამ რიცხვმა 22,9 პროცენტს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მოსმენილი საქმეების უმეტესი ნაწილი დასრულდა, ნაფიც მსაჯულთა შუამდგომლობით, რის საფუძველზეც, განსასჯელებს სასჯელი შეუმსუბუქდათ

მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა და ძალზე ბევრ საქმეზე პოლიტიკური სარჩულის მატარებელი ვერდიქტი გამოვიდა, რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე საზოგადოების მოთხოვნა მაინც გაიზარდა. ექსპერტთა აზრით, ამის მიზეზი გახდა, არაპოლიტიკური, წმინდა კრიმინალური კატეგორიის საქმეები, რომელზეც მსაჯულებმა სამართლიანი ვერდიქტი გამოიტანეს. ამის დასტურია ბრალდებულების მოთხოვნის გაზრდა - მათი საქმეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ 1994 წელს ეს მაჩვენებელი შედგენდა 18,2 პროცენტს, 1997 საგრძნობლად გაიზარდა და ბრალდებულთა მოთხოვნამ მიაღწია 36,8 პროცენტს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ძვირ სასამართლოსაც“ უწოდებენ. არსებული საერთაშორისო პრაქტიკით, ბრალდებულს შეუძლია დაიქირავოს ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა დახმარებითაც, მისთვის ფსიქო-სოციალური თვალსაზრისით მისაღები ჟიური დააკომპლექტოს, ამას ემატება სოლიდური ჰონორარის სანაცვლოდ დაქირავებულ პრესტიჟულ ადვოკატთა ჯგუფი, რასაც საქმის მოგების დიდი ალბათობა მოსდევს. თუმცა, ეს ყველაფერი დიდ ფულთან - მილიონობით დოლართანაა დაკავშირებული და, ამიტომაც, „ძვირი სასამართლოთი“ მხოლოდ იშვიათი გამონაკლისი სარგებლობს.

ПОСТ-МОДЕРНУЛИ САКАРТВЕЛО

# ორი ამბავი

გიგა ზედანია

დეკემბრის თვეში ტოლერანტობასთან დაკავშირებული ორი ამბავი მოხდა. როგორც ანეკდოტებშია ხოლმე, ერთი კარგი და ერთიც ცუდი.

კარგი ამბავი ისაა, რომ სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა გამოაქვეყნა ორი წიგნი: "რელიგიები საქართველოში" და "ეთნოსები საქართველოში". პირველის რედაქტორი ზურაბ კიკნაძეა, მეორისა - მერაბ ბასილაია, ხოლო ორივე ამ წიგნის გამოცემაზე პასუხისმგებელი - ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი. გემოვნებით გამოცემული, შესანიშნავად ილუსტრირებული და უაღრესად დიდი ინფორმაციის მომცველი ეს ორი წიგნი ერთი დიდი ნაბიჯია გადადგმული იმისკენ, რომ ჯეროვნად დავაფასოთ ის ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნება, რომელიც არის დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი. ამ წიგნების კითხვისას განცდა გამიჩნდა, რომ ტოლერანტობა უკვე აღარაა ის სიტყვა, რომელიც ადეკვატურად აღწერს იმ ზღვა ენერგიას, ფაქიზ ყურადღებასა და დაუცხრომელ ინტერესს, რომლებიც ამოძრავებდათ მათ ავტორებს. ტოლერანტობა, რასაკვირველია, სიქველე და სათნოებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც შეზღუდული აღიარებაა, ვიღაც განსხვავებულის ატანა, რომლის განადგურებაზეც სულ ცოტა ხნის წინ აიღე ხელი. ტოლერანტობა მოდერნული იდეაა, დაბადებული სისხლიან ბრძოლებზე უარის თქმის მცდელობის პროცესში. ხოლო აზრი, რომ მრავალფეროვნება დასანანი და შესაგუებელი ფაქტი კი არ არის, არამედ სიმდიდრე, რომელიც სამყაროს საინტერესოდ აქცევს - ეს აზრი ტოლერანტობის საზღვრებს სცილდება. მრავალფეროვნების შესახებ ეს წარამოდგენა მთავარი პოსტმოდერნული იდეაა და საქართველოშიც გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ იდეის მატარებლებად შეიძლება მივიჩნიოთ - ასეთი იყო ჩემი სიხარული ამ ორი წიგნის გაცნობისას.

ცუდი ამბავი კი ორმაგად ცუდია, რადგან, ჯერ ერთი, ჩემს ამ იმედიან მსჯელობას ბევრად უფრო პესიმისტურ კონტექსტში ათავსებს, კონტექსტში, რომელშიც ჩვენ ტოლერანტობის იდეის მიღმა კი არ გავდივართ, არამედ ჯერ თავად ამ იდეამდეც კი ვერ მიგვიღწევია (ანუ, არათუ პოსტმოდერნულები არ ვხდებით, არამედ ჯერ მოდერნიზაციაც არ გაგვივლია ხეირიანად). მეორეც, საკუთარი პრინციპის დარღვევა მიიწევს - ვცდილობ ხოლმე, რომ პასუხისმგებლობა კონკრეტულ ადამიანს არ მივაწერო, რადგან მგონია, რომ საქართველოში არსებული მთავარი პრობლემები ობიექტური, სტრუქტურული ხასიათისაა და მათში ერთი ადამიანის დადანაშაულება პრიმიტიული აზროვნების ნიშანი იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ერთი კონკრეტული ადამიანის განცხადებებს უნდა შევეხო.

"ცხელი შოკოლადის" დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდა "პირველი არხის" გენერალური პროდიუსერი გია ჭანტურია. მან საუბარში ეჭვის ქვეშ დააყენა ის, რომ ტოლერანტობა უნდა იყოს საზოგადოებრივი არხის პრიორიტეტი (თუმცა დასძინა, როცა "კორკოტა" იტყვის გადაცემაში, ჩემი მეზობელი ვანია პეტროვი კაი ბიჭი იყოო, ეს ტოლერანტობის მაგალითიაო); ხოლო შემდეგ ასევე გამოთქვა სკეპტიციზმი იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერი დაეთმოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს (გია ჭანტურიას ტერმინოლოგიით, "ხეიბრებს") და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს (გია ჭანტურიას ტერმინოლოგიით, "პიდარასტებს").

აქ მე არ ვაპირებ განახლებული პირველი არხის ავ-კარგიანობის განხილვას, რაც იყო "ცხელი შოკოლადის" მიერ ორგანიზებული დისკუსიის მთავარი თემა. ფაქტია, რომ არხზე გაჩნდა ერთი ცალსახად წარმატებული პროექტი (ეკა კვესიტაძის "აქცენტები") და რამდენიმე ერთმნიშვნელოვნად წარუმატებელი (მათზე მსჯელობას მედია-კრიტიკოსებს მივანდობ, რომლებიც იმაზე მეტ დროს უთმობენ ქართული ტელევიზიებზე დაკვირვებას, ვიდრე ამას მე ვახერხებ).

ჩემი სათქმელი არც ისაა, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალურ პროდიუსერს წარმოადგენაც არ აქვს ტოლერანტობაზე - ეს ასე რომ არ იყოს, მას ეცოდინებოდა, რომ ცალკეული ვანია პეტროვის შექება სულაც არ უწყობს ხელს შემწყნარებლობის დამკვიდრებას - ნებისმიერი ანტისემიტი აუცილებლად ახსენებს კარგ ებრაელ მეზობელს, რომელსაც არაფერს ერჩის - ანტისემიტის აგრესიის ობიექტი მთელი ებრაელი ხალხია და არა მისი ცალკეული "კარგი" წარმომადგენლები, რომელთა არსებობას ის სულაც არ უარყოფს (სხვათა შორის, შეუწყნარებლობის ეს პარადოქსი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შენიშნა ჰუმბოლტმა). რასაკვირველია, თავისთავად უკვე საგანგაშოა იმის აღმოჩენა, რომ "პირველი არხის" გენერალურ პროდიუსერს ფაშისტოიდური შეხედულებები და ღირებულებები აქვს, მაგრამ საქმე კიდევ უფრო უარესადაა.

მთავარი აქ ისაა, რომ ამ დისკუსიიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გია ჭანტურიას ფაშისტოიდური შეხედულებები განმსაზღვრელია და განმსაზღვრელად დარჩება საზოგადოებრივი არხის პოლიტიკისათვის. ხოლო თუ ეს ასეა, საქმე გვაქვს ადამიანთა დისკრიმინაციასთან არხის მიერ, რომელიც დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას. უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გენერალური პროდიუსერის ამ განცხადებებს პასუხი გასცენ არხის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა და საქართველოს პარლამენტის წევრებმა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან არხის ბიუჯეტის დამტკიცებაზე.

***პოსტ-სკრიპტუმის სახით:*** "24 საათში" 24 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში გია ნოდიამ ამომწურავად გააანალიზა სტალინის ძეგლთან დაკავშირებული სიტუაცია. მინდა ჩემი ხმაც შევუერთო მის მოწოდებას - "გაიტანეთ სტალინის ძეგლი"! შემწყნარებლობასაც აქვს საზღვრები. ტოლერანტობა მხოლოდ მათზე ვრცელდება, ვინც მზადაა, თვითონაც იყოს ტოლერანტული.

# ომი პალესტინაში

## ახალი ინტიფადას საფრთხე

ხათუნა გაბიევი

*მესამე დღეა, ახლო აღმოსავლეთში ავიადარტყმების, რაკეტებისა და ჭურვების ხმა არ წყდება. ღაზას სექტორი, რომელიც ისრაელსა და პალესტინას ვერ გაუყვიათ, საერთაშორისო საზოგადოების თავსატეხად და მედიის განსჯის საგნად ქცეულა. ორშაბათს ისრაელის ხელმძღვანელობამ ღაზას სექტორის მოსაზღვრე რაიონები "დახურულ სამხედრო ზონად" გამოაცხადა. საზღვართან 2-4 კმ-ის ზოლში აკრძალულია სამოქალაქო პირების ყოფნა, მათ შორის - ჟურნალისტებისაც.*

პალესტინის რადიკალურმა მოძრაობამ "ჰამასმა" 18 დეკემბერს ოფიციალურად გამოაცხადა ისრაელთან მშვიდობის დარღვევა, რისი მიღწევაც მიმდინარე წლის 19 ივნისს ეგვიპტის შუამავლობით გახდა შესაძლებელი. ისრაელმა კი მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ღაზას სექტორში ავიაციის გამოყენებით 27 დეკემბერს დაიწყო, რასაც უკვე 300-ზე მეტი პალესტინელი ემსხვერპლა. ანკლავის საზღვართან, საჭიროების შემთხვევაში სახმელეთო ოპერაციების დასაწყებად, მეორე დღეა მობილიზებულია რეზერვისტების შენაერთი და ჯავშანტექნიკაც.

ოფიციალურმა თელავივმა სამხედრო ოპერაცია "ჩამოსხმული ტყვიის" მიზნად პალესტინური მხარისგან სარაკეტო-ნაღმსატყორცნი ჭურვებით იერიშის აღკვეთა დაასახელა.

ორშაბათს ღამით ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ღაზას სექტორზე, დაახლოებით, 20 სარაკეტო იერიში განახორციელეს, რასაც "ჰამასის" მილიტარიზებული ფრთის "ეზზედინ ალ-ქასამის ბრიგადის" ერთ-ერთი ლიდერი ემსხვერპლა. გარდა ამისა, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ისლამურ უნივერსიტეტზეც მიიტანეს იერიში. ისრაელის თავდაცვის არმიის წარმომადგენელთა განცხადებით, რაკეტებით დაარტყეს უნივერსიტეტის ორ კორპუსს, რომლის ლაბორატორიებშიც ბოევიკები "კასამის" ტიპის რაკეტებსა და ასაფეთქებელ მოწყობილობებს ინახავდნენ.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ანტიტერორისტული ოპერაციების სამიზნეების განსაზღვრისათვის ჩამოაყალიბა შტაბი, რომელსაც გაერო-ში ისრაელის ყოფილი ელჩი დან გილერმანი უხელმძღვანელებს.

**"ისრაელს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვს. "ჰამასი" ექსტრემისტული ორგანიზაციაა, რომელიც მთელ რეგიონს აკონტროლებს ირანის მხარდაჭერით. ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ ისრაელის მოქალაქეების დასაცავად,"** - განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციპი ლივნიმ.

ისრაელის მთავრობა ერთსულოვანია გადაწყვეტილებაში, რასაც პრემიერ-მინისტრის სიტყვებიც მოწმობს.

**"ჩვენ ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაცია დავიწყეთ მშვიდობისა და სტაბილურობის აღსადგენად სამხრეთ რაიონებში, სადაც მოსახლეობა განუწყვეტელი სარაკეტო იერიშებისა და ტერაქტების ვითარებაში ცხოვრობს. ხალხი ნორმალურ ცხოვრებას და უსაფრთხოების გარანტიებს იმსახურებს,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა.

### "ჰამასს" ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა სურს

სენეგალის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარში პალესტინური ორგანიზაცია "ჰამასის" პოლიტბიუროს ხელმძღვანელმა ხალედ მაშაალმა განაცხადა, რომ პალესტინური მხარე მზადაა, "ღაზას სექტორის წინააღმდეგ აგრესიის შესაჩერებლად" ისრაელთან სამშვიდობო პაქტს მოაწეროს ხელი. სენეგალის პრეზიდენტი ამჟამად ისლამური კონფერენციის ორგანიზაციას თავმჯდომარეობს.

ხალედ მაშაალმა ორი დღის წინ ღაზას სექტორის მოსახლეობასაც მოუწოდა, გამძლეობა გამოიჩინონ და ისრაელის აგრესიას წინააღმდეგობა გაუწიონ.

**"პალესტინელებს არა აქვთ სახელმწიფო, მაგრამ არსებობენ როგორც ერი. ჩვენ დღეს მხოლოდ ერთი არჩევანი გვაქვს - გავაგრძელოთ წინააღმდეგობა ჩვენი კანონიერი უფლებების დასაცავად,"** - განაცხადა მან ტელეარხ "ალ-ჯაზირასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მოსალოობისადმი მიმართვაში მაშაალმა პალესტინელებს, "ღაზელი ძმების" მხარდასაჭერად, საყოველთაო სამშვიდობო აჯანყება "ინტიფადასკენაც" მოუწოდა.

### ახალი ინტიფადას მოლოდინში

პალესტინის ზომიერი ხელისუფლება, რომელიც ღაზას სექტორს ვერ აკონტროლებს, შიშობს, ისტორიაში რიგით მესამე ინტიფადა არ დაიწყოს და "ჰამასს" კონფლიქტის პროვოცირებაში ადანაშაულებს.

პალესტინის ნაციონალური ავტონომიის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასის განცხადებით, მან უკვე მიმართა თხოვნით "ჰამასს", არ დაერღვია მშვიდობა ისრაელთან.

**"სამშვიდობო შეთანხმება ძალაში უნდა დარჩეს. ჩვენ არ გვსურს, ღაზას სექტორი საბოლოოდ განადგურდეს,"** - განაცხადა მაჰმუდ აბასმა.

პალესტინურ ანკლავში ძალადობის შეწყვეტისკენ მხარეებს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმაც მოუწოდა. გაერო-ს გენერალური მდივნის სახელით გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ პან გი მუნმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტს, პალესტინის ნაციონალური ავტონომიის ლიდერ მაჰმუდ აბასს, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, ეგვიპტის პრეზიდენტ

ჰოსნი მუბარაქსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა რამდენიმე ქვეყნის ლიდერთან მოლაპარაკებებში მათ სიმშვიდისკენ მოუწოდა.

ცეცხლის შეწყვეტისა და პალესტინა-ისრაელის საზღვარზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების გახსნისკენ მოწოდება, რათა კონფლიქტის არეალში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა მოხდეს, მოცემულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე მიღებულ რეზოლუციის ტექსტშიც.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ადმინისტრაციამ ისრაელისადმი მხარდაჭერა გამოხატა, ღაზას სექტორში განვითარებული მოვლენების კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. საჯარო გამოსვლას არ ჩქარობს ასევე ამერიკის მომავალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბარაკ ობამა. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების დეტალები მას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გააცნო და ამის შემდეგ თავის მრჩევლებთან კონსულტაციებიც გამართა.

ობამასთან დაახლოებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ისრაელის არმიის ანტიტერორისტულმა ოპერაციამ ობამას შანსი - დაემყარებინა ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის მშვიდობა და კიდევ უფრო აემაღლებინა თავისი რეიტინგი - მკვეთად შეამცირა.

### "ჰამასი": პალესტინა ისლამური სამყაროს ცენტრად იქცევა

"ჰამასი" იგივე "ჰარაქათ ალ-მუქავამა ალ-ისლამიია" ისრაელთან კონფლიქტს ისლამსა და იუდაიზმს შორის საღვთო ომს უწოდებს, რომლის მიზანიც ებრაელებისგან გათავისუფლებულ პალესტინაში ისლამური სახელმწიფოს შექმნაა. გარდა ამისა, პალესტინის რადიკალური დაჯგუფება კატეგორიულად უარყოფს ისრაელის არსებობის კანონიერებას და თავის მიმდევრებს "ისლამის გავრცელებისა და მსოფლიოში ისლამური მოწყობის დადგენისკენ" მოუწოდებს.

"ჰამასი" 1987 წელს შეიხმა აჰმედ იასინმა შექმნა, რომელიც 2003 წელს ისრაელელებმა მოკლეს. რადიკალური მოძრაობა ეგვიპტური ორგანიზაცია "მუსლიმი ძმების" პალესტინურ ფრაქციას გამოეყო. მოძრაობას არ ჰყავს ერთპიროვნული ლიდერი და შედგება რამდენიმე დეპარტამენტისგან. რადიკალური მოძრაობის წევრები მოქმედებენ როგორც იატაქვეშა დაჯგუფებების, ასევე ღია ფორმითაც - კრებენ სახსრებს, იბირებენ ახალ კადრებს და აწყობენ აქციებს. მოძრაობას აფინანსებენ პალესტინელი ემიგრანტები, ირანი და კერძო სპონსორები საუდის არაბეთიდან. "ჰამასი" ისრაელელების წასვლას არა მარტო იმ მიწებიდან მოითხოვს, რომელიც 1967 წელს ომში მიიერთა ისრაელმა, არამედ 1948 წელს არაბებთან ომში დაკავებული ტერიტორიებიდანაც. ამ მიზნის მისაღწევად კი რადიკალური ორგანიზაცია არც ტერაქტებზე ამბობს უარს.

"ჰამასის" იდეოლოგიის თანახმად, ნებისმიერი სიონისტი მტრად მიიჩნევა, ხოლო სიონისტებისგან პალესტინის გათავისუფლება - წმინდა მიზნად. მოძრაობის გულშემატკივართა აზრით, გათავისუფლების შემდეგ პალესტინა ისლამური სამყაროს ცენტრად უნდა იქცეს.

### მსოფლიო პრესის შეფასებები

მშვიდობის აღდგენისკენ არაერთი მოწოდების მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოება ხედავს, რომ ""ჰამასის" თვითმკვლელი სიშლეგისა და ისრაელის არათანაბარი პასუხის" ფონზე ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფა არ ძალუძს.

გავლენიანი ბრიტანული გამოცემა "გარდიანის" თანახმად, ისრაელი პიარკამპანიას ეწევა და მსოფლიოს დარწმუნებას ცდილობს, რომ ღაზას სექტორის განადგურებასა და ხალხის დახოცვაში "ჰამასია" დამნაშავე.

**"ისრაელის თვალთახედვით, მოვლენების ჯაჭვი, რამაც ოფიციალური თელავივი ამ ოპერაციამდე მიიყვანა, სათავეს იღებს სამი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილებიდან ღაზას სექტორიდან არმიის გარნიზონისა და სამოქალაქო დასახლებების გაყვანის შესახებ,"** - წერს გამოცემა.

იტალიური გამოცემა "რეპუბლიკას" თანახმად, ღაზას სექტორში მცხოვრები პალესტინელები უკან დახევას არ აპირებენ. "ჰამასის" ერთ-ერთ წარმომადგენელ ბარუმ ფაუზის თქმით, რომელსაც გამოცემა ტელეფონით დაუკავშირდა, გაცემულია ბრძანება ისრაელელებზე ნებისმიერი საშუალებით თავდასხმის შესახებ. "იზზედინ ალ-ქასამის ბრიგადები" თავად გადაწყვეტენ, სად და როდის მიიტანონ იერიში.

**"პალესტინელები რეაქტიული ჭურვებით იმიტომ კი არ ახორციელებენ თავდასხმებს, რომ ეს მათი ჰობია, არამედ იმიტომ, რომ ეს წინააღმდეგობის ერთ-ერთი ფორმაა, რისი უფლებაც ჩვენ გვაქვს. პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს "ჰამასისთვის" მხოლოდ ძალაუფლების ჩამორთმევა სურს, თავად კი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება არ შეუძლია. ევროპის სისუსტისა და ოფიციალური თელავივისადმი ამერიკის მხარდაჭერის გამო პალესტინელები ისრაელის მძევლებად იქცნენ,"** - განაცხადა სატელეფონო საუბარში "ჰამასის" წარმომადგენელმა.

არაბულ სამყაროში ვერ თანხმდებიან, თუ ვინ შეიძლება იყოს დამნაშავე კონფლიქტის ესკალაციაში. ეგვიპტურ გაზეთ "ელ-დუსთურის" თანახმად, "ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა ხალედ მაშაალმა შიდაარაბული კონფლიქტის გაჩაღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო "მესამე ინტიფადასკენ" მოწოდებითა და თვითმკვლელი ტერორისტების წახალისებით, არამედ ეგვიპტის პრეზიდენტის გაკრიტიკებით.

ესპანური გამოცემა "პაისი" სარედაქციო წერილში კითხულობს: რისი გაკეთება შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას შექმნილ ვითარებაში? მხარეებს ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდოს? მაგრამ ხომ უკვე ცხადია, რომ ეს არ ჭრის.

**"პირველ რიგში, არაბულმა სამყარომ "ჰამასი" უნდა აიძულოს, უარი თქვას ძალადობაზე. შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს კი, რომლებიც მოვლენებს კორიდის მაყურებლებივით შესცქერიან, შეეძლოთ ისრაელთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე ურთიერთობის შეზღუდვა მანამდე, ვიდრე ოფიციალური თელავივი მოლაპარაკებების სერიოზულ სურვილს არ გამოავლენდა. ისრაელს შეეძლო, მეტი ყურადღებით მოკიდებოდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამშვიდობო ინიციატივას, არაბულ სამყაროს კი - თავისი წინადადების ქმედობაუნარიანობის გარანტირება. თუმცა, არავის აქვს ამის იმედი. ისრაელს მშვიდობა და ტერიტორიები სჭირდება, "ჰამასს" კი - რევანში მშვიდობის ფონზე ან მის გარეშე,"** - წერს ესპანური გამოცემა.

# რევიუ

## უფულობა და პარადოქსები ოპერის თეატრში

### "ნაბუქო" - საახალწლოდ ვერდის მუსიკის მოყვარულთათვის

სოფო კილასონია

*ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი საახალწლოდ ტრადიციისამებრ მაყურებელს საჩუქარს უმზადებს. ეს საჩუქარი განსაკუთრებით მათ ეამებათ, ვისაც ოპერა უყვარს და სამწუხაროდ 2008 წელს ბევრი ვერაფრით გაახარეს.*

ოპერისა და ბალეტის თეატრში საოპერო დადგმა სულ უფრო და უფრო იშვიათი მოვლენა ხდება. პასუხი მუდამ ერთია - არ არის სადადგმო ფული. სადადგმო ხარჯები ვერც 2009 წლის სასტარტო ეტაპისთვის მოიძიეს და სწორედ ამიტომ 6 იანვარს ვერდის "ნაბუქოს" საკონცერტო შესრულებას წარმოგვიდგენენ. თუმცა ეს საკონცერტო შესრულებაც აუცილებლად უნდა მოვისმინოთ. წამყვან პარტიებს საახალწლოდ სამშობლოში ჩამოსული ცნობილი ქართველი მომღერლები შეგვისრულებენ. ამას გარდა, კარგა ხანია, რაც ორკესტრი 6 იანვრის საღამოსთვის ემზადება...

სულ რაღაც 4 წლის წინ გვესმოდა, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი ჩვენი სახელმწიფოს სახე და სიამაყე უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ ბოლო წლებში ეს დევიზი ისევე დავივიწყეთ, როგორც ბევრი სხვა რამ. სწორედ ამიტომ თბილისში უკვე ქილიკობენ და ფალიაშვილის სახელობის თეატრს ბალეტის თეატრს უწოდებენ. ცხადია რატომაც, საბალეტო დასი პრემიერას პრემიერაზე უშვებს, ოპერა კი ვერა. ამას ემატება ისიც, რომ საოპერო დასი ძალებს სეზონურად კარგავს. ახალგაზრდა და ნამდვილად პერსპექტიულ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართული ოპერის ნათელ მომავალში გვარწმუნებდნენ, დღეს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე არ დგანან. ლა სკალაში სწავლა-სტაჟირების შემდეგ მათი კვალი დაიკარგა. რთულია დავიჯეროთ რომ მათ დასაბრუნებლად თეატრი იბრძვის და ამ ბრძოლაში თეატრს ზურგს ვინმე უმაგრებს, რთულია რადგანაც 2008 წელს თბილისი გიორგი ონიანმაც კი დატოვა. ცნობილმა ტენორმა, რომლის სამშობლოში დაბრუნებაც ოთხი წლის წინ განსაკუთრებულად ვიზეიმეთ და რაც მთავარია, ამ ტენორის თბილისში მოღვაწეობა მსმენელს აიმედებდა, სპექტაკლებს კი ამშვენებდა. ონიანი გულდამშვიდებულებმა გავაცილეთ, ისიც ბონში დასახლდა, მუშაობს ამავე ქალაქის ოპერის თეატრში და გასტროლებზე დადის, არა მხოლოდ ევროპულ ქვეყნებში. ჩვენს საოპერო დასში კი არ არის არც ერთი ისეთი ტენორი, რომელიც იოლად დაძლევს წამყვან პარტიებს. მხოლოდ ტენორებში რომ იყოს საქმე, ამას კიდევ ეშველებოდა რაიმე... თეატრში არის ერთადერთი ბარიტონი - სულხან გველესიანი, რომელსაც შეუძლია კულტურულად, ხარვეზების გარეშე შეასრულოს თავისი გმირის ვოკალური ნაწილი და დამსახურებული აპლოდისმენტები დაიმსახუროს. სოპრანო - დასში პოზიციებს იმაგრებს ირინე რატიანი, რომელიც ასევე დაახლოებით სამი წლის წინ დაბრუნდა ევროპიდან თბილისში. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გველესიანი და რატიანი აკადემიური თეატრისთვის აუცილებელი ვრცელი რეპერტუარის (მისი არსებობის შემთხვევაში) ყველა იმ როლს უნაკლოდ შეასრულებდნენ, რომელიც ბარიტონისა და სოპრანოსთვის არის შექმნილი. რომც მოიხდინონ, ფიზიკურად ვერ დაძლევენ მასშტაბს.

მოკლედ, პრობლემა კიდევ ბევრია, მაგრამ ალბათ ისიც ცხადია, რომ ამ პრობლემებს ჩვენზე უკეთ თეატრში იაზრებენ. ხედავენ თუ არა გამოსავალს? - ეს შეკითხვა აზრს მოკლებულია, იმიტომ რომ ის აუცილებლად უნდა დაინახონ, ანდა გამოძებნონ.




ბოლო პერიოდში, ალბათ თეატრის როლის აქტუალიზირების გამო მის სივრცეში მღერის ფოლკლორული ანსამბლი "სულიკო", რომელიც საოპერო დასის სოლისტებით არის დაკომპლექტებული და ვერ ვიტყვით, რომ ეს ფაქტი დადებითი მოვლენაა და პროფესიონალიზმში ეთვლება ვინმეს. მაგრამ `მრავალჟამიერი` ემღერებათ ალბათ... უდავოდ საინტერესოა ოპერის სიმფონიური კვარტეტის კონცერტები ძალიან კამერულ გარემოში, თუმცა კვარტეტი ოპერის თეატრისთვის "კლასგარეშე" მუშაობას ჰგავს... ასევე უნდა აღინიშნოს თეატრის სივრცეში გამართული გამოფენები, თუმცა ხშირად საოცარია ამ გამოფენების იერსახე და მათი კავშირი ოპერისა და ბალეტის თეატრთან. თუ შარშან ამ დროს პეტერბურგიდან ჩამოტანილი საშინელი, ბოროტი და მახინჯი თოჯინები იმზირებოდნენ სარკეებიან დარბაზში, წელს სულ ცოტა ხნის წინ პოლიტიკური კარიკატურის გამოფენასაც კი უმასპინძლეს. თავად გამოფენების ორგანიზება თეატრში მშვენიერი და ბევრგან მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ ამ გამოფენებს შერჩევა, ორგანიზება სჭირდება. თეატრის გარემო და მისი ადგილი საზოგადოებაში ცხადია, რომ განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს პროექტების ორგანიზატორთა წინაშე. მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, ან უნდა ჰქონდეს...

2008 წელს ოპერის თეატრის გარემონტებასაც სერიოზული კითხვის ნიშანი დაესვა. ალბათ, ბიძინა ივანიშვილსაც ამოეწურა მოთმინება. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის ხელმძღვანელობა მოხარული გახლდათ პერსპექტივით, რომელსაც თეატრის რემონტი და შიდა რეკონსტრუქცია ერქვა, თეატრიდან დროებით გასვლა მაინც არავინ მოინდომა. სანამ საბალეტო დასისთვის მოსაწონსა და შესაფერის შენობას დაეძებდნენ, შანსი დაიკარგა და ვინ იღებს ამ შეცდომაზე პასუხისმგებლობას, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა უკვე ალბათ უმნიშვნელოც. კიდევ როდის დადგება დღის წესრიგში ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლება? როდის მოერევა ამ პროექტს სახელმწიფო დამოუკიდებლად? ეს ის კითხვებია, რომლების გახმიანებას ასევე არ აქვს აზრი.

სამაგიეროდ, აზრი აქვს კიდევ ერთხელ განვმეორდეთ და შეგახსენოთ, რომ 6 იანვარს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ჯუზეპე ვერდის ოპერის "ნაბუქოს" პრემიერა (საკონცერტო შესრულებით). სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორია ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

პრემიერებში მონაწილეობენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავები და ჩვენი თეატრის სოლისტები: პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი, ზურაბ სოტკილავა, ნინო სურგულაძე, ნანა ქავთარაშვილი, ირინე რატიანი, სულხან გველესიანი, ლეგი იმედაშვილი, ელენა პუტილოვა, გიორგი მახარაძე, მანანა იორდანიშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე და ცხადია, თეატრის გუნდი და ორკესტრი.

თემისტოკლე სოლერას იტალიური ლიბრეტოს და ანისეტ-ბურჟუასა და ფრენსის კორნუს ბიბლიურ ისტორიაზე დაფუძნებული პიესის მიხედვით ჯუზეპე ვერდის მიერ შექმნილი "ნაბუქოს" მსოფლიო პრემიერა 1842 წლის 9 მარტს შედგა მილანის "ლა სკალაში". ოპერას იმთავითვე უდიდესი წარმატება ხვდა წილად და პრაქტიკულად, განსაზღვრა კიდეც ვერდის მომავალი არტისტული კარიერა. საგულისხმოა, რომ თბილისის ოპერის თეატრში "ნაბუქო" აქამდე არ დადგმულა და ამჯერად, პირველად შესრულდება.

"ნაბუქო" ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია ვერდის შემოქმედებიდან, კომპოზიტორის ერთ-ერთი ადრეული ოპერა, რომელიც მის მილანურ ეტაპს ეკუთვნის. ვერდის, "ნაბუქოსა" და მის თბილისურ შესრულებაზე ოდნავ მოგვიანებით, პრემიერის შემდეგ გავაგრძელებთ საუბარს.

## "ლედ ზეპელინის" გიტარისტი დიადთა შორის უდიადესია

### ჯიმი პეიჯი ყველა დროის საუკეთესო გიტარისტად დასახელდა

ლეგენდარული ჯგუფის "ლედ ზეპელინის" გიტარისტი ჯიმი პეიჯი, ამერიკული რადიოს, "ჩოპ შოფის", მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ყველა დროის საუკეთესო გიტარისტად დასახელდა.

კანდიდატთა სია შედგენილი იყო ექსპერტების მიერ და ცხრა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით აფასებდა თითოეულ გიტარისტს მსმენელი. შესრულების ტექნიკა, მუსიკაში შეტანილი წვლილი (გავლენა მუსიკის სამყაროზე), უნიკალური ჟღერადობა და ა.შ

ჯიმი პეიჯმა 87.94 სარეიტინგო ქულა აიღო და სულ ცოტათი აჯობა მეორეზე გასულ, აწგარდაცვლილ ჯიმი ჰენდრიქს, ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა როკ-მუსიკოსმა 84.92 სარეიტინგო ქულა მიიღო. მესამეზე ჰოლანდიელი გიტარისტი ედი ვან ჰალენი გავიდა. ჰარდ როკსა და მძიმე მეტალს მასზე გამორჩეული გიტარისტი არ ჰყოლია. მეოთხე ადგილი "ფინქ ფლოიდის" ერთ-ერთმა ლიდერმა დევიდ გილმორმა დაიკავა. როჯერ უოტერსთან, ნიკ მეისონთან, სიდ ბარეტსა და რიჩარდ რაიტთან ერთად გილმორმა შექმნა ერა და ჯგუფი რომელსაც დღემდე მილიონობი მსმენელი ჰყავს. მეხუთე ადგილს დასჯედა არანაკლებ ცნობილი და პოპულაური ჯგუფის "როლიგნ სთოუნზის" გიტარისტი

კიტ რიჩარდსი. ჯგუფ "ჰუს" წევრი სტივ ტაუნსჰედი სულ ცოტათი ჩამორჩა რიჩარდს. სტივ ვაი მეშვიდე ადგილზე გავიდა. ერთადერთი ჯაზმენი ათეულში კი აღმოჩნდა ლეს პოლი, რომელმაც მერვე ადგილი დაიკავა. AC/DC მუდამ ორიგინალური ჩაცმულობით და მანერებით გამორჩეულმა გიტარისტმა, ანგუს იანგმა, კი მეცხრე ადგილი დაიკავა. ათეული ჯეფ ბეკმა დახურა.

რეიტინგში ასევე მოხვდნენ: ერიკ კლაპტონი(მე-13-ე ადგილი), კარლოს სანტანა(22-ე), ბრაიან მეი(28-ე), ფრენკ ზაპა(მე-17-ე ადგილი), ჯო სატრიანი(24-ე) და ა.შ

## აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე არჩეულია ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე**, როგორც ცნობილია, ევროპისა და ამერიკის არაერთი წამყვანი აკადემიის უცხოელი საპატიო წევრია, რაც არსებითად ქართული მეცნიერების საერთაშორისო მასშტაბით აღიარებას მოწმობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოვიდა ცნობა, რომ **აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე** ამჯერად ლატვიის მეცნიერებათა აკადემიამ აირჩია თავის უცხოელ წევრად, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნების დაახლოებას. ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **იურის ეკმანისი** თავის წერილში **თამაზ გამყრელიძისადმი** გამოთქვამს იმედს მომავალში ჩვენი აკადემიების და ჩვენი მეცნიერების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.

## ეროვნულ არქივში ფოტოდოკუმენტების ონლაინ კატალოგზე მუშაობა დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში პროექტზე "საქართველოს ფოტომემკვიდრეობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა" მუშაობა დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს ეროვნულ არქივში დაცული ფოტოდოკუმენტების ონლაინ კატალოგის, საინფორმაციო ბაზისა და სპეციალური ვებგვერდის შექმნას. პროექტის ფარგლებში მოხდება 10 ათასი ფოტოდოკუმენტის ელექტრონული ვერსიისა და შესაბამისი მონაცემების საინფორმაციო ბაზაში განთავსება. სპეციალური ინტერნეტგვერდი კი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მარტივად და სწრაფად მოიძიოს.

პროექტი იუნესკოს "მონაწილეობის პროგრამის" ფარგლებში და მისი ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი 2009 წლის დეკემბერში დასრულდება, თუმცა, საინფორმაციო ბაზის შევსება შემდგომშიც გაგრძელდება. ეროვნულ არქივში 250 ათასი ფოტოდოკუმენტია დაცული. მათგან უძველესი ფოტომასალა XIX საუკუნის 60-იან წლებშია შექმნილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზუმბამ სკოლის მოსწავლეებთან ერთად ახალი კლიპი გადაიღო

თბილისის 10-ე საჯარო სკოლაში (ც. დადიანის ქ. 189), საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან არსებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა სოციალური დატვირთვის მუსიკალური კლიპის "ნატვრისთვალის" პრეზენტაცია გამართა. (მუსიკის და ტექსტის ავტორები ზაზა კორინთელი (ზუმბა) და გია დიასამიძე, ასრულებს ჯგუფი "ზუმბალენდი", რეჟ. გია დიასამიძე).

"ნატვრისთვალის" გადაღება - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის ფარგლებში - გახდა შესაძლებელი, რომელსაც ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასთან არსებული ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი ახორციელებენ.

კლიპზე მუაობა 2008 წლის მაისისა და ივნისის თვეებში მიმდინარეობდა და მასში ასახულია 10-ე საჯარო სკოლის 9-ე პირველი და 9-ე მეორე კლასების ცხოვრება, როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე მის მიღმა და ის მეგობრული გარემო, რომელიც არსებობს ინკლუზიური განათლების პროექტის ფარგლებში საგანამანათლებლო პროცესში ჩართულ სკოლის მოსწავლეებს შორის.

სოციალური დატვირთვის მუსიკალური კლიპის "ნატვრისთვალის" მიზანს წარმოადგენს: ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია, ათ საპილოტე სკოლაში რეალურად არსებული კეთილგანწყობილი გარემოს ჩვენება და სასწავლო პროცესის მიღმა მყოფი შეზღუდული შესაძლებლობისა, თუ სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების დაინტერესება ინკლუზიური განათლებით და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. **მედიანიუსი**

## კახეთში პირველი ღამის კლუბი გაიხსნა

პირველად კახეთში ღამის კლუბი WINE @ WATER გაიხსნა. კლუბი ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გვერდითაა განთავსებული. ღამის კლუბი ბრიტანული ფლეიბოის სახემ, დიჯეი ლორენ პოპმა გახსნა.

პრეზენტაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღამის კლუბი თანამედროვე განათებებით და მუსიკალური აპარატურითაა აღჭურვილი. 31 დეკემბერს ღამის კლუბი აწყობს ახალი წლის ფართს სახელწოდებით "ოქროს სიყვარული", რომელზეც მოწვეული არიან დიჯეები დიდი ბრიტანეთიდან პოლ როსი და ქეი-ქლას-ქრიმი. **მედიანიუსი**

# ეროვნული მუზეუმი 4 წლისაა

### სიუჟეტებით და პორტრეტებით გადმოცემული ეპოქები...

ეკა ჩიკვაიძე

*"პატრიარქი გარეჯში"*

საქართველოს ეროვნული მუზეუმი დღეს დაარსებიდან ოთხი წლის იუბილეს აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის დაარსება 1852 წლით თარიღდება, როდესაც რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის დეპარტამენტი გაიხსნა, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს ეროვნული მუზეუმი ოფიციალურად 2004 წლის 30 დეკემბერს დაარსდა. მას შემდეგ მსოფლიო კლასის მუზეუმი სამეცნიერო კვლევებს, საგანმანათლებლო და საზოგადოების შთამაგონებელ საქმიანობას ემსახურება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ტურიზმის განვითარებაში. მისი მიზანია საქართველოსა და სხვა ერების წარსულისა და აწმყოს, ასევე ბუნებრივი სამყაროს ძეგლების კვლევა, დაცვა, პოპულარიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. ეროვნული მუზეუმის დაარსება ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სტრუქტურული, ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო რეფორმების საწყისად მიიჩნევა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დაარსების დღეს მუზეუმის თანამშრომლები უკვე მეოთხე წელია საზეიმოდ აღნიშნავენ. ტრადიციულად ამ დღისთვის ღვაწლმოსილ მეცნიერ-თანამშრომლებს სპეციალური ერთგულების სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცემათ. "ჩვენი მთავარი ამოცანა და პრიორიტეტი ყოველთვის გახლავთ თანამედროვეობისა და წარსულის ერთმანეთთან დაკავშირება. ჩვენთან მუშაობენ როგორც ახალი, ისე ძველი თაობის წარმომადგენლები და მათი ერთიანობა არის ძალა, რომელმაც მუზეუმი წინ უნდა წაიყვანოს", - აღნიშნა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

წლევანდელი საიუბილეო დღესასწაული მუზეუმისთვის განსაკუთრებულია, რადგან თითოეული მუზეუმელისთვის უსაყვარლესი ადამიანის გურამ ბუმბიაშვილის არაჩვეულებრივი გამოფენით აღინიშნება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 1980-იან წლებში შესრულებული მუზეუმის ისტორიის ამსახველი სიუჟეტები, სცენები პანტომიმის თეატრიდან, თბილისის "დინამოს" თამაშები, ძველი თბილისის პეიზაჟები და ბევრი სხვა არაჩვეულებრივი ოსტატობით შესრულებული ნამუშევარი.

გურამ ბუმბიაშვილი ბავშვობიდან ხატვით იყო დაინტერესებული, თუმცა ოჯახური პირობების გამო ხატვას თავი დაანება. იყო პერიოდი, როცა ცნობილი ფოტოგრაფი აბრეშუმის მუზეუმში შიკრიკად მუშაობდა, შემდეგ კი ფიზიკის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. მისი ფოტოები რეგულარულად იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთებში, ბოლო 33 წლის განმავლობაში კი, იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთგული თანამშრომელია. ცნობილი ფოტოგრაფისთვის, რომელმაც ქართული ფოტოგრაფიის ისტორიაში კუთვნილი და განუმეორებელი ნიშა შექმნა, ეროვნულ მუზეუმში გამართული პერსონალური გამოფენა პირველია. მის ფოტოობიექტივს წლების განმავლობაში არაერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა დაუფიქსირებია. ეროვნული მუზეუმის საიუბილეო დღესასწაულზე წარმოდგენილი ფოტოსურათების გარდა, გურამ ბუმბიაშვილის ნახატებიც იქნება გამოფენილი, წარმოდგენილი იქნება ასევე ელენე ახვლედიანის უკანასკნელი ფოტოები, რომელიც ფოტოგრაფმა მხატვარს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გადაუღო. მნიშვნელოვანია პატრიარქის აღსაყდრების უნიკალური კადრი, გამოფენის ერთ-ერთ მთავარი თემაც სწორედ პატრიარქს ეძღვნება. "გადაღებული მაქვს ბევრი შავ-თეთრი ფოტოსურათი, თუმცა ბევრი რამის კარგად ასახვა ორ ფერში შეუძლებელია. მე უფრო ფერების თამაშს და მათ ჩამუქებას ვანიჭებ უპირატესობას, პატრიარქის აღსაყდრების კადრიც სწორედ ასე შევქმენი", - ამბობს გურამ ბუმბიაშვილი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დღეს გახსნილი საიუბილეო გამოფენა ერთ თვეს გასტანს.

# სლაი რეჟისორის სავარძელში

### სტალონე ედგარ ალან პოს შესახებ ფილმს იღებს

თამარ ხუციშვილი

ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი სილვესტერ სტალონე ახალ პროექტზე მუშაობს. მის ახალ ფილმში The Expendables მონაწილეობას მიიღებენ ჰოლივუდის ცნობილი მსახიობები. ოსკაროსანი ფორესტ უიტეკერი, ჯეისონ სტეტჰემი, ჯეტ ლი, სანდა ბალოკი და დოლფ ლუნდგრენი. სტალონე ფილმის რეჟისორი, სცენარისა და იდეის ავტორი, პროდიუსერი და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იქნება. ფილმი ეხება დაქირავებული ადამიანების ჯგუფს, რომლებსაც დავალებული აქვთ ერთ-ერთი ლათინო ამერიკული ქვეყნის დიქტატორის მოკვლა და ქვეყანაში გადატრიალების მოხდენა. სანდრა ბალოკი ერთ-ერთი სპეცსამსახურის აგენტს თამაშობს, რომლის მთავარი მიზანია დაქირავებულთათვის ხელის შეშლა, მის პარტნიორს ფორესტ უიტეკერი ითამაშებს.

სანდრა ბალოკთან და დოლფ ლუნდგრენთან ერთად სტალონეს სხვა პროექტებშიც უთანამშრომლია. "როკი 3"-ში ლუნდგრენი როკის მოწინააღმდეგე ივან დრაგოს თამაშობდა, ბალოკმა კი "გამანადგურებელში" გაუწია პარტნიორობა.

ბოლო რამდენიმე წელიწადია სილვესტერ სტალონე მთლიანად რეჟისურაზეა გადართული და სხვის პროექტებში აღარ მონაწილეობს. "ოსკარის" ნომინანტსა და "ოქროს ჟოლოს" (წლის ყველაზე ცუდ რეჟისორებს, მსახიობებსა და პროექტებს ამ პრიზით აჯილდოებენ) არაერთგზის მფლობელ მსახიობს ასევე დაგეგმილი აქვს ფილმ "პოს" გადაღება - ცნობილი მწერლის ედგარ ალან პოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 2010 წლისთვის იგი ასევე გეგმავს "რემბოს" ახალი ნაწილის გადაღებას. ისევე როგორც წინა სერიებში მთავარ როლში კვლავ თავად იქნება და რეჟისორის სავარძელსაც მიუჯდება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (119) ფაქსი; E-mail: globalfund@caucasus.net) ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის და თანმდევი საგანმანათლებლო მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროექტის „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოვება“ (პროექტი N-GEO-607-G06-H) პროგრამის ფარგლებში (ლოტი N2, „აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული პროგრამებით ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება“) გათვალისწინებულ მომსახურებაზე შემსრულებლების გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები („გლობალური ფონდის“ პროექტი: NGEO-607-G06-H).

3. შესყიდვის ობიექტია:

„გლობალური ფონდის“ პროექტის (აივ/ინფექცია შიდსის პროექტი მე-6 რაუნდი, პროექტი: NGEO-607-G06-H) მე-2 ლოტით გათვალისწინებული მომსახურება - „აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული პროგრამებით ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება“, რაც ითვალისწინებს:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა უზრუნველყოფას აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით;
- შპრიცების გაცვლის პროგრამების განხორციელების გზით ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებას;
- თანასწორგანმანათლებელთა მიერ აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფას ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა შორის;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების საშუალებით ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა აივ ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ინფექცია/შიდსზე, უსაფრთხო ქცევის ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობასა, მათი საგანმანათლებლო ბროშურებით და სხვა სახარჯი მასალებით უზრუნველყოფას.

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა: 2009 წლის 01 თებერვალი - 2009 წლის 31 დეკემბერი.

(შენიშვნა: მომსახურების გაწევის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას).

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ: 2009 წლის 20 იანვრის 10:00 სთ.-დან 2009 წლის 20 იანვრის 16:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე: 2009 წლის 20 იანვრის 16:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უნდა უზრუნველყოს შემდეგ ცნობებისა და ინფორმაციის წარმოდგენა:

იურიდიული პირისათვის:

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, E-mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების სახით ასევე უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია რელევანტური ლოტის შესაბამისად:

- ინფორმაცია შესაბამის ლოტთან დაკავშირებული საქმიანობების განხორციელების გამოცდილების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტურ რეგიონებში მუშაობის გამოცდილება);
- ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე (ინფორმაცია სათანადო კადრის კვალიფიკაციის შესახებ, ან საჭიროების შემთხვევაში სერთიფიკატი შესაბამის საქმიანობებში: სგგი/აივ/შიდსის დიაგნოსტიკა, მკურნალობა);
- ინფორმაცია თემატური ტრეინინგების განხორციელების გამოცდილების შესახებ (არსებული მეთოდოლოგია, სათანადო სასწავლო ბაზა);
- საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები/ნებართვები შესაბამისი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის (მათ შორის ლაბორატორიულ საქმიანობაში: სგგი/აივ-დიაგნოსტიკა);
- საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია შიდსით დაავადებულთა მკურნალობის გამოცდილების შესახებ (ინფორმაცია აივ/შიდსით ინფიცირებულთა მკურნალობის, მოვლისა და მონიტორინგის გამოცდილებისა და სათანადო დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული საქმიანობების შესახებ);
- გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და განფასება;
- ბიუჯეტი (ხარჯების ფინანსური განწერა, ეკონომიკური კლასიფიკაცია, რის საშუალებითაც განხორციელდება შესაბამისი ლოტის მომსახურება).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი), ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შესაბამისი ფინანსური მახასიათებლებით წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილეობის მსურველი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ.

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

8.1 მომსახურების აღწერილობასა და მეთოდოლოგიას ქვემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად:

II ლოტის მიზანია:

- დამატებით ერთ რეგიონში ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების მასშტაბების სწრაფი შეფასება/ანალიზი მიზნობრივი პრევენციული პროგრამის ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
- აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ერთი ახალი და ორი არსებული ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - ერთი წლის განმავლობაში ნარკოტიკების ინექციური გზით 600 მომხმარებლის კონსულტირებისა და ტესტირების მიზნით;
- აღნიშნულ რეგიონებში შპრიცების გაცვლის ერთი ახალი და ორი არსებული ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომლებიც რეგულარულად მოემსახურება 700 ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელს;
- 20 თანასწორგანმანათლებლის მომზადება/ტრეინინგი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით 1,000-მდე ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელის მოცვა;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა შორის, ასევე, აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით სხვა სახარჯი მასალების გავრცელება.

8.2 გასაწევი მომსახურების ვადებს (გეგმა-გრაფიკი);

8.3 გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და განფასება;

8.4 ბიუჯეტი (ხარჯების ფინანსური განწერა, ეკონომიკური კლასიფიკაცია, რის საშუალებითაც განხორციელდება შესაბამისი მომსახურება);

8.5 არსებული და მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინვენტარის ჩამონათვალს (სათანადო ღირებულების, ტექნიკური პარამეტრის/სპეციფიკაციის დართვით ქართულ და ინგლისურ ენაზე), რომლის საშუალებითაც განხორციელდება აივ/შიდსის პროექტის შესაბამისი ლოტის მომსახურება;

8.6 ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში);

8.7 სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში მათ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს მე-6 პუნქტში აღნიშნული და მის მიერ გასაწევ საქმიანობაზე შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-6 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

10.Pსატენდერო წინადადებების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მათი შესაბამისობა ლოტის მიზნებთან და გამოიყენებულ იქნება მათი ქულებით შეფასების წესი.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი“ ( ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 36089810205272040003); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა: განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 19 იანვრის 18:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ან დაზღვევა): სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სანდრო კვაჭანტირაძე, ხათუნა კაპანაძე (სატენდერო კომისიის აპარატის წევრები), სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (119) ფაქსი; E-mail: globalfund@caucasus.net).

## მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

1. საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი *მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის* დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად:

პაკეტი N1 **„ონის რაიონის სოფლებში ზუდლსა და გომში ორი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/1***

პაკეტი N2 **„დუშეთი-გრემისხევის სოფლის გზის რეაბილიტაცია“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/2***

პაკეტი N3 **„ახალი ხიდის მშენებლობა მდ. არაგვზე, სოფ. სალაჯურებში“, *ADPCC/RDPMHA/CW-2008/3***

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC) ოფისში, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის N6, ოთახი N307 (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო) წერილობითი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე. (ელ.ფოსტა: office@adpcc.org.ge ან lali.durmishidze@adpcc.org.ge). სატენდერო მოსაკრებელი თითოეული პაკეტისთვის შეადგეს 100 ლარს, რომელიც უნდა იქნას ჩარიცხული შემდეგ ანგარიშზე:

თი-ბი-სი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი. ბანკის კოდი: 220101850 ა/ა: 115714714

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს 60 დღე წინადადებების გასხნის დღიდან და უნდა წარდგენილ იქნეს საკოორდინაციო ცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე: მარშალ გელოვანის N6, ოთახი 307, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 12:00 საათამდე, (30 იანვარი 2009წ), როდესაც მოხდება მათი გახსნა იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს.

5. წინადადებას თან უნდა ახლდეს საბანკო გარანტია, რომლის ღირებულება იქნება წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-სა; გარანტია უნდა იყოს საკოორდინაციო ცენტრის სახელზე.

6. კონკურსანტი, რომელიც გაითხოვს თავის წინადადებას მისი მოქმედების ვადის პერიოდში და/ან უარს განაცხადებს კონტრაქტის მინიჭებაზე მისი გამარჯვების შემთხვევაში და/ან ვერ წარმოადგენს საჭირო დაზღვევის სერთიფიკატებს დიკვალიფიცირებულ იქნება მომავალი კონკურსიდან 1 წლის პერიოდით.

**საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მ/შ**
**ნოდარ მოსაშვილი**

## შეცდომის გასწორება

2008 წლის 29 დეკემბრის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ აუქციონში გაიპარა შეცდომა. Lლოტი N9, N17 და N31 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

***ლოტი N 9***

***მიწის ნაკვეთის მისამართი -*** დიდი დიღომი, I მ/რ პეტრიწის ქ. N-8ბ-ს მიმდებარედ მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.06.008.017)

***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;

***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;

***მიწის ნაკვეთის ფართობი -*** 888 კვ.მ.

***მიწის ნაკვეთის ფუნქცია*** - საცხოვრებელი ზონის ფუნქციით.

***კომისიის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობები:***

ა) გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო ერთეულებთან (01.10.06.008.013 და 01..10.06.008.009) გაერთიანება და ერთობლივი განაშენიანება

ბ) საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 130 ლარი;

გ) აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 20 ლარი.

დ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 46 176 ლარით.

ე) აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

***ლოტი N 17***

***მიწის ნაკვეთის მისამართი -*** აწყურის ქუჩის ბოლოს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.17.13.010.056)

***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;

***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;

***მიწის ნაკვეთის ფართობი -*** 285 კვ.მ.

***მიწის ნაკვეთის ფუნქცია*** - საზოგადოებრივი საქმიანი ზონის ფუნქციით.

***კომისიის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობები:***

ა) გასასხვისებელი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ საკადასტრო ერთეულთან (01.17.13.01.10.01) გაერთიანება და ერთობლივი განაშენიანება

ბ) საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 100 ლარი;

გ) აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 20 ლარი.

დ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 11 400 ლარით.

ე) აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

***ლოტი N 31***

***მიწის ნაკვეთის მისამართი -*** გზატკეცილი კახეთი N106 (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.19.16.002.040)

***გაცემის ფორმა -*** აუქციონი პირობებით;

***სარგებლობის ფორმა -*** საკუთრება;

***მიწის ნაკვეთის ფართობი -*** 25097 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები;

***კომისიის მიერ დადგენილი სააუქციონო პირობები:***

ა) აუქციონში გამარჯვებულმა კახეთის გზატკეცილი N106 (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.19.16.002.042) მდებარე 8535 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებული ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებული და სახნაძრო განყოფილებისათვის გაკუთვნილი შენობების რეკონსტრუქციისა და რემონტის განხორციელება სახანძრო განყოფილების შესაბამი სტანდარტების გათვალისწინებით აუქციონის ჩატარებიდან 12 (თორმეტი) თვეში, რისთვისაც უნდა განხორციელდეს მინიმუმ 600 000 ლარის ინვესტიცია;

ბ) საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 70 ლარი;

გ) აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 10 ლარი.

დ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი „ბე“ განისაზღვროს 702 716 ლარით.

ე) აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.

ვ) თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 3 თვის ვადაში.

## საქმე N30476
## განჩინება
## საქართველოს სახელით

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

**19 დეკემბერი 2008 წელი ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

**განმცხადებელი** - ვალერი კაციტაძე

**წარმომადგენელი** - მერაბ ახმეტელი

**მოთხოვნა** - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განიხილა საჯარო შეტყობინების მეშვეობით ინგა კაციტაძის, ნანა კაციტაძის და ალექსი კაკუბავასათვის 2008 წლის 03 ნოემბრის განჩინების ჩაბარების საკითხი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 07 ივლისს ვალერი კაციტაძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 02 დეკემბრის №10983 განჩინების საფუძველზე, მის კუთვნილ საცხოვრებელ ფართს, მდებარე ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №45, დაედო ყადაღა სააღსრულებო 2003 წლის 08 დეკემბრის მიმართვის შედეგად. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ სარჩელი ჯერ კიდევ არ აღძრულა. განმცხადებელმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 03 ნოემბრის განჩინებით ვალერი კაციტაძის განცხადება დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 02 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №45-ში მდებარე ვალერი კაციტაძის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს ფართით 82 კვ.მ., დამხმარე ფართი 40,86 კვ.მ., სარდაფი 13 კვ.მ., რკინის გარაჟი 6,10 კვ.მ.

**განჩინებაში განცხადების დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებულია შემდეგი:**

დადგენილია, რომ თბილისის კრწანისმი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებით მიმართა ინგა კაციტაძემ, ნანა კაციტაძემ და ალექსი კაკუბავამ (იხ.: სამოქალაქო საქმის მასალები №10983 ს.ფ. 1).

დადგენილია, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 02 დეკემბრის განჩინებით, ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №45-ში მდებარე ვალერი კაციტაძის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს ფართით 82 კვ.მ., დამხმარე ფართი 40,86 კვ.მ., სარდაფი 13 კვ.მ., რკინის გარაჟი 6,10 კვ.მ. (იხ.: სამოქალაქო საქმის მასალები №10983 ს.ფ. 4).

დადგენილია, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 02 დეკემბრის განჩინების მე-2 პუნქტით ეცნობა განმცხადებელს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომლითაც მას დაენიშნება ვადა სარჩელის აღძვრისათვის და თუ ამ ვადაში იგი არ აღძრავს მას, გაუქმდება უზრუნველყოფის განჩინებით გათვალისწინებული ღონისძიებები (იხ.: სამოქალაქო საქმის მასალები №10983 ს.ფ. 4).

2008 წლის 10 ოქტომბერს სასამართლოს მიერ, როგორც თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან, ასევე საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილებიდან, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, შემოსული იყო თუ არა სასამართლოში ინგა კაციტაძის, ნანა კაციტაძის და ალექსი კაკუბავას სარჩელი მოპასუხე ვალერი კაციტაძის მიმართ.

როგორც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილების 2008 წლის 22 ოქტომბრის პასუხით ირკვევა, სამოქალაქო საქმე ინგა კაციტაძის, ნანა კაციტაძის და ალექსი კაკუბავას სარჩელისა გამო მოპასუხე ვალერი კაციტაძის მიმართ, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003-2004 წლების სარეგისტრაციო ჟურნალებში რეგისტრირებული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტმობრის მიმართვიდან კი ირკვევა, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში №2/3042-07 ნომრით რეგისტრირებულია სამოქალაქო საქმე ალექსი კაკუბავას სარჩელისა გამო მოპასუხე ინგა კაციტაძის მიმართ განქორწინების თაობაზე, რაც შეეხება ინგა კაციტაძის, ნანა კაციტაძის და ალექსი კაკუბავას სარჩელს მოპასუხე ვალერი კაციტაძის მიმართ, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის სამოქალაქო საქმეთა წარმოებაში მიღებულ ალფაბეტურ ჟურნალში, რეგისტრირებული არ არის.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ინგა კაციტაძეს, ნანა კაციტაძეს და ალექსი კაკუბავას სასამართლოსათვის სარჩელით არ მიუმართავთ.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახეს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1091-ე მუზლის თანახმად, მისი მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა.

ვინაიდან, სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოხდა სარჩელის უზრუნვეყოფის ღონისძიების გამოყენება, არ აღძრულა, აღარ არსებობს არც სამართლებრივი და აღარც ფაქტობრივი საფუძველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობისა და იგი უნდა გაუქმდეს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლოს მიაჩნია, რომ ინგა კაციტაძეს, ნანა კაციტაძეს და ალექსი კაკუბავას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინების მეშვეობით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინეა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მასობრივადგავრცელებული გაზეთია 24 საათი .

ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. ინგა კაციტაძეს, ნანა კაციტაძეს და ალექსი კაკუბავას ეცნობოთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 03 ნოემბერს მიღებული, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, განჩინების თაობაზე.

2. ინგა კაციტაძეს, ნანა კაციტაძეს და ალექსი კაკუბავას განემარტოთ, რომ განჩინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდეს დღეს.

3. ინგა კაციტაძეს, ნანა კაციტაძეს და ალექსი კაკუბავას განემარტოთ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინება გაასაჩივრონ საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ასლის გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში 24 საათი .

5. სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება დაევალოს განმცხადებელს. მასვე დაევალოს გაზეთის ერთი ეგზემპლარის წარმოდგენა სასამართლოში.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსმართლე: თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**

# სპორტი

## მაკარიძემ "ლე მანთან" კონტრაქტი გააფორმა

გიორგი მაკარიძემ ფრანგულ "ლე მანთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც ტრავმა მიიღო და დაახლოებით თვენახევარი დაისვენებს და ამ პერიოდში თუ მუხლმა არ გაუარა ოპერაციის გაკეთება მოუწევს. გიორგი ახლა თბილისში იმყოფება და 5 იანვარს საფრანგეთში მიფრინავს.

## ფრანგებმა სიმბოლური ნაკრები დაასახელეს

ფრანგულმა სპორტულმა გამოცემა L Equipe-მა 2008 წლის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რომელშიც ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "მანჩესტერ იუნაიტედის" 4 და ევროპის ჩემპიონატის მომგები ესპანეთის ნაკრების 3 ფეხბურთელი მოხვდა. იკერ კასილასი ("რეალი", ესპანეთი), რიო ფერდინანდი, ნემანია ვიდიჩი, პატრის ევრა, კრიშტიანუ რონალდუ (ყველა "მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), დანიელ ალვეში, ლიონელ მესი, ხავი (ყველა "ბარსელონა", ესპანეთი), სტივენ ჯერარდი ("ლივერპული", ინგლისი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი ("ინტერი", იტალია), ფერანდო ტორესი (ძლივერპული" ინგლისი).

## ვუჩინიჩი საუკეთესო ჩერნოგორიელია

ჩერნოგორიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და იტალიის "რომას" თავდამსხმელი მირკო ვუჩინიჩი, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას ზედიზედ მესამედ დაეუფლა. გამოკითხვაში მე-2 ადგილი ფლორენციის "ფიორენტინას" ფორვარდმა სტევან ივოეტიჩმა დაიკავა, ხოლო მე-3 - რუსეთის პრემიერლიგის "ამკარის" ნახევარმცველმა ნიკოლა დრინჩიჩმა.

## "ინტერის" პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგაა

"ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატისთვის, ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე მნიშვნელოვანი, შიდა პირველობაზე, სერია A-ში მიღწეული წარმატებაა.

"მე კმაყოფილი ვარ "ინტერის" მიერ წლეულს ნაჩვენები თამაშით და შედეგით. მიუხედავად მრავალი შეცდომისა, გუნდისთვის სეზონი წარმატებული გამოდგა. ვიმედოვნებ, გამარჯვებების მიღწევას მომავალ წელსაც განვაგრძობთ. ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგა მნიშვნელოვან ტურნირად რჩება, თუმცა, პრიორიტეტულად სერია A რჩება", - განაცხადა მორატიმ. ამას გარდა, მილანური კლუბის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ გუნდის ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო გონივრულად მოიქცევა და სხვა გუნდში გადასვლას "ინტერში" დარჩენას ამჯობინებს.

"ადრიანო საქმეს სრული სერიოზულობით უნდა მიუდგეს. ის კარგი ბიჭია და ძლიერად თამაშიც შეუძლია. გული დამწყდება, თუ ბრაზილიელის სხვა გუნდში გაშვება მოგვიწევს. შესაძლოა, ეს პირადად ადრიანოსთვის კარგი იყოს, მაგრამ "ინტერისთვის" მისი დაკარგვა კარგი ნამდვილად ვერ იქნება" - ამბობს მასიმო მორატი.

## "ასკას" ტრანსფერს საფრთხე დაემუქრა

*ასათიანის ტრანსფერი შესაძლოა ჩაიშალოს*

2008 წლის მეორე ნახევარი მალხაზ ასათიანმა კიევის "დინამოში" გაატარა. "ლოკომოტივში" ქართველი მცველის საქმეები აშკარად არ მიდიოდა კარგად და რკინიგზელებმა "ასკა" უკრაინულ გრანდში იჯარით გაუშვეს წლიმს ბოლომდე. ასათიანი გადაყვანის მთავარი ინიციატორი კიეველთა ახალი მწვრნელი იური სიომინი იყო, რომლის ხელმძღვანელობითაც მალხაზი კარგა ხანს თამაშობდა "ლოკომოტივში". უკრაინაში საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. რომ "დინამო" ასათიანის ტრანსფერს გამოისყიდდა, თუმცა მოხდა ტისე, რომ უკრაინულმა გრანდმა კიევის "დინამომ", საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ცენტრალურ მცველ მალხაზ ასათიანის გამოსყიდვაზე, შესაძლოა უარი თქვას.

როგორც უკრაინული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, ასათიანის ბედი ნაახალწლევს უნდა გადაწყდეს, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ ქართველ ფეხბურთელს კიევში დაბრუნება არ მოუწიოს.

ამის მიზეზად, "ნანსის" ცენტრალური მცველი ჟან კალვე სახელდება, რომლის ტრანსფერის თაობაზე, "დინამო" ფრანგულ მხარესთან აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს.

არაა გამორიცხული, ასათიანის "დინამოში" გადასვლას, ნებსით თუ უნებლიედ, ხელი მოსკოვის ცსკა-მ შეუწყოს, რომელსაც კალვეს შეძენა აგრეთვე სურს. თუმცა, თუ უკრაინელებმა ნანსელისთვის ბრძოლაში მოსკოველებს აჯობეს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კიეველებმა ასათიანის გამოსყიდვაზე იზრუნონ.

ამადროულად გეტყვით იმასაც, რომ რუსული კლუბი საქართველოს ნაკრების წევრის გაყიდვაზე უარს არ ამბობს და თავის მხრივ, კიევში გადასვლა ასათიანსაც უნდა, რომელმაც "დინამოში" ადაპტაციის პროცესი წარმატებით დაძლია, მაგრამ, კალვეს ვარიანტის გამოჩენამ, დიდი შანსია, ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

ასათიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ "ლოკომოტივში" დაბრუნებას არ გეგმავს და თუ "დინამოში" დარჩენა არ მოხერხდა ქართველი მცველი ალბათ ახალი კლუბის ძიებას დაიწყებს.

## სამჯერ საუკეთესო

*თავდაპირველად 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, მოგვიანებით რჩეულთა შორის რჩეული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ დაასახელა, გუშინ კი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დაასახელა საკუთარი რჩეული თუ რჩეულები. მათ შორის საერთო ისაა, რომ სამივე გამოკითხვითა თუ არჩევანით წლის საუკეთესო სპორტსმენი ირაკლი ცირეკიძეა.*

გიგა გურასაშვილი

2008 წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე თითქმის სრულიად წარმოდგენილმა ქართულმა სპორტულმა ოჯახმა საუკეთესოთა ვინაობა შეიტყო ოთხ ნომინაციაში.

ნომინაციებში გამარჯვებულთა დასახელებას ეკრანზე ფონად გასდევდა პეკინის ოლიმპიური თამაშებზე ქართველთა ასპარეზობის ამსახველი კადრები და საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენები.

თავდაპირველად წლის საუკეთესო ფედერაციის ნომინაციაში გამარჯვებულის ვინაობა გაცხადდა. ასეთი კი საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაცია აღმოჩნდა.

წლის საუკეთესო გუნდი, ისევე როგორც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმში გამარჯვებული ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები გახდა.

საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში გამარჯვებულად კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი ზაზა თურმანიძე დასახელდა.

გუშინდელი ღონისძების კულმინაცია წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენა იყო. ნომინაციაში გამარჯვებულის ვინაობის გახმოვანების პატივი კი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახლადრაჩეულ ხელმძღვანელს ნიკა რურუას ერგო, საუკეთესო სპორტსმენის წოდება კი ირაკლი ცირეკიძეს.

"პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ჩადენილი გმირობისთვის თითოეული ქართველი სპორტსმენისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ოლიმპიური თამაშები საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა, ჩვენმა მედალოსნებმა კი შეუძლებელი შეძლეს. მათმა თავდადებამ ბევრ ჩვენთაგანს სიხარულის ცრემლი მოგვარა. ეს არ იყო მარტო სპორტული გამარჯვება.

სამი ოლიმპიური ჩემპიონიდან ერთის ამორჩევა ძალზე რთული იყო, მაგრამ ჯილდო მხოლოდ ერთს - ირაკლი ცირეკიძეს ერგო", - ქართველი ოლიმპიელებისადმი მადლიერებას გამოხატავდა ნიკა რურუა.

## მოტყუებული ფანები

"ნიუკასლის" მფლობელმა მაიკლ ეშლიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდს აღარ ყიდის.

"მინდა დავამშვიდო გულშემატკივარი და განვაცხადო, რომ "ნიუკასლი" არ იყიდება. 2009 წელს გუნდის გაძლიერებას ვგეგმავ. როდესაც სექტემბრის დასაწყისში ვთქვი, რომ კლუბს გავყიდდი, იქვე პოტენციურ მყიდველს ორი პირობა წამოვუყენე - ჯერ ერთი, მას არა მარტო ფული უნდა დაებანდებინა გუნდში, არამედ ფეხბურთის ნამდვილი ფანატი უნდა ყოფილიყო და ის სულით ხორცამდე ჰყვარებოდა; მეორე, პირობა დავდე, რომ "ნიუკასლი" ძლიერი კლუბი იქნებოდა. ახლა ვხვდები, რომ კლუბი ჩემზე მეტად პოტენციურ მყიდველებს არ ეყვარებათ და მისი ძლიერებისთვის ჩემზე მეტს ვერ გააკეთებენ" - განუცხადა მაიკ ეშლიმ კლუბის ოფიციალურ საიტს.

ეშლისა და "ნიუკასლის" გულშემატკივრებს შორის ურთიერთობა მიმდინარე წლის დასაწყისში დაიძაბა, რადგანაც კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის იმჟამინდელ მთავარ მწვრთნელ კევინ კიგანს სატრანსფერო მოთხოვნები არ დაუკმაყოფილა და მთავარმა მწვრთნელმაც საკუთარი პოსტი დატოვა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფანატები ეშლის და მის ოჯახს მოკვლით დაემუქრნენ. მაშინ მაიკმა თქვა, რომ კლუბისავე კეთილდღეობისთვის "ნიუკასლს" გაყიდდა და პოტენციური მყიდველის ძიებას შეუდგა. ძიება დიდხანს გაგრძელდა, ამასობაში კი გულშემატკივართა ვნებები ჩაცხრა და ეშლიმაც კლუბის გაყიდვა იუარა.

## მეტცელდერის შანსი

მადრიდის "რეალის" გერმანელი მცველი კრისტოფ მეტცელდერი, გუნდიდან მისი თანამემამულე, მთავარი მწვრთნელის ბერნდ შუსტერის დათხოვნის შემდეგ, უფრო მეტ სათამაშო პრაქტიკას იღებს.

ახალ მთავარ მწვრთნელ ხუანდე რამოსის ხელში, 28 წლის ფეხბურთელმა ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, "ბარსელონასა" და "ვალენსიას" წინააღმდეგ გამართულ მატჩებში კი "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში იყო.

ამასთან ერთად, ესპანურმა პრესამ მეტცელდერის გარჯა ყოველთვის მაღალი ქულით შეაფასა, თუმცა, კრისტოფი, ბერნდ შუსტერს, რომელმაც ის თავის დროზე დორტმუნდის "ბორუსიადან" "რეალში" მიიწვია, მაინც არ აკრიტიკებს.

"ვფიქრობ, რამოსი არ დარდობს თავის გამოჩენის შესაძლებლობა რომ მომცა. ახალი მწვრთნელის ხელში, ჩემს წინაშე ახალი შესაძლებლობები იშლება, თუმცა, შუსტერის გუნდიდან გაშვება, ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო" - განაცხადა მეტცელდერმა, რომელმაც "ვალენსიასთან" მატჩის დროს გატეხილი ცხვირი უკვე მოიშუშა.

## "ლაციო" პანდევს არ გაყიდის

იანვრის სატრანსფერო პერიოდში რომის "ლაციოს" პრეზიდენტის კლაუდიო ლოტიტოს უმთავრესი საზრუნავი არა ახალი ფეხბურთელების შეძენა, არამედ გუნდში არსებული მოთამაშეების შენარჩუნება იქნება. "ლაციოს" ფეხბურთელებზე დიდი მოთხოვნაა, ევროპული გრანდები განსაკუთრებით რომაელთა თავდამსხმელებით არიან დაინტერესებული.

"ზამთრის პერიოდში არავის გაყიდვას არ ვაპირებთ. ჩვენი ფეხბურთელები "ლაციოს" შემადგენლობაში თავს კარგად გრძნობენ და შესაბამისად, არც სხვა გუნდში გადაბარგებაზე ფიქრობენ. აქედან გამომდინარე, არ მესმის, ზოგიერთ კლუბს რატომ გაუჩნდა იმის ილუზია, თითქოს ჩვენი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას იოლად მოახერხებს. ყველაზე ხშირად მარიო სარატესა და გორან პანდევის შესახებ გვაწუხებენ. სარატეს ჩვენ უკვე გავუმზადეთ ახალი კონტრაქტი, რომლის პირობები თვითონ ფეხბურთელმაც მოიწონა და სულ მალე ჩვენს შორის ახალი ხელშეკრულება დაიდება. ამასთან ერთად, ძლაციო" აუცილებლად გამოისყიდის სარატეს ტრანსფერს ძალ სადისგან". არც პანდევთან დაკავშირებით გვექნება რამე პრობლემა. უახლოეს დღეებში, კონრაქტს მასაც გავუხანგრძლივებთ", - განაცხადა ლოტიტომ.

## რონალდომ "კორინთიანსში" ვარჯიში მოასწრო

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ "კორინთიანსის" რიგებში, რომელსაც მცირე ხნის წინ შეუერთდა, პირველი ვარჯიში ჩაატარა.

32 წლის ფეხბურთელმა თანაგუნდელთაგან განცალკევებით, სატრენაჟორო დარბაზში ივარჯიშა.

რონალდო საბოლოოდ ჯერაც არ მომჯობინებულა მუხლის ტრავმისგან, რომელიც მან თებერვალში იტალიურ "მილანში" თამაშისას მიიღო.

### პაცინი იდეალურია

იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს იტალიური "სამპდორია" პირველ რიგში შეტევის ხაზის გაძლიერებას ეცდება. გენუელებს ამ პრობლემის გადასაჭრელად "ფიორენტინას" 24 წლის ფორვარდი ჯამპაოლო პაცინი ჰყავთ შეგულებული.

"თავდასხმის გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა. დღესდღეობით, ეს ჩვენი ყველაზე სუსტი რგოლია. იანვრის პერიოდში საჭირო ფეხბურთელის მოძებნა ძალიან ძნელია, თუმცა "სამპას" მაინც ჰყავს შერჩეული შესაბამისი კანდიდატურა. ჯამპაოლო პაცინი თავისი სათამაშო სტილით თითქმის იდეალურად ესადაგება ჩვენს ტაქტიკურ მონახაზს. ამიტომ მისი შეძენა "სამპდორიას" უმთავრესი ამოცანაა. ყველაფერი "ფიორენტინას" გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. თუკი ფლორენციელები პაცინის გასხვისებას დათანხმდებიან, ჩვენ დაუყოვნებლივ შევიძენთ მას", - ამ კომენტარის ავტორი გენუური კლუბის სპორტული დირექტორი ბეპე მაროტაა.

### ლარსონს "მარსელში" იწვევენ

საფრანგეთის პირველობის ერთ-ერთ ლიდერს, "მარსელს" იანვრის სატრანსფერო პერიოდში, 37 წლის შვედი თავდამსხმელის ჰენრიკ ლარსონის არენდით აყვანა სურს.

ფეხბურთისთვის სოლიდური ასაკის მიუხედავად, "ჰელსინბორგის" ფორვარდი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება, რაზეც შვედეთის ჩემპიონატში მისი პირადი მაჩვენებლები მეტყველებს - 11 შეხვედრაში ლარსონმა 6 გოლი გაიტანა.

### "ბექსმა" "პეპსი" იუარა

დევიდ ბექჰემმა და გამაგრილებელი სასმელების ფირმა Pepsi-მ 10 წლის წინ დაწყებულ თანამშრომლობას ორი დღის წინ წერტილი დაუსვეს.

"Pepsi-სთან ურთიერთობამ ბევრი სასიამოვნო მოგონება დამიტოვა. Pepsi-ს სარეკლამო კლიპებში მონაწილეობამ არაერთ საინტერესო ადამიანთან შემახვედრა, მაგალითად - ჯენიფერ ლოპესთან, ბიონს ნოულზთან... აგრეთვე სასიამოვნო იყო რობერტო კარლოსთან, ტიერი ანრისთან, ფრანჩესკო ტოტისთან, მესისთან, რაულსა და რონალდინიოსთან ერთად სარეკლამო რგოლში გადაღება. მოკლედ, Pepsi-სთან კონტრაქტის ვადის ამოწურვით ჩემი ცხოვრების ერთი საინტერესო ეტაპიც დასრულდა", - ამბობს ინგლისელი ფეხბურთელი.

### მილიტოს არ ყიდიან

"ჯენოას" პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი ყველაფერს გააკეთებს, რათა გუნდის არგენტინელი ლიდერი დიეგო მილიტო შეინარჩუნოს. სამხრეთამერიკელი ფორვარდის შეძენის სურვილი "ინტერის" ხელმძღვანელობამ გამოთქვა, რასაც მოჰყვა კიდეც პრეციოზის კომენტარი.

"მართალია, მილანური კლუბის მხრიდან არანაირი შეთავაზება არ მიმიღია, მაგრამ გაზეთებიდან შევიტყვე, რომ მილიტოს გადაბირება "ინტერს" უნდა. "ნერაძურის" ხელმძღვანელობას ვურჩევ, წინადადების მოსამზადებლად დროს ტყუილად ნუ გააცდენს. მორატის გუნდმა მილიტოს სანაცვლოდ, ბურდისო, ბალოტელი და ობინა ერთად რომ შემომთავაზოს, მაინც უარს შევუთვლი", - ამბობს პრეციოზი.

### ევროპამ ნადალი აღიარა

ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი ევროპის 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობა კონტინენტის 17-მა საინფორმაციო სააგენტომ მიიღო, გამარჯვებულმა 146 ქულა მოაგროვა და მე-2 ადგილზე გასულ სიმაღლეზე მხტომელ ელენა ისინბაევას 20 ქულით გაუსწრო. მესამე შედეგი (101 ქულა) ბრიტანელმა ავტომრბოლმა ლუის ჰემილტონმა აჩვენა.

სააგენტოების გამოკითხვას წლეულს 50 წელი შეუსრულდა. 1958 წელს მას საფუძველი პოლონურმა PAP-მა ჩაუყარა. ცნობისთვის, ბოლო 4 წლის განმავლობაში საუკეთესო ასევე ჩოგბურთელი, შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ხდებოდა. ნადალი კი ამ პრემიის მომგები პირველი ესპანელი სპორტსმენია. იგი 2008 წლის სეზონში "უიმბლდონზე", "როლან გაროსსა" და ოლიმპიურ თამაშებზე გახდა ჩემპიონი.

### რევანში არ შედგება

რუსი მოკრივე ნიკოლაი ვალუევი, რომელმაც ერთი კვირის წინ შვეიცარიულ ციურიხში 46 წლის ევანდერ ჰოლიფილდს ქულებით სძლია და მსოფლიოს კრივის ასოციაციის (WBA) ქამარი შეინარჩუნა, ვეტერან ამერიკელთან მატჩ-რევანშის გამართვას აღარ აპირებს.

ვალუევის მენეჯერის ბორის დიმიტროვის განცხადებით, აღნიშნულის მიზეზი ვალუევის გრაფიკია, ამასთანავე რუსი მოკრივის გუნდს არც ის მწარე სიტყვები ავიწყდება, რომელიც მარცხის შემდეგ ჰოლიფილდის ამფსონებისგან მოისმინეს.

"პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ კონტრაქტში მატჩ-რევანშის შესახებ ნათქვამი არაფერია. მეორეც, ვალუევს რუსლან ჩაგაევთან შერკინება უწევს, სადაც ქამარი კიდევ ერთხელ უნდა დაიცვას. თანაც, იმ შეურაცხმყოფელი განცხადებების შემდეგ, რომელიც ჰოლიფილდის მწვრთნელის ტომი ბრუქსის მხრიდან მოვისმინეთ, მათთან საქმის დაჭერის სურვილი ნამდვილად აღარ გვაქვს".

# ფაჩულიას "ჩიკაგოსთან" ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა

მცირე შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი" საქმეს დაუბრუნდა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგ მატჩში შინაურ "ფილიპს არენაზე" "ჩიკაგო ბულსი" 129:117 დაამარცხა.

ბოლო ხანს ტრავმირებულთა მომჯობინების გამო სათადარიგოებში დაბრუნებულ ზაზა ფაჩულიას ამ მატჩში თავი არ შეურცხვენია. მან სათადარიგოთაგან ყველაზე მეტი - 21 წუთი ითამაშა და 10 ქულასთან ერთად 7 მოხსნა და 2 პასი მიითვალა ისე, რომ ბურთი არ დაუკარგავს. ამასთან, ზაზამ საკმაოდ კარგი მიზანი გამოავლინა და თამაშიდან ნასროლი 7 ბურთიდან 5 ჩიკაგოელთა კალათში მოათავსა.

ატლანტელებს თავიდან ცოტა გაუჭირდათ და თამაში თანაბრად მიდიოდა, სანამ ბოლო მეოთხედმა არ მოატანა. ჯო ჯონსონის დიდებული თამაშის წყალობით მასპინძლებმა ჩიკაგოელები გვარიანად ჩამოიტოვეს. ჯონსონმა საბოლოოდ მიმდინარე სეზონში პირადსარეკორდო 41 ქულა მიითვალა და "ქორებს" მორიგი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა.

ეს გამოდგა მე-19 გამარჯვება ატლანტელებისთვის. ფაჩულიას გუნდი კვლავ მყარად ინარჩუნებს მეოთხე ადგილს სრულიად აღმოსავლეთის გუნდებს შორის. თუკი აქამდე სეზონებში ატლანტელებისთვის პლეი-ოფის საკითხი მწვავედ იდგა, ახლა ჯორჯიელებს თავი ქუდში აქვთ და დიდი მოულოდნელობები უნდა მოხდეს, რომ აღმოსავლეთის რვა გუნდს შორის ვერ მოხვდნენ.

ამერიკიდან ევროპაში გადმოვინაცვლოთ, სადაც ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი ქართული დერბი შედგა.

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების გამთამაშებელის ტაირონ ელისის ჩინებული თამაშის წყალობით, ვალენსიურმა "კახასოლმა" ვლადიმერ ბოისას "ვივემენორკას" 74:69 სძლია და წარუმატებელი სერიის შეწყვეტა მოახერხა.

"კახასოლი"-"ვივემენორკას" დაპირისპირება ესპანეთის ჩემპიონატის მე-15 ტურის ეგიდით შედგა და მისი ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 25:11 მოიგეს.

ელისმა "კახასოლის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 30 წუთში 21 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ტაირონმა 3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 5 სამქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა.

ელისის დარად ძირითად შემადგენლობაში იასპარეზა ბოისამაც, რომელმაც 20 წუთში 5 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ვოვამ 5-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, 1 ორქულიანი კი გააცუდა.

"კახასოლი" 2 მოგებითა და 12 მარცხით ბოლო ადგილზე დარჩა, "ვივემენორკა" კი 5 გამარჯვებითა და 9 წაგებით მე-13 პოზიციაზეა.

ამავე ტურში ნიკოლოზ ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" ერთ-ერთ ლიდერ "ხუვენტუტს" ესტუმრა და დიდი ბრძოლაც გაუმართა, თუმცა, ორი ქულით - 84:86 დამარცხდა.

დასკვნით მეოთხედის წინ მადრიდელები 6 ქულით იგებდნენ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს.

ცქიტიშვილმა "ფუენლაბრადას" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 23 წუთში 8 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა.

ქართველმა კალათბურთელმა 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, 3 სამქულიანი კი მიზანს მიღმა სტყორცნა.

სტუმართა რიგებში საუკეთესონი ვალტერსი და ოლესონი იყვნენ, რომელთაც 13-13 ქულა მოაგროვეს, მასპინძელთა ლიდერმა რიკი რუბიომ კი 16 ქულა მიითვალა.

"ფუენლაბრადა" 6 მოგებითა და 7 მარცხით მე-10 ადგილზე იმყოფება.

# ლიპი დელ პიეროს აღიარებს, მაგრამ ნაკრებს მიღმა ტოვებს

*ლიპი აქცენტს ახალგაზრდებზე გააკეთებს*

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრნელმა მარჩელო ლიპიმ 2008 წელი იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში რამდენი ე სიტყვით შეაჯამა. დონ ლიპი დარწმუნებულია, რომ 2008 წელს საუკეთესო კლუბი "იუვენტუსი" იყო. რაც შეეხება ფეხებურთელებს, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის აზრით, საუკეთესო მოედანზე აწ უკვე გასულ წელს დელ პიერო გახლდათ. არადა თავად ლიპი "იუვენტუსის" ცოცხალ ლეგენდას ნაკრებში პრაქტიკულად არ იწვევს..

**- როგორი იყო გასული წელი იტალიური კლუბებისთვის?**

- გასული წელი ყველაზე პოზიტიური "იუვესთვის" იყო. სერია B-დან დაბრუნების შემდეგ ტურინელებმა პირდაპირ მესამე ადგილი დაიკავეს. მიმდინარე სეზონში კი მეორე ადგილზე იმყოფებიან და "ინტერს" მხოლოდ ექვსი ქულით ჩამორჩებიან. ასევე წარმატებულად ასპარეზობენ ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. თანაც ყოველივე ეს ბუფონის, ტრეზეგეს, კამორანეზის და პოულსენის გარეშე მოახერხეს.

**- რაში მდგომარეობს "ბებერი ქალბატონის" წარმატების საიდუმლო?**

- რა თქმა უნდა გუნდის შეთამაშებაში. 2008 წლის საუკეთესო კლუბის წოდებისათვის ოსკარი "იუვეს", საუკეთესო ფეხბურთელობისთვის კი დელ პიეროს ეკუთვნით აუცილებლად.

**- თუ ასეა, მაშინ რატომ ვერ ხვდება ალექსის იტალიის ნაკრებში რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ?**

- არავინ აფასებს ალექსს ისე, როგორც მე. მაგრამ მომდევნო ჩემპიონატი იმართება 2010 წელს და მე განკარგულებაში უნდა მყავდეს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან ორი წლის შემდეგ. ასევე აუცილებლად უნდა გამოვცადო ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც ჯერ არ უთამაშიათ საერთაშორისო არენაზე. ამჟამად ჩემი გუნდი 30-35 ფეხბურთელისგან შედგება. მომავალში კი მათი 23-მდე შემცირება მომიწევს.

**- რას იტყვით ტურინელ ახალგაზრდებზე? "იუვეში" ხომ ჯოვინკო, დე ჩელი, მარკიზიო და აბატე თამაშობენ.**

- თვალყურს ვადევნებ მათ, მაგრამ ვაპირებ ივნისამდე ისინი კაზირაგის (ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი) განკარგულებაში დავტოვო. ჯუზეპე როსისთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. ვთვლი, რომ იგი უკვე მზადაა პირველ გუნდში სათამაშოდ.

**- რას ფიქრობთ ამაურის იტალიის ნაკრებში თამაშთან დაკავშირებით.**

- მის მიმართ შემიძლია მხოლოდ საქებარი სიტყვების გამოთქმა. მაგრამ სანამ იგი არ გახდება იტალიის მოქალაქე, ზედმეტია ნაკრებში თამაშზე საუბარი.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2009 წლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაფინანსების წყარო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

2. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: „ბანკი რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის №345919, ბანკის კოდი 220101757 **გადახდის დანიშნულება – ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტის შესყიდვა,** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2008 წლის 30 დეკემბრის 10:00 საათიდან 2009 წლის 20 იანვრის 18:00 საათამდე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

3. **შესყიდვის საგანი:**

| ლოტი № | დასახელება | სარემონტო მანქანები | რა-ბა | მომსახურების ვადა |
|---|---|---|---|---|
| | **თბილისი** | | | 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად |
| 1 | ავტომანქანის მარკა "ოპელი" | "ოპელ ვექტრა ბ" (1997-1998-1999-წ) | 33 | |
| | | "ოპელ ვექტრა ც" (1999-2000 წ.) | 2 | |
| | | "ოპელ ვექტრა ა" (1991-1995 წ.) | 16 | |
| | | "ოპელ ომეგა" (1991-1992წ.) | 2 | |
| 2 | სხვადასხვა მარკის ავტომანქანები | რენო-19 (2000 წ.) | 1 | 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად |
| | | რენო "მეგანი" (2001წ) | 1 | |
| | | რენო "ლაგუნა" (1994წ) | 1 | |
| | | "ბმვ X-5" (3.0 ბენზინი 2003წ.) | 1 | |
| | | "ბმვ X-5" (3.0 დიზელი 2003 წ.) | 1 | |
| | | "ბმვ 520-525" (1991-1994წ.) | 2 | |
| | | "მერსედეს -ბენცი 320" (1992-1995წ.) | 2 | |
| | | "მერსედეს -ბენცი 260" (1990 წ.) | 1 | |
| | | "მერსედეს -ბენცი 280" (1994 წ.) | 1 | |
| | | "მერსედეს -ბენცი ც-220" (1994 წ.) | 1 | |
| | | "ჟიგული" (1998-2005) | 20 | |
| | | "ნივა" (1999-2007) | 8 | |
| | | "ფოლცვაგენ ვენტო" (1994წ.) | 1 | |
| | | "ფოლცვაგენ პასატი" (1999წ.) | 1 | |
| | | "ფოლვაგენ ტ-4" (1998წ.) | 1 | |
| | | "აუდი ა-8" (1998წ.) | 1 | |
| | | "აუდი ა-3" (2001წ.) | 1 | |
| | | "ფორდ ტრანზიტი" (1995-1998წ.) | 2 | |
| | | "ფორდ ფოკუსი" (1999წ.) | 1 | |
| | | "უაზი" 39094 ბორტიანი (1996წ.) | 1 | |
| | | "უაზი" 31514 (1990-1999-2005წ.) | 4 | |
| | | "ავტო დიზელი" (1994წ.) | 1 | |
| | | "ზონდა" (2005წ.) | 1 | |
| | | ზილი 325010 (1999წ.) | 1 | |
| | | "ზილ-133 ამწე) (1999წ.) | 1 | |
| | | "ზილ-4502 თვითმცლელი" (1990წ.) | 1 | |
| | | "დეუ ესპერო" (1998წ) | 1 | |
| | | "დეუ ნუბირა" (1998წ.) | 1 | |
| | | "მიცუბიში პაჯერო" (1997წ.) | 1 | |
| | | "ვოლგა-3110" (1996-2000წ.) | 4 | |
| | | "გაზელი" (1998-2001წ.) | 2 | |
| | | მოტ"ოგუზი" (1997) მოტოციკლი | 2 | |
| | | "ვოლვო-940" (1991-1994წ.) | 2 | |
| | | "ვოლვო-740" (1991-1994წ.) | 2 | |
| 3 | ტოიოტას მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და ტექ. მომსახურება | ტოიოტა „ქამრი" (2007-წ) | 1 | 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად |
| | | ტოიოტა „კოროლა" (2008-წ) | 31 | |
| | | ტოიოტა „პრადო" (2007-2008-წ) | 2 | |
| 4 | შკოდას მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და ტექმომსახურება | შკოდა „ოქტავია" (2007-2008-წ) | 15 | |
| 5 | ოპელ კომბოს მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და ტექმომსახურება | ოპელ „კომბო" (2007-წ) | 8 | |
| 6 | შევროლეტის მარკის ავტომანქანების მიმდინარე რემონტი და ტექმომსახურება | შევროლე "ლასეტი" (2006-წ) | 3 | |
| | **ქვემო ქართლის რეგიონი** | | | |
| 7 | რუსთავი | "ოპელ ვექტრა ბ" (1997-1998წ.) | 3 | 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად |
| | | "ოპელ ომეგა" (1992-1993წ.) | 2 | |
| | | "ფორდ მონდეო" (1994წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2107" (1998-1999წ.) | 2 | |
| | მარნეულის რაიონი | "ვაზ-2121" (2000წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1996წ.) | 1 | |
| | | "უაზ-31512" (1997წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა " (1993წ.) | 1 | |
| | გარდაბნის რაიონი | "ვაზ-21099" (2000წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-3110" (1997წ.) | 1 | |
| | ბოლნისის რაიონი | "ბმვ-518" (1990წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2107" (2000წ.) | 1 | |
| | **კახეთის რეგიონი** | | | |
| 8 | თელავის რაიონი | "ვაზ-2121" (1999წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-31029" (1993-1994წ.) | 2 | |
| | | "ოპელ ვექტრა" (1994წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ომეგა ბ" (1995წ.) | 1 | |
| | საგარეჯოს რაიონი | "ვაზ-2121" (2000-2003წ.) | 6 | |
| | | "ვაზ-2106" (1997წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2121" (2000წ.) | 1 | |
| | სიღნაღი-დედოფლისწყაროს რაიონი | "ვაზ-2107" (1999-2000წ.) | 2 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1999წ.) | 1 | |
| | | "უაზ-316212" (1991წ.) | 1 | |
| | ყვარელის რაიონი | "ოპელ ვექტრა ბ" (1998წ.) | 1 | |
| | გურჯაანის რაიონი | "ვაზ-2107" (2001წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2107" (1998-2001წ.) | 2 | |
| | **შიდა ქართლის რეგიონი** | | | |
| 9 | გორის რაიონი | "უაზი-31512" (1998წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2106" (1996წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა" (1995წ.) | 2 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1997წ.) | 2 | |
| | ხაშურის რაინი | "ოპელ ვექტრა ბ" (1997წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2107" (2001წ.) | 1 | |
| | **სამცხე-ჯავახეთის რეგიონი** | | | |
| 10 | ქალაქი ბორჯომი | "ოპელ ვექტრა-ბ" (1997წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ომეგა-ბ" (1996წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა-" (1993წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2107" (2001წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-21214" (2007წ.) | 1 | |
| | ახალციხის რაიონი | "ვაზ-2121" (2001წ.) | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1998წ.) | 1 | |
| | **იმერეთი-გურიის რეგიონი** | | | |
| 11 | ქალაქი ქუთაისი | "მერსედესი ბენცი 260" (1990წ.) | 1 | 2009 წლის მანძილზე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად |
| | | "ოპლე ვექტრა ბ" (1997-1998წ.) | 6 | |
| | ზესტაფონის რაიონი | "ვაზ-2107" (1999-2000წ.) | 2 | |
| | | "ოპელ ვექტრა" (1995წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2121" (2004-2006წ.) | 5 | |
| | | "ვაზ-2106" (1998წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2106" (2001წ.) | 1 | |
| | სამტრედიის რაიონი | "ვაზ-2107" (2001წ.) | 1 | |
| | | "ვაზ-2121" (2000წ.) | 1 | |
| | **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი** | | | |
| 12 | ქალაქი ფოთი | ავტობუსი ტოიოტა | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1997-1998წ.) | 2 | |
| | | "ვაზ-2107" (1998-2003წ.) | 3 | |
| | | "ვაზ-2121" (2003-2006წ.) | 2 | |
| | ქალაქი ზუგდიდი | უაზ 2206 (მიკ/ავტობ.) | 1 | |
| | | უაზ 31512 | 1 | |
| | | ვაზ 21214 | 1 | |
| | | "ოპელ ვექტრა ბ" (1997წ.) | 1 | |
| | სენაკის რაიონი | "ვაზ 2107" (2001წ.) | 1 | |
| | ოზურგეთის რაიონი | "ვაზ 2105" (2000წ.) | 1 | |
| | **აჭარის რეგიონი** | | | |
| 13 | ქალაქი ბათუმი | "ოპელ ვექტრა" (1995წ.) | 2 | |
| | | "ოპლე ვექტრა ბ" (1997-1998წ.) | 7 | |
| | | "ვაზ-2107" (2003-2004წ.) | 3 | |
| | | "უაზ-31514" (1999წ.) | 1 | |
| | | კვადროციკლი (2006) | 2 | |

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ შესყიდვის ობიექტის ცალკეული ნაწილების (ლოტების) შესრულების უფლება.

5 პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ან დაზღვევა მისი ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას **30** კალენდარული დღით. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

**6. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული** დღე სატენდერო წინადადების წარმოდგენის დღიდან.

7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი ფორმით და ოდენობით: საბანკო გარანტია ან დაზღვევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა **30** კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში **2009 წლის 21 იანვარს 10:00 საათიდან 2009 წლის 21 იანვრის 12:00 საათამდე.** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულმა პირებმა:**

ა) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**ფიზიკურმა პირებმა:**

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ:

**შენიშვნა:** ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში

10. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

11. **სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით 2009 წლის 21 იანვრის 12:00 საათზე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

12. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
საკონტაქტო პირი – რევაზ ბერძენიშვილი ტ: **517506.** მობ: **895 10-06-05**

სატენდერო კომისია

BTA BANK ▪ ბითიეი ბანკი

www.bta.ge

ბითიეი ბანკის ფილიალები და სერვის ცენტრები :

წეხეთლის 73ა; ჭავჭავაძის გამზ. 40; ვაჟა-ფშაველას გამზ. 25;

ხუსთაველის გამზ. 31; თამარ მეფის გამზ. 5; ც.დადიანის ქუჩა 15/90;

ბათუმი: ჭავჭავაძის გამზ. 78/88; ფოთი: ალმაშენებლის ქუჩა 10;

## ფრონტალური-დამტვირთველი: 456 HT

TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $მ^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.

მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge



GT GROUP
ÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜÜ 48 Ü
ÜÜÜ: 740 740
www.gtgroup.ge

**Ford Transit**
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors
გარანტია 2 წელი
16 950 ევროდან

**iVan**
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი
გარანტია 2 წელი

25 500 ევროდან

**MST**
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები
გარანტია 1 წელი
46 000 ევროდან

## განცხადება
## გაყიდვების ჩატარების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დიდუბე პლაზა“ აცხადებს სასაქონლო ნაშთების რეალიზაციის შესახებ და იწვევს გაყიდვებში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

იყიდება შემდეგი დასახელების სასაქონლო ნაშთები:
**1.გლინულა** - რაოდენობა 15403 კგ; საორიენტაციო ფასი: 1 (ერთი) ტონა - 720 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი დღგ-ს ჩათვლით;

**2.მინა** - რაოდენობა 2963, 46 კვმ; საორიენტაციო ფასი: 1 კვმ - 10 (ათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
გაყიდვები ორგანიზებული იქნება თბილისში, წერეთლის გამზირი N116/სტანისლავსკის N5; 2008 წლის 29-30 დეკემბერი; სამუშაო საათები: 11:00 - 17:00
გამოცხადებული ფასები გულისხმობს მიწოდებას გაყიდვების ორგანიზების ადგილზე, სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვას ახორციელებს მყიდველი.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შემდეგ პირებთან: ალექსანდრე მახარაძე (ტელეფონი 899 512796) და მარიამ თევდორაძე (ტელეფონი: 899 380301).


GT GROUP
ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში
ბოლოყაფვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge

**გარანტია 2 წელი**
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

**4 9 000 ევროდან**

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ხელახალ ტენდერს 2009 წლის განმავლობაში ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე რეკლამის განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია რეკლამის განთავსება ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე. წლის განმავლობაში განსათავსებელი რეკლამის საერთო სავარაუდო ხანგრძლივობაა 950 წუთი.

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2009 წლის 1 თებერვლიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2008 წლის 30 დეკემბრიდან 2009 წლის 20 იანვრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, 2009 წლის განმავლობაში ქართულ ტელესივრცეში, არანაკლებ სამ სატელევიზიო არხზე რეკლამის განთავსების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 20 იანვრის 11:00 საათიდან 14:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**6.** პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ სხვადასხვა მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დამატება

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2008 წლის 26დეკემბერს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სხვადასხვა მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს დამატება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში:

1. №1 ლოტში დაემატა მეორე პოზიცია **„სატვირთო ვაგონის თუჯი სამუხრუჭო ხუნდი 100.40.090-0 100.40.015-0 გოსტ 1205-73 (ან ანალოგი)"** - რაოდენობით 800 ცალი;
2. №3 ლოტში შესასყიდი პროდუქციის „საჭრისი ფინჯნისებური დ-30,8 მმ"-ის როდენობა გაიზარდა 3 000 ცალით და ნაცვლად 1 000 ცალისა განისაზღვრა 4 000 ცალი;

აგრეთვე №3 ლოტში დაემატა ორი პოზიცია:

ა) **საჭრისი ფინჯნისებური დ-28 მმ** - რაოდენობიტ 600 ცალი
ბ) **საჭრისი ნახევარმთვარისებური დ-30 მმ** - რაოდენობით 2 000 ცალი

საბოლოოდ შესყიდვის ობიქტის ზემოაღნიშნული №1 და №3 ლოტები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება და განსაკუთრებული თავისებურებანი | ერთ. | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | ელმავლის თუჯი სამუხრუჭო ხუნდი | ცალი | 3 000 |
| | **სატვირთო ვაგონის თუჯი სამუხრუჭო ხუნდი 100.40.090-0 100.40.015-0 გოსტ 1205-73 (ან ანალოგი)** | ცალი | 800 |
| | | | |
| 3 | საჭრისი დ-12 მმ | ცალი | 2 000 |
| | **საჭრისი ფინჯნისებური დ-28 მმ** | ცალი | 600 |
| | **საჭრისი ნახევარმთვარისებური დ-30 მმ** | ცალი | 2 000 |
| | საჭრისი ფინჯნისებური დ-30,8 მმ | ცალი | ~~1 000~~ 4 000 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

ქ. გარდაბანი 30 დეკემბერი 2008

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში ორ ლოტად (I ლოტი - ქ.გარდაბანში ჭავჭავაძის ქ.N1, N3 საერთო საცხოვრებლის, ასათიანის ქ.N4 კორპუსის, სადგურის ქუჩაზე 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლების საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა., II ლოტი - სოფ. კრწანისის საკანალიზაციო ქსელის სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები) კანალიზაციის სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა I Lოლოტში შ.პ.ს. დორე". ხელშეკრულება დაიდო **390 500 (სამასოთხმოცდაათი ათას ხუთასი) ლარზე,** II ლოტში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს სიგმა XXI". ხელშეკრულება დაიდო **111 155 (ასთერთმეტი ათას ასორმოცდათხუთმეტი)** ლარზე.

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ღია ტენდერში 3 ცალი პიკაპის ტიპის ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვაზე კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებული არ გამოვლენილა რადგან წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი გასცდა სავარაუდო ღირებულებას.

29 დეკემბერი, 2008

## განცხადება

სს „ლიბერთი კონსუმერ" (ყოფილი სს „გალთ ენდ თაგგარტ კაპიტრალი") აცხადებს რომ: 2009 წლის იანვარში განსაზღვრულია სს „ლიბერთი კონსუმერ"-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.

სს „ლიბერთი კონსუმერ"-ის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 18 იანვარი, 17:00 სთ-ის მდგომარეობით.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი და რეკომენდაციები, ისევე როგორც კრების ჩატარების ადგილი და ზუსტი დრო, გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.

# საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს ვერცხლის სამახსოვრო მონეტების დიზაინის ესკიზისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი ახალ სამახსოვრო მონეტებს მოჭრის. მონეტების დიზაინის ესკიზის დასამზადებლად ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს, რომელშიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება. კონკურსის თემებია:

| თემატიკა | სერია | მონეტა | დიზაინის ესკიზის მოწოდების ბოლო ვადა |
|---|---|---|---|
| ქართული ხელოვნება | ქართული საშემსრულებლო ხელოვნება | ცეკვა „მთიულური“ | 2 მარტი |
| საქართველოს ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა | საქართველო UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში | ქალაქ მცხეთის უძველესი ძეგლი „ჯვრის მონასტერი“ | 2 მარტი |
| | ეროვნული საგანძური | ილორის წმ. გიორგის ეკლესია აფხაზეთის ტერიტორიაზე (ოჩამჩირე) | 2 თებერვალი |
| თავისუფალი თემა | | საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების იუბილე (90 წელი) | 2 მარტი |
| საქართველოს ფლორა და ფაუნა | | „ქართული ნაგაზი“ | 2 მარტი |

კონკურსის მონაწილეებმა დიზაინის ესკიზები უნდა შექმნან შემდეგი პირობების დაცვით:

ვერცხლის მონეტის დიზაინის ესკიზის (ავერსი-რევერსი) კომპოზიციები უნდა შეიქმნას შემდეგი სავალდებულო სიმბოლოებისა და წარწერების გამოყენებით: ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი „10“, შესაბამისი წარწერა „ლარი“, გამოშვების წელი – 2009, თემასთან დაკავშირებული გზავნილის (კომპოზიციის) დასახელება; წარწერა „საქართველო“ ქართულ ენაზე და საქართველოს სახელმწიფო ღერბი (იხ. ეროვნული ბანკის ვებგვერდზე). მონეტების ზიბოები იქნება გლუვი და უნდა ჰქონდეთ წარწერები როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე – „საქართველოს ეროვნული ბანკი“ „National Bank of Georgia“.

კონკურსანტები თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში და აღნიშნული ელემენტები შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსონ მონეტის ავერსსა თუ რევერსზე.

**დამატებითი პირობები**

- ესკიზები უნდა შესრულდეს A4 (21 სმ X 29 სმ) ზომის ფორმატზე და მათი წარმოდგენა სავალდებულოა როგორც ნახატის (ქაღალდზე ამობეჭდილი), ასევე ელექტრონული ვერსიის (კომპიუტერში შესრულებული) სახით, როგორც საპრეზენტაციო, ისე მონეტის ორიგინალურ ზომასთან მიახლოებით (დაახლოებით, 30 მმ დიამეტრი). შესაძლებელია როგორც შავ-თეთრი, ასევე ფერადი ესკიზების წარმოდგენა.

თითოეულ გამოცხადებულ თემაზე მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს მაქსიმუმ 2 ესკიზი; ესკიზებს თან უნდა ერთვოდეს მონეტის აღწერილობის ტექსტი და დიზაინის შინაარსის განმარტება.

- ავტორმა საკონკურსო მასალა და პირადი რეკვიზიტები უნდა მოათავსოს ცალ-ცალკე, განსხვავებული ზომის დალუქულ, პირადი სიმბოლოთი ან დევიზით აღნიშნულ ორ კონვერტში, რომლებზეც არ უნდა იყოს მითითებული ავტორის ვინაობა. დიდი ზომის კონვერტში უნდა მოთავსდეს პირადი სიმბოლოთი ან დევიზით დამოწმებული ესკიზი, დიზაინის შინაარსის განმარტება და აღწერილობის ტექსტი, ხოლო მცირე ზომის კონვერტში – ავტორის პირადი რეკვიზიტები (აუცილებელია მითითებული იყოს სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი) და მის მიერ გამოყენებული სიმბოლო ან დევიზი (მაგ., ხელმოწერა). ორივე კონვერტი უნდა მოთავსდეს ერთ დიდ კონვერტში, დაილუქოს და მიეთითოს მისამართი და ადრესატი:

ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. N3/5
საქართველოს ეროვნულ ბანკს, საკონკურსოდ
<u>კონფიდენციალური ინფორმაცია</u>

- საკონკურსო მასალები კონკურსანტმა მითითებულ ვადაში პირადად ან ფოსტის საშუალებით უნდა ჩააბაროს საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის განყოფილებას – საშვთა ბიუროს, მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0105, ლეონიძის ქ. N3/5.

- საქართველოს ეროვნული ბანკის დიზაინის ესკიზის შერჩევის კომისია საკონკურსო მასალებს შეაფასებს დახურული წესით (ნამუშევრების ავტორთა ვინაობა უცნობია ჟიურის წევრთათვის).

- გამარჯვებული ესკიზების დიზაინი ეროვნული ბანკის საკუთრებაა და არ უბრუნდება ავტორს. დამატებითი დეტალების განხილვა მოხდება უშუალოდ გამარჯვებული ესკიზების ავტორებთან.

- დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტს შემდეგ ნომრებზე: (+99532) 442-321, 442-354, 442-347.

მონეტების ესკიზზე მუშაობისას კონკურსანტებს შეუძლიათ გაეცნონ სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების სამახსოვრო მონეტების დიზაინს შემდეგ ინტერნეტმისამართზე: <u>http://www.bis.org/cbanks.htm</u>

კონკურსში გამარჯვებული ესკიზისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 2 000 ლარის ოდენობით.

**სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ „ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N6-10-ში მდებარე სახლის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის, გამაგრებისა და „პასაჟის“ ინტერიერის რეკონსტრუქციის სამუშაოების“ სახელმწიფო შესყიდვაზე 2008 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნებული განცხადების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია**

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ 2009 წლის 15 იანვარს ხუთშაბათი საქართველოს ეროვნული ბანკის ბ კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**1. ავტომანქანა (GAZ - 3110 სახელმწიფო ნომერი AOA-989, სარეგისტრაციო ნომერი AE0049121, გ.წ. 2003, ფერი - შავი)**
**საწყისი სააუქციონო ფასი 3150(სამი ათას ას ორმოცდაათი) ლარი.**

**2. ავტომანქანა (GAZ - 3110 სახელმწიფო ნომერი SXS-143, სარეგისტრაციო ნომერი Ab0056494 გ.წ. 2002, ფერი -რუხი) საწყისი სააუქციონო ფასი 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი.**

**3. ავტომანქანა (CHEVROLET SUBURBAN, სახ. ნომერი VIV-633, გამოშვების წელი 1999) საწყისი სააუქციონო ფასი 14250 (თოთხმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.ge .

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.

# ქალაქ თბილისის მთავრობა

## 040.030.000.37.101.012.520 დადგენილება N 24.16.832
## 29.12.2008 22 დეკემბერი 2008წ

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
შექმნისაა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 231 მუხლის „ე“, „ვ“, „ვ1“ ქვეპუნქტების, 321 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. შეიქმნას ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

2. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდება (დებულება), თანდართული დანართის შესაბამისად.

3. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური არ არის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს 2008 წლის 31 დეკემბერს.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
არქიტექტურის სამსახურის (სააგენტოს) წესდება (დებულება)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - არქიტექტურის სამსახური (სააგენტო) (შემდგომში - სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ამ წესდებით (დებულებით).

3. სამსახური ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მთავრობის წინაშე, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ წესდებით (დებულებით) დადგენილ ფარგლებში და წესით.

4. სამსახური საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში.

5. სამსახურს აქვს დამოუკიდებელი აქტივები, საბანკო ანგარიში, ემბლემ, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები

სამსახურის მიზნებია:

ა) სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება;

ბ) ქალაქის განვითარების კონცეფციის შემუშავება, მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების თაობაზე შესაბამისი კვლევების ჩატარება და რეკომენდაციების მომზადება.

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე;

ბ) ადგილობრივ თვითვითმართველობის ორგანოებთან ერთად მონაწილეობის მიღება ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში;

გ) ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით დამტკიცება;

დ) ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განსახორციელებლად კერძო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ე) ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება.

ვ) დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა.

ზ) ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის განხორციელების კოორდინაცია, მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება;

თ) მონაწილეობა მიიღოს მიწათსარგებლობის გეგმის შედგენაში, ახლად ასაშენებელ და სარეკონსტრუქციო ობიექტების დაპროექტების, ესკიზური, ვარიანტული და საკონკურსო დამუშავების განსაზღვრაში, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი მნიშვნელობა;

ი) დაქვემდებარებულ სფეროებში მთავრობის დავალების განხორციელება;

კ) დადგენილი წესით, სამსახურში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის ზრუნვა;

ლ) დარგში თანამედროვე საინფორმაციო ბანკისა და საინფორმაციო სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

მ) მონაწილეობა მიიღოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემულ) იმ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში, რომელიც შეეხება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ნ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (გადაცემაზე) მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიისთვის დასკვების ან/და რეკომენდაციების მომზადება.

ო) ითანამშრომლოს როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის შესაბამის სტრუქტურებთან, საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს მათთან მოლაპარაკებები;

პ) დარგში არსებული მდგომარეობის, სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება;

ჟ) თავისი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გრანტების მოზიდვა;

რ) სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

ს) მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, მასალებისა და კონსტრუქციების ახალი სახეობების დანერგვის ორგანიზება;

ტ) ქალაქის ცალკეული უბნების რეკრეაციული სივრცეების, გამწვანებული ტერიტორიების, გზების, მოედნების, გზაჯვარედინების, ავტოსადგომების და ა.შ. დაგეგმარების ორგანიზება;

უ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში არსებული მდგომარეობის კონტროლი და ამისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებების ათვისება;

ფ) ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილების შეფასებია.

ქ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონების საზღვარში ცალკეული შენობების, მათ შორის, უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე სამუშაოების ჩატარებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ახალი შენობა - ნაგებობების საპროექტო წინადადებებისა და პროექტების განხილვა.

ღ) სამსახურის სრულყოფილი საქმიანობის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

ყ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებითან შესაბამისობის დადგენის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტების გააფორმება;

შ) უნებართვოდ, ან პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების, ან მათი ნაწილების ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ჩ) სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირთა მოთხოვნის საფუძველზე მათთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა.

ც) მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

2. სამსახურს, თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებულ (გამოცემულ) სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში ან წარმოებულ სამუშაოებში, რომელიც შეეხება სამსახურის კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თავის კომპეტენციაში შემავალი სფეროების განვითარებისა და სრულყოფისათვის შეიმუშაოს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმები;

გ) მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებაში;

დ) უზრუნველყოს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების (მათ შორის მონუმენტურ-დეკორატიული) მცირე არქიტექტურის ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, „გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის N4-32 გადაწყვეტილებით დადგენილი გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განვითარების განხილვა-შეთანხმება, მათი განხორციელება;

ე) განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება;

ვ) მომზადოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საპროექტო-საინვესტიციო წინადადებები;

ზ) დაცვას სამსახურის ინტერესები ზემდგომ ინსტანციებსა და სასამართლოში;

თ) საჭიროების შემთხვევაში მოიზიდოს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები;

ი) მოამზადოს სარეკლამო და შემეცნებითი მნიშვნელობის დოკუმენტაცია, მოახდინოს მათი ტირაჟირება და გავრცელება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

კ) თავის გამგებლობასა და ფუნქციებს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით, მიიღოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისგან;

ლ) დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე დაუყოვნებლივ მოამზადოს სათანადო წინადადებები და წარადგინოს ისინი შესაბამის ორგანოში;

მ) სამართლებრივ ურთიერთობაში გამოვიდეს საკუთარი სახელით;

ნ) კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში გასცეს ნებართვები;

ო) მოაწყოს სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები მის კომპეტენციაში შემავალ საკითზებზე;

პ) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოითხოვოს მონაცემები დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული შესაბამისი ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან;

ჟ) ითანამშრომლოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება დარგში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ;

რ) თავის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ს) კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები;

3. სამსახურის უფლებების დაცვა გარანტირებულია მოქმედი კანონმდებლობით, რომელთა დაუცველობისა ან/და დარღვევის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოს.

4. სამსახური ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს მასზე გაცემული ქონების შენახვასა და დაცვაზე;

ბ) მიიღოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებები, განიხილოს იგი დადგენილ ვადებში და პასუხი გასცეს იმ კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების ფარგლებში, რომელთა აღსრულებაც შედის მის კომპეტენციაში;

გ) თავისი ფუნქციების განხორციელებისას კეთილსინდისიერად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურის ხელმძღვანელობს სამსახურის სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მთავრობა.

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას მისივე წერილობითი დავალებით ახარციელებს ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსი:

ა) წარმოადგენს სამსახურს;

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

გ) უზრუნველყოფს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლს და ახორციელებს მათ მეთოდურ ხელმძღვანელობას;

დ) განსაზღვრავს და ამტკიცებს სამსახურის საშტატო ნუსხას, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

ვ) კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

ზ) იწვევს სპეციალისტებს ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტული საქმიანობის განხორციელების მიზნით;

თ) ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწეს;

ი) ამტკიცებს თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

კ) სამსახურის სტაჟირების გავლის მიზნით, ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟიორებს;

ლ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

მ) თვალყურს ადევნებს სამსახურზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას;

ნ) ქალაქ თბილისის მთავრობას წარუდგენს სამსახურის ბიუჯეტის პროექტს;

ო) შუამდგომლობს ქალაქ თბილისის მთავრობის წინაშე იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის შესახებ, რომლებიც საჭიროა სამსახურის ამოცანების შესასრულებლად;

პ) იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის შესახებ, რომლებიც საჭიროა სამსახურის ამოცანების შესასრულებლად;

ჟ) ქალაქ თბილისის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის წესდების (დებულე-

ბის) პროექტს;

რ) სამსახურის წინაშე არსებული საკითხების ეფექურად გადაწყვეტის მიზნით უფლებამოსილია თავის კომპეტენციის ფარგლებში შექმნას სამუშაო ჯგუფები შესაბამისი რეკომენდაციების მოსამზადებლად;

ს) ქალაქ თბილისის მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ;

ტ) ხელს აწერს სამსახურის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

უ) წარმოადგენს სამსახურს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალურ ურთიერთობებში, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ფ) ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

ქ) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება დაევალოს დეპარტამენტის უფრო(ებ)ს.

მუხლი 6.სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების - დეპარტამენტების მეშვეობით.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა. ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტი;

ბ. სანებართვო დეპარტამენტი;

გ. ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

დ. იურიდიული დეპარტამენტი;

ე. საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტი.

მუხლი 7. სტრუქტურული ქვედანაყოფების - დეპარტამენტების უფლებამოსილებანი

1. ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ქალაქ მშენებლობითი პოლიტიკისა შემუშავებასა და განხორცელებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) ქალაქმშენებლობითი პოლიტიკის კორდინაცია და ქალაქმშენებლობითი პროცესების მონიტორინგი, ქალაქგეგმარებითი პროექტების რეგლამენტაცია (ზონირების რუკების შექმნა);

გ) ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის მომზადება;

დ) ქალაქმშენებლობითი პარამეტრებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა;

ე) საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით სამუშაოების ჩატარება, მიწის ნაკვეთის გეგმის მომზადება, მათი კორექტირება და სხვა;

ვ) ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმების პროექტების მომზადება და/ან მომზადებული პროექტების განხილვა;

ზ) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება (გრგ);

თ) მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ კორესპონდეციათა განხილვა;

ი) ქალაქ თბილისის მთავრობისათვის ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ მიწის ნაკვეთის განკარგვასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნის მომზადება;

კ) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

ლ) აწარმოებს და ამუშავებს სამსახურის ყოველკვირეულ, ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ სტატისტიკურ მონაცემებს;

ნ) ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოვალეობებს.

2. სანებართვო დეპარტამენტი;

ა) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გასაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას;

ბ) იხილავ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ კორესპონდეციას;

g) სამსახურის გამართული მუშაობის მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას;

დ) აწარმოებს და ამუშავებს სამსახურის ყოველკვირეულ, ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ სტატისტიკურ მონაცემებს;

ე) ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ უფლებამოვალეობებს.

3. ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

ა) ახორცელებს სამსახურის კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას;

ბ) უზრუნველყოფს ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას;

გ) უზრუნველყოფს ქსელის უსაფრხოების დაცვას;

დ) ახორციელებს სამსახურის სერვერული ცენტრის ადმინისტრირებას;

ე) ასწორებს ლოკალურ და ცენტრალიზებულ ბაზაში არსებულ შეცდომებს და სრულყოფს ბაზებს;

ვ) ახორციელებს ცენტრალიზებული ბაზის კონტროლს;

ზ) უზრუნველყოფს სხავა სახის კომუნიკაციების გამართულ მუშაობას;

თ) ამუშავებს და ანალიზს უკეთებს სტატისტიკურ მონაცემებს;

ი) ამზადებს ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს და ანალიზს უკეთებს სამსახურის საქმიანობას;

კ) უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სამსახურის უფროსის ურთიერთობის კოორდინირებას;

ლ) უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

მ) ორგანიზებას უწევს სამსახურის საქმისწარმოების;

ნ) უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტების, სხვა საკონტროლო დავალებების და სამსახურის უფროსის ადმინისტრაციული აქტების შესრულების შემოწმებასა და კონტროლს;

ო) ახორციელებს საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებას და არქივისათვის გადაცემას (არქივირება) ;

პ) უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

ჟ) უზრუნველყოფს სამსახურში შემოსული დოკუმენტაციის მიღებას და მათ აღრიცხვას;

რ) ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

4. იურიდიული დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს სამსახურის სამართლებრივ მომსახურებას;

ბ) მონაწილეობს სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებაში, ახდენს მათ ვიზირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

გ) იღებს მონაწილეობას სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებებში;

დ) უზრუნველყოფს სამსახურის წარმომადგენლობას სასამართლოსა და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში;

ე) ახორციელებს კადრების აღრიცხვას, მონიტორინგს და ანალიზს;

ვ) სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებში ამზადებს მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების, შევებულებისა და მივლინების შესახებ ბრძანებების პროექტებს;

ზ) ახორციელებს სამსახურის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენას, შრომის წიგნაკების აღრიცხვა-წარმოებას, ამზადებს შრომითი ხელშეკრულებების პროექტებს;

თ) შეიმუშავებს შრომის შინაგანაწესს და აკონტროლებს მის შესრულებას;

ი) სამართლებრივ ორგანიზებას უწევს სისტემაში სახელმწიფო შესყიდვებს;

კ) ორგანიზებას უწევს ტენდერის გამოცხადებას, ამზადებს სატენდერო დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს მომწოდებელთან ხელშეკრულებების დადებას და აკონტროლებს დადებული ხელშეკრულების შესრულებას;

ლ) ასრულებს სამსახურის უფროსის მიერ მიცემულ დავალებებს;

მ) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მიმართავს დაინტერესებულ მხარეებს, ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს;

ნ) ანალიზს უკეთებს სამსახურის სამსახურის თანამშრომელთა მიერ გაწეულ მუშაობას;

ო) სამსახურის უფროსის დავალებით ამოწმებს სამსახურის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

პ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

რ) სამსახურებრივი მოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს სამსახურის უფროსს;

ს) ახორციელებს ამ დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალებებს.

1. საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტი:

ა) ორგანიზაციას უწევს და წარმართავს სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ და ბუღალტრულ აღრიცხვას;

ბ) ახორციელებს საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის ანალიზს, კრებსითი ბალანსების, ანგარიშების მომზადებას;

გ) შეიმუშავებს სამსახურის ბიუჯეტსა და ხარჯთა ნუსხის პროექტებს;

დ) ორგანიზებას უწევს სამსახურში ძირითადი საშუალებების, ფულადი სახსრებისა და საფინანსო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარებას;

ე) ადგენს კვარტალურ და წლიურ საფინანსო და სტატისტიკურ ანგარიშებს.

ვ) უზრუნველყოფს სამსახურის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვას;

ზ) ახორციელებს მომარაგების ორგანიზებას;

თ) წარმართავს სამეურნეო საქმიანობას;

ი) აკონტროლებს სატელეფონო კომპანიებთან, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მომწოდებლებთან დადებული ხელშეკურულებების შესრულებას;

კ) აკონტროლებს საწვავის ხარჯვას სამსახურიში დაშვებული ლიმიტების გათვალისწინებით;

ლ) შეიმუშავებს სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას და განსაზღვრავს ცალკეული შესასყიდი ობიექტის წლიური ღირებულებიდან გამომდინარე შესყიდვის წესს;

მ) უზრუნველყოფს სახსრების რაციონალურ ხარჯვას;

ნ) წარმართავს სასაწყობო მეურნეობას;

ო) ატარებს შიდა აუდიტს სამსახურის სახსრების ხარჯვაზე;

პ) ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ უფოლება-მოვალეობებს.

მუხლი 8. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა უფლებამოსილებები

1. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;

დ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ;

ვ) სამსახურის უფროს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

ზ) სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა დავალებებს;

2. დეპარტამენტის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომელთა შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;

დ) ახდენს ვიზირებას განყოფილებვაში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს ანგარიშს განყოფილების საქმიანობის შესახებ;

ვ) დეპარტამენტის უფროსის მითითებით ასრულებს სხვა დავალებებს.

მუხლი 9. სამსახურის ქონება

1. სამსახურის გააჩნია ქონება, რომელიც მას გადაეცემა „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სამსახურის ქონებას შეადგენს ძირითადი საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსები.

მუხლი 10. სამსახურის ფინანსები

სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) ქალაქ თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სამსახურის მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები;

გ) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 11. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში.

2. საჩივარს განიხილავს ქალაქ თბილისის მერის მიერ შექმნილი სათათბირო ორგანო.

მუხლი 12. სახელმწიფო კონტროლი

სამსახურის მაკონტროლებელი ორგანოა ქალაქ თბილისის მთავრობა, რომელიც სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გააჩნია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

მუხლი 13. სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილებით.

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა „საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ“ 2009 წლის 16 იანვარს პარასკევს საქართველოს ეროვნული ბანკის „ბ“ კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

1. ეროვნული ბანკის ყოფილი ბათუმის ფილიალის შენობაში განთავსებულ სხვადასხვა ინვენტარზე

1. 1. კომპიუტერული ტექნიკა

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის N | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | კვების წყარო | 24.10.2000 | 21-22 | 2 | 130 | 260 |
| 2 | მოდემი JSR – 564 | 28.12.2000 | 20 | 1 | 50 | 50 |
| 3 | კომპიუტერი pentium-3 | 14.11.2001 | 2 | 1 | 150 | 150 |
| 4 | კომპიუტერი pentium-3 | 14.11.2001 | 3 | 1 | 150 | 150 |
| 5 | კომპიუტერი pentium-3 | 14.11.2001 | 4 | 1 | 150 | 150 |
| 6 | ლაზერული პრინტერი hp1200 | 29.12.2001 | 26-27 | 2 | 150 | 300 |
| 7 | კვების წყარო sps-1000 | 29.12.2001 | 25 | 1 | 250 | 250 |
| 8 | კვების წყარო ups-650 | 28.03.2002 | 5 | 1 | 120 | 120 |
| 9 | პრინტერი hp-dr920 | 05.08.2002 | 6 | 1 | 120 | 120 |
| 10 | სკანერი hp4400c | 05.08.2002 | 30 | 1 | 100 | 100 |
| 11 | კომპიუტერი p-4 2000 | 06.08.2002 | 7 | 1 | 300 | 300 |
| 12 | ლაზერული პრინტერი hp1200 | 06.08.2002 | 15-19 | 5 | 120 | 600 |
| 13 | კომპიუტერი ibsu p-4 2000 | 23.10.2003 | 36-41 | 6 | 300 | 1800 |
| 14 | კომპიუტერი ibsu p-4 2000 | 02.08.2004 | 43-44 | 2 | 250 | 500 |
| 15 | სკანერი | 30.08.2004 | 45-46 | 2 | 150 | 300 |
| 16 | კომპიუტერი | 10.11.2004 | 47-48 | 2 | 300 | 600 |
| 17 | პრინტერი lazerjct 1012 | 10.11.2004 | 51-54 | 4 | 125 | 500 |
| 18 | პრინტერი lazerjct 5652 | 10.11.2004 | 55-56 | 2 | 150 | 300 |
| 19 | სვიჩი 408 | 30.11.2004 | 58 | 1 | 50 | 50 |
| 20 | უწყვეტი კვების ბლოკი ups-650 | 24.01.2005 | 59-66 | 8 | 150 | 1200 |
| 21 | კომპიუტერი p-2 dell | | 329 | 1 | 120 | 120 |
| 22 | ups mgeclips-1500 | 21.12.2006 | 87 | 1 | 250 | 250 |
| 23 | უწყვეტი კვების ბლოკი h-1500 | 22.10.2007 | 28 | 1 | 250 | 250 |
| კომპიუტერული ტექნიკა სულ ჯამი | | | | | | 8 420 ლარი |

1.2. ავეჯი ოფისისათვის

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | საძინებლის კომპლექტი | 25.02.1997 | 78 | კომპლექტი | 1500 | 1500 |
| 2 | საძინებლის კომპლექტი | 25.02.1997 | 80 | კომპლექტი | 1500 | 1500 |
| 3 | სასადილო კომპლექტი | 25.02.1997 | 79 | კომპლექტი | 2000 | 2000 |
| 4 | გასაშლელი დივანი | 25.02.1997 | 81-82 | 2 | 700 | 1400 |
| 5 | ექერნალის მაგიდა | 25.02.1997 | 83-84 | 2 | 80 | 160 |
| 6 | ექერნალის მაგიდა | 25.02.1997 | 85 | 1 | 100 | 100 |
| 7 | საკიდელი | 25.02.1997 | 86 | 1 | 220 | 220 |
| 8 | საყარძელი | 24.07.1997 | 89 | 1 | 125 | 125 |
| 9 | ავეჯის კომლექტი | 24.07.1998 | 92 | კომპლექტი | 800 | 800 |
| 10 | საყარძელი | 24.07.1998 | 93-95 | 3 | 30 | 90 |
| 11 | ავეჯის კომპლექტი( საკონფერენციო) | 24.07.1997 | 98 | კომპლექტი | 5000 | 5000 |
| 12 | ტელევიზორის მაგიდა | 04.05.1998 | 99 | 1 | 100 | 100 |
| 13 | ტელევიზორის მაგიდა | 30.12.2003 | 100 | 1 | 120 | 120 |
| 14 | ტელევიზორის მაგიდა | 30.12.2003 | 101 | 1 | 120 | 120 |
| 15 | მაგიდა DE-18 | 07.03.2005 | 106-110 | 5 | 130 | 650 |
| 16 | მაგიდა DL-16 | 07.03.2005 | 111-117 | 7 | 100 | 700 |
| 17 | მაგიდა DL-12 | 07.03.2005 | 118 | 1 | 100 | 100 |
| 18 | მაგიდა DR-10 | 07.03.2005 | 119 | 1 | 80 | 80 |
| 19 | მაგიდა WR-16 | 07.03.2005 | 120-121 | 2 | 90 | 180 |
| 20 | მაგიდის მისადგამი PSE10 | 07.03.2005 | 122-123 | 2 | 80 | 160 |
| 21 | მრუგვალი მაგიდა SUR-12 | 07.03.2005 | 124 | 1 | 220 | 220 |
| 22 | მაგიდა SUAA-20 | 07.03.2005 | 125-128 | 4 | 180 | 720 |
| 23 | ტუმბო CS-23 | 07.03.2005 | 129-146 | 18 | 100 | 1800 |
| 24 | კარადა CG-92 | 07.03.2005 | 147-153 | 7 | 150 | 1050 |
| 25 | ტუმბო CL-92 | 07.03.2005 | 154-176 | 23 | 100 | 2300 |
| 26 | კარადა CM-92 | 07.03.2005 | 362-371 | 10 | 130 | 1300 |
| 27 | კარადა ერკარიანი CG45 | 07.03.2005 | 372-375 389-390 | 6 | 120 | 720 |
| 28 | კარადა შუშის თარითი | 07.03.2005 | 197--207 | 11 | 175 | 1925 |
| 29 | სკამი დიყანი ორკაკვიანი | 07.03.2005 | 387-388 | 2 | 125 | 250 |
| 30 | ერთსაწოლიანი | 24.06.2005 | 316-318 | 3 | 200 | 600 |
| 31 | ტელევიზორის მაგიდა | 28.06.2005 | 319-320 | 2 | 85 | 170 |
| 32 | კარადა ორკარიანი | 13.07.2005 | 326 | 1 | 300 | 300 |
| 33 | მაგიდა ადმინისტრაციე ლი | 14.12.2005 | 337 | 1 | 450 | 450 |
| 34 | ხავარძელი | 14.12.2005 | 339 | 1 | 120 | 120 |
| 35 | კარადა სამგანყოფილებიანი | 14.12.2005 | 340 | 1 | 250 | 250 |
| 36 | ხავარძელი | 14.12.2005 | 341 | 1 | 100 | 100 |
| 37 | საწერი მაგიდა | 17.12.0005 | 342 | 1 | 125 | 125 |
| 38 | სამეცული ტაკვის | 17.12.0005 | 343 | 1 | 1300 | 1300 |
| 39 | ექერნალის მაგიდის სამეცული | 17.12.0005 | 344 | კომპლექტი | 200 | 200 |
| 40 | რბილი ტახტი | 17.12.0005 | 345-346 | 2 | 250 | 500 |
| 41 | კარადა | 30.12.2005 | 352 | 1 | 220 | 220 |
| 42 | კარადა | 30.12.2005 | 353 | 1 | 120 | 120 |
| 43 | რბილი ტახტი | 30.12.2005 | 354 | 1 | 180 | 180 |
| 44 | ოფისის მაგიდა | 30.12.2005 | 355 | 1 | 100 | 100 |
| 45 | ოფისის მაგიდა | 06.12.2006 | 185 | 1 | 100 | 100 |
| 46 | ოფისის მაგიდა | 28.12.2006 | 186 | 1 | 130 | 130 |
| 47 | ოფისის მაგიდა | 25.07.2007 | 399 | 1 | 130 | 130 |
| 48 | კომპიუტერის მაგიდა | 13.11.2007 | 336,338 | 2 | 125 | 250 |
| 49 | კარადა | 26.12.2007 | 403 | 1 | 180 | 180 |
| 50 | საოფისე მაგიდა | 30.10.2008 | 90 | 1 | 130 | 130 |
| სულ ავეჯი ოფისისათვის | | | | | | 31 045 ლარი |

1.3. სხვა ძირითადი საშუალებები

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | რკინის კარადა(შუშა) | 27.12.1994 | 177 | 1 | 200 | 200 |
| 2 | რკინის კარადა | 13.10.1994 | 179 | 1 | 200 | 200 |
| 3 | სეიფი | 27.12.1996 | 180 | 1 | 400 | 400 |
| 4 | მაცივარი-BEKO | 25.02.1997 | 181 | 1 | 280 | 280 |
| 5 | სეიფი | 07.05.1997 | 182 | 1 | 300 | 300 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ტელევიზორი- DAEWOO | 26.08.1997 | 183-184 | 2 | 125 | 250 |
| 7 | მაცივარი-BEKO | 21.07.1998 | 189 | 1 | 300 | 300 |
| 8 | მაცივარი-BEKO | 30.09.1998 | 194 | 1 | 280 | 280 |
| 9 | ელექტრო გახმელი | 30.09.1998 | 195 | 1 | 50 | 50 |
| 10 | სეიფი | 12.12.1998 | 197-198 | 2 | 350 | 700 |
| 11 | მაცივარი-BEKO | 29.06.1999 | 200 | 1 | 280 | 280 |
| 12 | სამზარეულო სერვისი | 31.08.2000 | 202 | 1 | 80 | 80 |
| 13 | რკინის კარადა | 28.09.2000 | 203-204 | 2 | 220 | 440 |
| 14 | ტელევიზორის აპარატი-SONY | 31.12.2001 | 188 | 1 | 25 | 25 |
| 15 | ტელევიზორი-SONY | 28.03.2002 | 210 | 1 | 220 | 220 |
| 16 | ტელევიზორი-PANASONIC | 14.05.2002 | 211 | 1 | 200 | 200 |
| 17 | ვიდეოპრისტავკა PANASONIC | 14.05.2002 | 212 | 1 | 75 | 75 |
| 18 | მტვერსასრუტი-BOSCH | 28.02.2002 | 221,223 | 2 | 80 | 160 |
| 19 | ზეთის რადიატორი-diMPLex | 13.10.2003 | 228 | 1 | 70 | 70 |
| 20 | ტელევიზორი-PANASONIC | 29.12.2003 | 233 | 1 | 20 | 20 |
| 21 | ყავის ნაკრები | 30.12.2003 | 229 | 1 | 80 | 80 |
| 22 | ჩაის ნაკრები | 30.12.2003 | 230 | 1 | 100 | 100 |
| 23 | სახილე | 30.12.2003 | 237 | 1 | 35 | 35 |
| 24 | ლამპა | 30.12.2003 | 231 | 1 | 25 | 25 |
| 25 | მტვერსასრუტი-ULTRA | 30.12.2003 | 232 | 1 | 100 | 100 |
| 26 | ლენტი კარკულატორის | 29.07.2004 | 242 | 1 | 15 | 15 |
| 27 | შაქრი-PANASONIC | 30.08.2004 | 244-246 | 3 | 75 | 225 |
| 28 | მტვერსასრუტიBOCSH-1200 | | 308 | 1 | 100 | 100 |
| 29 | ხალიჩა | 13.04.2005 | 309 | 1 | 40 | 40 |
| 30 | ხალიჩა -/3X4/ | | 310 | 1 | 50 | 50 |
| 31 | დროშის საჯარიმო | 20.05.2005 | 311-312 | 2 | 40 | 80 |
| 32 | ტელევიზორი-FILIPS | 28.06.2005 | 315-316 | 2 | 225 | 450 |
| 33 | რადიო | 03.09.2007 | 262 | 1 | 35 | 35 |
| 34 | სეიფი | 22.12.2005 | 347-348 | 2 | 400 | 800 |
| 35 | ლითონის კარადა (სეიფი) | 22.12.2005 | 350 | 1 | 400 | 400 |
| 36 | ტელევიზორი-SONY | 20.02.2006 | 391 | 1 | 200 | 200 |
| 37 | მაცივარი-BEKO | 20.02.2006 | 392-394 | 3 | 100 | 300 |
| 38 | მაცივარი-VESTEL | 21.08.2006 | 75 | 1 | 350 | 350 |
| 39 | ტელევიზორი-SAMSUNG | 19.10.2006 | 76 | 1 | 135 | 135 |
| 40 | სეიფი | 25.12.2006 | 307 | 1 | 350 | 350 |
| 41 | მტვერსასრუტი-SAMSUNG | 13.11.2007 | 29,401,402 | 3 | 130 | 390 |
| სხვა ძირითადი საშუალებების ჯამი | | | | | 8 790 ლარი | |

1.4. მცირეფასიანი ინვენტარი

| N | დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი | საინვენტ. ბარათის ნომერი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 |
| 1 | რკინის კარადა | 1976 | 657-661 | 5 | 130 | 650 |
| 2 | ლითონის კარადა (სეიფი) | 31.12.1969 | 662 | 1 | 120 | 120 |
| 3 | რკინის კარადა | 1982 | 663-664 | 2 | 160 | 320 |
| 4 | რკინის კარადა | 1976 | 665 | 1 | 130 | 130 |
| 5 | რკინის კარადა | 1958 | 666 | 1 | 100 | 100 |
| 6 | რკინის კარადა | 1966 | 667 | 1 | 110 | 110 |
| 7 | რკინის კარადა | 1968 | 668 | 1 | 120 | 120 |
| 8 | ორმაგი სეიფი | 1975 | 669 | 1 | 150 | 150 |
| 9 | ლითონის კარადა | 1960 | 670 | 1 | 100 | 100 |
| 10 | ლითონის კარადა | 1969 | 671 | 1 | 115 | 115 |
| 11 | სტეპლერი | 07.08.2001 | 692 | 1 | 10 | 10 |
| 12 | ხალიჩა /200X150/ | 09.09.2002 | 720 | 1 | 30 | 30 |
| 13 | პატარა ხალიჩა | 09.09.2002 | 721 | 1 | 15 | 15 |
| 14 | საკანფეტე | 30.12.2003 | 859 | 1 | 25 | 25 |
| 15 | სკამი | 29.04.2004 | 886-890 | 5 | 15 | 75 |
| 16 | TMS/ელ.დროსელ'ხე/ | 10.12.2004 | 920-927 | 8 | 20 | 160 |
| 17 | მაგიდის მისადგამი | 07.11.2005 | 1396 | 1 | 30 | 30 |
| 18 | საშუშაო მაგიდა | 23.02.2005 | 1018-1020 | 4 | 80 | 320 |
| 19 | მაგიდა | 23.02.2005 | 1022-1024 | 3 | 80 | 240 |
| 20 | საყარძელი teo12 | 09.03.2005 | 1063-1089 | 26 | 35 | 910 |
| 21 | სკამი | 09.03.2005 | 1092-1114,1116-1125 | 33 | 25 | 825 |
| 22 | ტანსაცმლის საკიდი | 09.03.2005 | 1129,1131-1134 | 5 | 30 | 150 |
| 23 | ხალიჩა | 13.04.2005 | 1165 | 1 | 30 | 30 |
| 24 | დეკორ. ეკიბანა მისადგმელით | 15.04.2005 | 1166 | 1 | 30 | 30 |
| 25 | ხალიჩა/გზა-კვალი/ | 15.04.2005 | 1167 | 41. 2 მ | 10 | 412 |
| 26 | ხალიჩა/გზა-კვალი/ | 15.04.2005 | 1168 | 5. 4 მ | 10 | 54 |
| 27 | დროშის დასადგამი | 20.04.2005 | 1194 | 1 | 35 | 35 |
| 28 | დროშა | 20.04.2005 | 1195-1197 | 3 | 20 | 60 |
| 29 | დროშა | 20.04.2005 | 1198 | 1 | 20 | 20 |
| 30 | დროშა | 20.04.2005 | 1199 | 1 | 20 | 20 |
| 31 | სურათი/მ.სააკაშვილის | 20.04.2005 | 1200 | 1 | 40 | 40 |
| 32 | სეიფი dlikdeas-1008 p | 27.05.2005 | 1202-1203 | 2 | 30 | 60 |
| 33 | ლანგარი | 22.08.2005 | 1301 | 1 | 15 | 15 |
| 34 | კარადა ერთკარიანი | 23.09.2005 | 1314-1318 | 5 | 35 | 175 |
| 35 | უწყვეტი კვების ბლოკი | 23.09.2005 | 1337 | 1 | 100 | 100 |
| 36 | ფაქსი panasonic | 23.09.2005 | 1341-1342 | 2 | 50 | 100 |
| 37 | დენის მარეგულირებელი | 23.09.2005 | 1344 | 1 | 70 | 70 |
| 38 | ფარდაგი | 31.10.2005 | 1352 | 1 | 15 | 15 |
| 39 | ფარდაგი | 31.10.2005 | 1355 | 1 | 20 | 20 |
| 40 | სკამი | 07.11.2005 | 1397-1398 | 2 | 25 | 50 |
| 41 | კარადა როლიკზე | 08.12.2005 | 1410 | 1 | 110 | 110 |
| 42 | ხალიჩა | 28.12.2005 | 1429-1430 | 2 | 75 | 150 |
| 43 | ფარდაგი | 28.12.2005 | 1431-1444 | 14 | 5 | 70 |
| 44 | გ'ზა-კვალი | 28.12.2005 | 1445 | 60 მ | 10 | 600 |
| 45 | რბილი ტახტი | 28.12.2005 | 1453 | 1 | 100 | 100 |
| 46 | ტუმბო | 30.12.2005 | 1491-1492 | 2 | 50 | 100 |
| 47 | სკამი | 30.12.2005 | 1446-1448, | 5 | 25 | 125 |
| 48 | ჟურნალის მაგიდა | 10.02.2006 | 541 | 1 | 75 | 75 |
| 49 | ტელევიზორის დასადგამი | 01.03.2006 | 599 | 1 | 100 | 100 |
| 50 | რბილი სკამი | 01.03.2006 | 601,610-611 | 3 | 25 | 75 |
| 51 | კალკულატორი | 29.03.2006 | 612-613 | 2 | 10 | 20 |
| 52 | ტუმბო უჯრებით | 06.12.2006 | 742 | 1 | 90 | 90 |
| 53 | პრინტერი დჯდ 4163 | 21.12.2006 | 850 | 1 | 80 | 80 |
| 54 | სკანერი მასჯ 2400 | 21.12.2006 | 885 | 1 | 80 | 80 |
| 55 | თვალსაჩინოების დაფა | 16.02.2007 | 738 | 1 | 20 | 20 |
| 56 | ელექტრო ბატარეა | 08.11.2007 | 1569-1572 | 4 | 60 | 240 |
| 57 | ტელეფონი | 08.11.2007 | 1576-1578 | 3 | 20 | 60 |
| 58 | მტვერსასრუტი სამსუნგ | 13.11.2007 | 1581 | 1 | 100 | 100 |
| 59 | კალკულატორი | 18.01.2008 | 501,552 | 2 | 10 | 20 |
| 60 | ტელეფონი | 18.01.2008 | 678,680 | 2 | 20 | 40 |
| 61 | ტუმბო | 30.01.2008 | 894 | 1 | 90 | 90 |
| 62 | თარო | 30.01.2008 | 804 | 1 | 50 | 50 |
| 63 | მოძრავი ეკეთი | 30.01.2008 | 969 | 1 | 25 | 25 |
| 64 | ფეხის საწმენდი ხალიჩა | 04.02.2008 | 980 | 1 | 10 | 10 |
| 65 | კიბე | 04.02.2008 | 1155 | 1 | 40 | 40 |
| 66 | კალკულატორი | 25.02.2008 | 1218,1292,1303 | 3 | 10 | 30 |
| 67 | ტელეფონი | 25.02.2008 | 1304,1418,1452 | 3 | 25 | 75 |
| 68 | ლატოკი ფულის | 10.10.2007 | 1561-1565 | 5 | 10 | 50 |
| | სულ მცირეფასიანი ინვენტარი | | | 8 636 ლარი | | |

2. ეროვნული ბანკის ყოფილი ფოთის ფილიალის შენობაში განთავსებულ სხვადასხვა ინვენტარზე

2.1 კომპიტერული ტექნიკა

| N | ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი | რაოდენობა | ღირებულება ლარებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ლაზერული დისკის ჩამწერ-წამკითხავი | 1 | 10 | ექსპლ. 7-წელი |
| 2 | კომპიუტერი პენტიუმი | 1 | 100 | ექსპლ. 7-წელი |
| 3 | კომპიუტერი ნპ 400 | 1 | 100 | ექსპლ. 6-წელი |
| 4 | პრინტერი 1150 | 1 | 20 | ექსპლ. 5-წელი |
| 5 | პრინტერი 1150 | 1 | 20 | ექსპლ. 5-წელი |
| 6 | პრინტერი 1150 | 1 | 20 | ექსპლ. 5-წელი |
| 7 | კომპიუტერი Pპენტიუმ 4 | 1 | 180 | ექსპლ. 5-წელი |
| 8 | კომპიუტერი Pპენტიუმ 4 | 1 | 180 | ექსპლ. 5-წელი |
| 9 | კომპიუტერი PXP-6100 | 1 | 200 | ექსპლ. 3-წელი |
| 10 | კომპიუტერი PXP-6100 | 1 | 200 | ექსპლ. 3-წელი |
| 11 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 3-წელი |
| 12 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 3-წელი |
| 13 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 3-წელი |
| 14 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 3-წელი |
| 15 | კომპიუტერი PD□□□ 2101 | 1 | 400 | ექსპლ. 2-წელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 2-წელი |
| 17 | პრინტერი 1012 | 1 | 40 | ექსპლ. 2-წელი |
| 18 | □P□უპს | 1 | 20 | მაღ. სებ-დან ნახმარი |
| 19 | □P□უპს | 1 | 20 | მაღ. სებ-დან ნახმარი |
| 20 | □P□უპს | 1 | 20 | მაღ. სებ-დან ნახმარი |
| | სულ: | | 1730 ლარი | |

2.2 ეროვნულ ბანკის ყოფილი ფოთის ფილიალის ავეჯი ოფისისათვის

| N | ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი | რაოდენობა | ღირებულება ლარებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | კომპიუტერის მაგიდის კომპლექტი | 1 | 20 | ექსპლ. 10-წელი |
| 2 | ტუმბო სამ უჯრიანი | 1 | 30 | ექსპლ. 8-წელი |
| 3 | შაკი მეტალის სკამი | 3 | 60 | ექსპლ. 8-წელი |
| 4 | სერი მბრუნავი სკამი | 3 | 45 | ექსპლ. 8-წელი |
| 5 | საგარძელი კაკლის სახელურით | 1 | 70 | ექსპლ. 8-წელი |
| 6 | კომპიუტერის მაგიდა | 4 | 120 | ექსპლ. 8-წელი |
| 7 | კარადა ტანსაცმლის | 1 | 50 | ექსპლ. 8-წელი |
| 8 | კარადა დაბალი | 1 | 30 | ექსპლ. 8-წელი |
| 9 | კარადა მაღალი ორკარიანი | 1 | 40 | ექსპლ. 8-წელი |
| 10 | კარადა მაღალი სამკარიანი | 1 | 150 | ექსპლ. 8-წელი |
| 11 | კარადა მაღალი სამკარიანი | 2 | 140 | ექსპლ. 8-წელი |
| 12 | საკანცელარიო მაგიდა | 2 | 50 | ექსპლ. 8-წელი |
| 13 | საკანცელარიო მაგიდა | 1 | 20 | ექსპლ. 8-წელი |
| 14 | ტუმბო სამ უჯრიანი | 13 | 130 | ექსპლ. 8-წელი |
| 15 | ტელევიზორის მაგიდა | 1 | 15 | ექსპლ. 8-წელი |
| 16 | საინაფორო მაგიდა | 1 | 30 | ექსპლ. 8-წელი |
| 17 | სამუშაო მაგიდა | 7 | 210 | ექსპლ. 8-წელი |
| 18 | კარადა თოხკარიანი | 1 | 80 | ექსპლ. 8-წელი |
| 19 | ტელევიზორის მაგიდა | 1 | 20 | ექსპლ. 8-წელი |
| 20 | სამეული რიგა | 1 | 150 | ექსპლ. 8-წელი |
| 21 | სამეული რიგა | 1 | 170 | ექსპლ. 8-წელი |
| 22 | ტელევიზორის მაგიდა | 1 | 20 | ექსპლ. 8-წელი |
| 23 | კარადა ოთხ კარიანი | 1 | 80 | ექსპლ. 8-წელი |
| 24 | სამუშაო მაგიდა | 1 | 25 | ექსპლ. 8-წელი |
| 25 | სამუშაო მაგიდა | 6 | 190 | ექსპლ. 8-წელი |
| 26 | გასაშლელი საგარძელი | 1 | 20 | ექსპლ. 7-წელი |
| 27 | კარადა ბარისათვის | 1 | 100 | ექსპლ. 1-წელი |
| 28 | თეფშების კარადა | 1 | 60 | ექსპლ. 1-წელი |
| 29 | სპეცმაგიდა პრინტერისათვის | 1 | 10 | ექსპლ. 1-წელი |
| 30 | ბაკლების ჩამოსაკიდი ბარისათვის | 1 | – | შენობასთან |
| 31 | კომოდი | 2 | 100 | ექსპლ. 1-წელი |
| | სულ | | 2235 ლარი | |

2.3 სხვადასხვა ძირითადი საშუალებები

| N | ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი | რაოდენობა | ღირებულება ლარებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | სალარის დამცავი კარი | 1 | – | შენობასთან |
| 2 | გაზქურა | 1 | 20 | ექსპლ. 9-წელი |
| 3 | Pრინტერი | 10 | – | შენობასთან |
| 4 | თაროების წარწერა | 1 | – | შენობასთან |
| 5 | სეიფების კარადა | 12 | 480 | ექსპლ. 8-წელი |
| 6 | სეიფი | 2 | 80 | ექსპლ. 8-წელი |
| 7 | სეიფი | 2 | 60 | ექსპლ. 8-წელი |
| 8 | მაცივარი ლჯ | 1 | 20 | ექსპლ. 8-წელი |
| 9 | ვენტილიზაციისა და გაათბობის სისტემა | 1 | – | შენობასთან |
| 10 | კონდიციონერი | 1 | 80 | ექსპლ. 6-წელი |
| 11 | კონდიციონერი | 2 | 160 | ექსპლ. 6-წელი |
| 12 | კონდიციონერი | 1 | 80 | ექსპლ. 6-წელი |
| 13 | დენის მარეგულირებელი | 1 | – | შენობასთან |
| 14 | დიზელ გენერატორი | 1 | – | შენობასთან |
| 15 | ფაქსი კხ ფტ 77 | 1 | 10 | ექსპლ. 5-წელი |
| 16 | ტელევიზორი სამსუნგი | 1 | 20 | ექსპლ. 4-წელი |
| 17 | ტელევიზორი პანასონიკი | 1 | 50 | ექსპლ. 4-წელი |
| 18 | ტელევიზორი | 1 | 40 | ექსპლ. 4-წელი |
| | ჯი-ეფ-ხი | | | |
| 19 | ოერმექსი ტც. | 2 | 40 | ექსპლ. 4-წელი |
| 20 | მაცივარი 428 | 2 | 100 | ექსპლ. 4-წელი |
| 21 | მაცივარი 241 | 1 | 50 | ექსპლ. 4-წელი |
| 22 | მაცივარი 244 | 1 | 70 | ექსპლ. 4-წელი |
| 23 | ცხაურიანი სეიფი | 2 | 80 | ექსპლ. 4-წელი |
| 24 | ცხაურიანი სეიფი | 3 | 120 | ექსპლ. 4-წელი |
| 25 | დენის სახმარის აპარატი | 1 | – | შენობასთან |
| 26 | ტელეფონების აპარატების სისტემა | 1 | – | შენობასთან |
| 27 | დიზელ გენერატორი | 1 | – | შენობასთან |
| 28 | კონდიციონერი სამსუნგი | 1 | 200 | ექსპლ. 2-წელი |
| 29 | კონდიციონერი სამსუნგი | 1 | 100 | ექსპლ. 2-წელი |
| 30 | კონდიციონერი სამსუნგი | 1 | 150 | ექსპლ. 2-წელი |
| 31 | სამეცადინო მრეცხველი | 1 | – | შენობასთან |
| 32 | ფოტო კამერა | 1 | 180 | ექსპლ. 1-წელი |
| | სულ: | | 2190 ლარი | |

2.4. მცირეფასიანი ინვენტარი

| N | ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი | რაოდენობა | ღირებულება ლარებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | წყლის ტუმბო | 1 | – | შენობასთან |
| 2 | საქ. Pრეზიდენტის პორტრეტი | 1 | 10 | ექსპლ. 3-წელი |
| 3 | აკუმლატორი | 2 | – | შენობასთან |
| 4 | კიბე პატარა | 1 | 10 | ექსპლ. 2-წელი |
| 5 | კიბე დიდი | 1 | 20 | ექსპლ. 2-წელი |
| 6 | კლაფიატურა | 1 | 5 | ექსპლ. 3-წელი |
| 7 | ხელოვნური ნაძვის ხე | 1 | 15 | ექსპლ. 3-წელი |
| 8 | კლაფიატურა | 1 | 5 | ექსპლ. 3-წელი |
| 9 | გაზის बალონი | 3 | 15 | ექსპლ. 2-წელი |
| 10 | წყლის ტუმბო | 1 | – | შენობასთან |
| 11 | სარკის კომპლექტი | 2 | – | შენობასთან |
| 12 | ბრა | 2 | – | შენობასთან |
| 13 | ფცრადი პრინტერი | 1 | 30 | ექსპლ. 1-წელი |
| | სულ: | | 110 ლარი | |

3. სხვა ინვენტარი

| № | შეძენის თარიღი | ინვენტარის დასახელება | რაოდენობა ცალი | ერთეულის ფასი ლარი | ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | 01.08.2002 | კონდენციონერები "SAMSUNG" | 66 | 110 | 7260 |
| 2. | 01.08.2002 | კონდენციონერი "LG" | 1 | 100 | 100 |
| 3. | 01.08.2003 | წყლის გამათბობლები "TERMEQS" | 8 | 120 | 960 |
| | | მთლანი ღირებულებით | | | 8320 ლარი |

1–ლი პუნქტის 1.1. 1.2. 1.3. 1.4. 1.5. და მე–2 პუნქტის 2.1 2.2. 2.3. 2.4. ნაწილები განიხილება როგორც ცალკეული ლოტები და ამ ნაწილებში შემავალი ინვენტარი არ გაიყიდება ცალკ ცალკე. ხოლო 3 პუნქტში შემავალი კონდიციონერები და წყლის გამათბობლები იყიდება ცალკ ცალკე ლოტებად.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს" მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი საუქციონო ფასის 10-%-ს, რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკის N 117904101 ანგარიშზე (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის შეძენაც მას სურს) და „ბე"-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება საუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი".
აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ საუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-41) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.ge .

საქართველოს ეროვნული ბანკის საუქციონო კომისია.